

უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფი

სამხრეთი კავკასია:

ნაციონალიზმი, კონფლიქტი და უმცირესობები

ავტორი: ანა მატვეევა

სამხრეთი კავკასია: ნაციონალიზმი, კონფლიქტი და უმცირესობები

წინამდებარე გამოცემის გამრავლება დასაშვებია საგანმანათლებლო ან სხვა, არაკომერციული მიზნებისათვის. დაუშვებელია კომერციული მიზნით მისი რომელიმე ნაწილის გამრავლება ლიცენზიის მფლობელის წინასწარი ნებართვის გარეშე.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ უმცირესობათა უფლებების ჯგუფს (ღ).

ამ გამოცემის ჩი კატალოგის ჩანაწერი შეგიძლიათ მოიპოვოთ ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში

Iუ 1 8976 93 44 3

Iუ 0305 6252

გამოცემულია 2002 წლის მაისში

აწეობილია კავიტა გრაფიკის მიერ

დაბეჭდილია დიდ ბრიტანეთში დაუქლორავ ქალაქდზე

მადლობა

უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფი განსაკუთრებით ემადლიერება ნორვეგიის მთავრობასა და კორდედს წინამდებარე მოხსენების მომზადებაში მათ მიერ გაწეული ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერისათვის.

ეს მოხსენება მოამზადა და გამოსცა უმცირესობათა უფლებების ჯგუფმა, რათა საზოგადოებას საშუალება მისცემოდა უკეთ გასცნობოდა მოხსენებაში წარმოდგენილ საკითხს. მოხსენების ტექსტი და ავტორის შეხედულებები, შესაძლოა, მთლიანად ან ზოგ საკითხში არ ემთხვეოდეს ჯგუფის კოლექტიურ აზრს.

უმცირესობათა უფლებების ჯგუფი მადლიერია ყველა თანამშრომლისა და დამოუკიდებელი ექსპერტისა, რომელმაც წვლილი შეიტანა წინამდებარე მოხსენების მომზადებაში, განსაკუთრებით კი კატრინ პეინისა (აღმასრულებელი რედაქტორი) და სოფი რიჩმონდისა (მოხსენების რედაქტორი).

ავტორი

დოქტორი ანა მატვეევა გახლავთ სამშვიდობო პროგრამის - "მშვიდობიანი მსოფლიოსათვის" (შეიარაღებისა და უსაფრთხოების პროგრამა) ხელმძღვანელი. იგი იყო საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტის (ჩეკჰემის პალატა) მეცნიერ მუშაკი და საერთაშორისო ორგანიზაციის "ინტერნეიშენალ ელერტ"-ის ევრაზიის პროგრამის ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ყოფილი საბჭოური ევრაზიის სივრცეში კონფლიქტებთან და პოლიტიკასთან. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი "ჩრდილოეთი კავკასია - რუსეთის არასაიმედო სასაზღვრო ტერიტორია" (ლონდონი, ღII, 1999) და სამეცნიერო სტატიები. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის საერთაშორისო მშვიდობის აკადემიის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტისა და ჰეინრიჰ ბოელის ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტებში.

უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფი (უუსჯ)

უუსჯ-ს საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური უმცირესობების, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის უფლებებისა და სამართლიანობის დაცვისაკენ. იგი მოწადინებულია ხელი შეუწყოს ეთნიკურ ჯგუფთა შორის თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას.

უუსჯ არის მცირერიცხოვანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1960-იან წლებში და რომელიც მთავრობებს, საერთაშორისო და ზოგადად ფართო საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას და აფრთხილებს უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ მსოფლიო მასშტაბით. მისი საქმიანობის სფეროებია: საფუძვლიან კვლევებზე დამყარებული მოხსენებების, წიგნებისა და დოკუმენტების გამოცემა; საერთაშორისო შეხვედრებზე უმცირესობათა უფლებების პირდაპირი მხარდაჭერა; მსგავსი ორგანიზაციებისა და უმცირესობათა სათვისტომოების გლობალური ქსელის განვითარება მათი თანამშრომლობის განვითარების მიზნით; სტერეოტიპების დაძლევა და საზოგადოებრივი შემეცნების ამადლება საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროექტების საშუალებით.

უუსჯ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი მსოფლიოსათვის საუკეთესო, იმედიანი გზა, ეას არის ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების იდენტიფიცირება და მონიტორინგი, კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების ღონისძიებები, და მოსახლეობის უმრავლესობისა და უმცირესობების წარმომადგენელთა შორის ნდობის ამაღლებისადმი ხელშემწყობი პოზიტიური ღონისძიებები..

უუსჯ- ს კონსულტანტის სტატუსი აქვს გაეროს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა საბჭოში და პარტნიორთა ფართო ქსელი მსოფლიო მასშტაბით. მისი საერთაშორისო შტაბბინა ლონდონშია. ორგანიზაცია კანონიერადაა რეგისტრირებული როგორც საქველმოქმედო და აგრეთვე როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა, ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად. მას ჰყავს საერთაშორისო მმართველი გამგეობა.

პროცესი

უუსჯ ეწევა რეგიონალურ კვლევით საქმიანობას, განსზღვრავს საკითხებს და ადგენს მოხსენებებს მის მიერ მოძიებული ფაქტების საფუძველზე, რაც ამ ორგანიზაციის მეთოდოლოგიის ნაწილს წარმოადგენს. თითოეული ავტორის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მათ მიერ წარმოდგენილ ნაშრომს სულ ცოტა რვა დამოუკიდებელი ექსპერტი კითხულობს, რომლებიც კომპეტენტურნი არიან კონკრეტულ საკითხზე. ექსპერტებად მოწვეულნი არიან იმ უმცირესობათა სათვისტომოებიდან, რომელთა შესახებაც არის მოხსენება, აგრეთვე მეცნიერები, ჟურნალისტები, მკვლევარები და ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ავტორს სთხოვენ გაითვალისწინოს ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები. ამ გზით **უუსჯ** ცდილობს გამოაქვეყნოს რაც შეიძლება ზუსტი, შთამბეჭდავი და დაბალანსებული მოხსენება.

აზერბაიჯანელი ლტოლვილი
ლაჩინიდან/ბერძორი

იან ბანინგის ფოტო

სამხრეთი კავკასია: ნაციონალიზმი, კონფლიქტი და უმცირესობები

შინაარსი

შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმები

შესავალი

რეგიონის რუკა

წინასიტყვაობა

ისტორია და პოლიტიკა

რუკის სახეცვლილება: გადარჩენა ცალ-ცალკე

სამომავლო დაყოფის საზღვრები

უმცირესობები ახალშექმნილ სახელმწიფოებში

დასკვნები

რეკომენდაციები

შენიშვნები

ბიბლიოგრაფია

შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმები

ეროვნულ და ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების დეკლარაცია (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ; 1992 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 47/135)

მუხლი 1

1. ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიებზე უნდა დაიცვან უმცირესობების არსებობა, მათი ეროვნული ან ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და ენობრივი თვითმყოფადობა და შექმნან პირობები ამ თვითმყოფადობის განვითარებისათვის.
2. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყნებმა უნდა მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა და სხვა ზომები.

მუხლი 2

1. პიროვნებებს, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობას (შემდგომში: უმცირესობების წარმომადგენელი) უფლება აქვთ ისარგებლონ თავიანთი კულტურით, მისდონ თავიანთ რელიგიას და ისაუბრონ თავიანთ ენაზე პირად ცხოვრებასა და საზოგადოებაში თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევისა და დისკრიმინაციის გარეშე.
2. პიროვნებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობას, უფლება აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
3. პიროვნებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობას, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ განხილვებში სახელმწიფო და რეგიონალურ დონეზე, სადაც განიხილება იმ უმცირესობათა საკითხები, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან ან იმ რეგიონს, სადაც ისინი ცხოვრობენ; ეს მონაწილეობა უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. პიროვნებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობას, უფლება აქვთ დააფუძნონ თავიანთი გაერთიანებები.
5. პიროვნებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობას, უფლება აქვთ დაამყარონ ურთიერთობები და თავისუფლად და მშვიდობიანად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ითანამშრომლონ თავიანთი ჯგუფის წევრებთან, სხვა უმცირესობათა წარმომადგენლებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან, რომლებსაც მათთან ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი კავშირები აქვთ.

მუხლი 3

1. პიროვნებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობას, შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლებები, მათ შორის - ამ დეკლარაციით მინიჭებული უფლებებიც - ინდივიდუალურად ან თემის მეშვეობით, მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად - ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

- ამ დეკლარაციით მინიჭებული უფლებების განხორციელებამ ან განუხორციელებამ არ უნდა მიაყენოს რაიმე ზიანი პიროვნებას, რომელიც უმცირესობას ეკუთვნის.

მუხლი 4

- ქვეყნებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაატარონ ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ უმცირესობების წარმომადგენლები კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით და გარეშე სრულად და ეფექტურად განახორციელონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ყოველგვარი დისკრიმინაციის.
- ქვეყნებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცეთ საშუალება განავითარონ თავიანთი თვითმყოფადობის ნიშნები: კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და ჩვევები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს.
- ქვეყნებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა უმცირესობების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მშობლიური ენის შესწავლის ან მშობლიური ენის გაგების ხელსაყრელი პირობები.
- ქვეყნებმა სასურველია განახორციელონ ღონისძიებები განათლების სფეროში, რათა მათ ტერიტორიებზე მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცეთ საშუალება შეისწავლონ თავიანთი ისტორია, ტრადიციები, ენა და კულტურა. უმცირესობების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მიიღონ ინფორმაცია მთელი საზოგადოების შესახებ.
- ქვეყნებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცეთ სრული მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკისა და ქვეყნის განვითარებაში.

მუხლი 5

- ეროვნული პოლიტიკა და პროგრამები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სათანადოდ გათვალისწინებულ იქნას უმცირესობათა კანონიერი ინტერესები.
- სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისა და დახმარების პროგრამები ისე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, რომ გათვალისწინებულ იქნას უმცირესობათა კანონიერი ინტერესები.

მუხლი 6

ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების გზით, რათა ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებისა და ნდობის ჩამოყალიბებას.

მუხლი 7

ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ ამ დეკლარაციით განსაზღვრული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 8

1. ამ დეკლარაციის დებულებებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ქვეყნებს იმ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც უმცირესობების წარმომადგენლებს ეხება. ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დეკლარაციების შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულებას.
2. ამ დეკლარაციაში განსაზღვრულმა უფლებებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას ნებისმიერ პიროვნებას, განხორციელოს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.
3. ამ დეკლარაციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის მიზნით ქვეყნების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა არ უნდა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმობის პრინციპები.
4. ეს დეკლარაცია არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის ქვეყნების სუვერენულ უფლებებს, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 9

გაეროს სპეციალურმა უწყებებმა და მისი სისტემის სხვა ორგანიზაციებმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყონ ამ დეკლარაციით განსაზღვრული უფლებებისა და პრინციპების განხორციელებას.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულება (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ; 1966 წლის 16 დეკემბრის რეზოლუცია 2200 /XXI/)

მუხლი 27

ქვეყნებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, ასეთ უმცირესობებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავიანთ თემთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, მისდინონ თავიანთ რელიგიას და ისაუბრონ მშობლიურ ენაზე.

კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ; 1965 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია 2106/XX/)

მუხლი 2

2. მონაწილე ქვეყნებმა, შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად, კონკრეტული ღონისძიებები უნდა გაატარონ სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში, რათა უზრუნველყონ გარკვეული რასობრივი ჯგუფების განვითარება და დაცვა, რათა მათ საშუალება მიეცეთ სრულად და თანასწორუფლებიანად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით. ამგვარმა ღონისძიებებმა არ უნდა გამოიწვიოს არათანასწორი ან რაიმე საგანგებო უფლებების ჩამოყალიბება სხვადასხვა

ჯგუფებისათვის მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება ის მიზანი, რისთვისაც განხორციელდა ესა თუ ის ღონისძიება.

შესავალი

ამ მოხსენების ერთ-ერთი მიზანია, ნათელი მოჰფინოს რეგიონს, რომელიც მოხსენების თემა გახლავთ და აჩვენოს, თუ როგორ აღიქმება იგი უცხო თვალთ. მეორე, მაგრამ პოტენციურად უფრო მნიშვნელოვანი მიზანია, აღწეროს უმრავლესობებისა და უმცირესობების ყოფითი პირობები სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ხელი შეუწყოს მათ ერთობლივად დასძლიონ მათ შორის არსებული განსხვავებები და განამტკიცონ თავიანთი საერთო საფუძვლები.

ეს მეორე მიზანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება ნაციონალიზმის ზრდას სამხრეთ კავკასიაში. სულ ათიოდე წლის წინ სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო - რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) ნაწილს შეადგენდნენ - დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ. ამან გამოიწვია ეთნიკური კუთვნილების აღქმის კიდევ უფრო გაძლიერება და განმტკიცება, რაც სამხრეთ კავკასიაში, ტრადიციულად, საკმაოდ ძლიერი იყო. ნაციონალიზმი, რომელიც დომინანტი ან ტიტულოვანი ჯგუფების იდეოლოგიას, ხოლო ხშირად რელიგიასა და ენას წარმართავს - ნორმად აღიქმება, ხოლო უმცირესობებს ნაკლები ყურადღება ექცევათ და ხდება მათი იზოლირება.

ამას გარდა, ნაციონალიზმისა და რეპრესიების ზრდამ, თუმცა ეს საკამათო შეხედულებაა, სამხრეთ კავკასიაში პრაქტიკულად ერთმანეთის მსგავსი კონფლიქტები გამოიწვია - იქნება ეს მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი თუ სამხრეთი ოსეთი. ძალისმიერი სახალხო მოძრაობები და რესპუბლიკების გამოყოფა არის ორი შედეგი რეგიონში არსებული მონოეთნიკური მოწყობის შემაშვოთებელი ტენდენციისა, რომელმაც შესაძლოა კვლავაც გამოიწვიოს შემდგომი დანაწევრება.

უფრო მეტიც, ბოლო ათი წლის განმავლობაში მრავალი სვამს შეკითხვას - გაუმჯობესდა კი ცხოვრების პირობები? დამოუკიდებლობას თან მოჰყვა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის სირთულეები, სამხრეთ კავკასიაში ადამიანთა მხოლოდ მცირე რაოდენობა სარგებლობს სრული დემოკრატიული უფლებებით. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უმცირესობები. სიღარიბეს თან დაერთო იზოლაცია და ხშირად შიშიც. მრავალი მათგანი ემიგრაციაში წავიდა რუსეთის ფედერაციაში, რომელსაც კვლავ მტკიცე კავშირები და გავლენა აქვს რეგიონზე.

ანა მატვეევას მიერ შედგენილი უმცირესობების უფლებათა ჯგუფის მოხსენება გვთავაზობს სამხრეთ კავკასიის დღევანდელი სიტუაციისა და მისი ხალხების მდგომარეობის მკაცრ ანალიზს. მოხსენებაში მოცემულია ძირითადი ხალხების წარმომშობის კონტურები, მათი ისტორია საბჭოთა პერიოდამდე და საბჭოთა რეჟიმის გავლენა

მათზე. განხილულია აგრეთვე ამ ქვეყნების პოლიტიკური განვითარების ასპექტები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ავტორი ამტკიცებს, რომ ის ფორმები, რომელთა ჩარჩოებშიც ყალიბდება საშინაო, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებები, უარყოფით გავლენას მოახდენს უმცირესობათა ჯგუფებზე. ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს რეგიონში "გაყინული" კონფლიქტების საკითხს, ჩიხური სიტუაციის დაძლევის აუცილებლობას და შეფასებას აძლევს ამ კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივებს.

მოსხენებაში ცენტრალური ადგილი უკავია სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების არაერთგვაროვანი და რთული ვითარების აღწერას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რეგიონის მთავრობებს არ სურთ აღიარონ უმცირესობათა უფლებები და მოსახლეობის უმრავლესობათა მრავალ წარმომადგენელს არ აძლევს უმცირესობათა პრობლემები. გარდა ამისა, უმრავლესობა ვერ აღიქვამს უმცირესობათა წვლილის მნიშვნელობას საზოგადოებაში. თავის მხრივ, უმცირესობებს ნაკლებად სჯერათ, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ კეთილდღეობას და ხშირად თავს გაუცხოებულად გრძნობენ.

რეგიონში საერთაშორისო მხრიდან ინტენსიურმა ჩარევამ არაერთგვაროვანი შედეგი გამოიღო. მრავალ ქვეყანას მიაჩნია, რომ სამხრეთი კავკასია მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონია. ისინი დაინტერესებულნი არიან აგრეთვე კასპიის ზღვის ენერგორესურსებით. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება სომხეთისა და საქართველოსადმი წლიურად დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამოცხადებულმა "ტერორიზმის წინააღმდეგ ომმა" გავლენა იქონია რეგიონის პოლიტიკაზე და მუსულმანური უმცირესობების შეშფოთების მიზეზად იქცა. არ ხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებები, რაც მოსალოდნელი იყო ამ ქვეყნების ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან.

იმედია, მოსხენების დასასრულს ჩამოყალიბებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის, კონსტრუქციული თანაარსებობისა და რეგიონის მდგრად განვითარებას. რეკომენდაციები ძირითადად მიმართულია რეგიონის მთავრობებისა და ხალხებისადმი, მაგრამ სხვა ქვეყნების როლი და საერთაშორისო ინტერესებიც არის გათვალისწინებული. საერთაშორისო საზოგადოებრიობის მონაწილე მხარეებმა სწორად უნდა გაიაზრონ თავიანთი გავლენა რეგიონზე, რათა უზრუნველყონ ამ გავლენის დადებითი ეფექტი სამხრეთ კავკასიის ხალხთა ინტერესებზე.

მარკ ლატიმერი

დირექტორი

2002 წლის აპრილი

წინასიტყვაობა

სამხრეთი კავკასია, რომლის შემადგენლობაშიც შედის სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო, საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია კონფლიქტებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენდნენ. იგი ევრაზიის სტრუქტურისა და ახლო აღმოსავლეთის მთიანეთის შესაყარზე მდებარეობს, შავ და კასპიის ზღვებს შორის და მას კავკასიონის მთები კვეთს. რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ რეგიონის მცხოვრებთა ურთიერთშერევის სირთულე განაპირობა და დაეხმარა მათ შეენარჩუნებინათ მყარი ტერიტორიული სახე. ისტორიულად ეს რეგიონი საბრძოლო არენა იყო, რომელიც სხვადასხვა დროს სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და თითოეული მათგანი აქ თავისი კულტურული თუ პოლიტიკური მემკვიდრეობის კვალს ტოვებდა. რეგიონის ისტორიამ და გეოგრაფიამ გააძლიერა რეგიონის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება.

ეს ქვეყნები, თავიანთ მეზობლებთან - ირანთან, თურქეთთან და რუსეთთან შედარებით, პატარა ქვეყნებია, რაც საკმაოდ დაუცველს ხდის მათ გარეშე ძალების ზეგავლენისაგან. სომხეთის მოსახლეობის რაოდენობა 3 336 100 შეადგენს (2001 წლის ივლისის მონაცემებით; 2001 წლის ოქტომბრის აღწერის მონაცემები ზუსტდება). მათგან სომეხი ეროვნებისა არის მოსახლეობის 97-98 პროცენტი. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შეადგენენ ბერძნები, რუსები და იეზიდო ქურთები.¹ აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა არის 7 953 400 (1999 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით). მათგან 91 პროცენტი ეთნიკური აზერბაიჯანელია; ყველაზე დიდ უმცირესობას (2,2%) ლეზგები შეადგენენ; შემდეგ მოდიან ხუნძები (0,6%). სხვა კავკასიური ერები და რუსები მოსახლეობის 1,8% შეადგენენ. საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონია (2001 წლის მონაცემებით)²; ძირითად უმცირესობებს შეადგენენ აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და რუსები (პროპორციული შემადგენლობა ფართო დისკუსიის საგანია).

მეოცე საუკუნეში, კომუნისტების მმართველობის დროს, ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ზეეროვნული საბჭოთა სახე, თუმცა ეთნიკური კუთვნილების გამოხატვის მიზნით, უფრო დიდი ჯგუფებისათვის ყალიბდებოდა საკმაოდ წინააღმდეგობრივი ავტონომიური სტრუქტურები. გორბაჩოვის პერიოდის მოსკოვის კონტროლის შემსუბუქებამ აჩვენა, თუ რაოდენ მყიფე იყო ეს ერთიანი სახე და როგორ ძლიერდებოდა ეთნიკური კავშირები.

რეგიონების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ 1980-იან წლებში გამოხატულება ჰპოვა შეჯიბრის ხასიათის ნაციონალიზმის ზრდაში და საბჭოთა ინტელიგენციამ სტიმული მისცა რადიკალურ ეთნოცენტრიზმს. ამას მოჰყვა ეთნიკური ომები აფხაზეთში, მთიან ყარაბაღსა და სამხრეთ ოსეთში, რამაც გამოიწვია ადამიანთა იძულებითი გადაადგილება და მასობრივი უბედურებები. საერთაშორისო კანონმდებლობაში არ არის რაიმე მზა გადაწყვეტილება, როდესაც საქმე ეხება, ერთის მხრივ, ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, თვითგამორკვევის უფლებას. იმავდროულად, მიმდინარე მოვლენების

შედგად, სეპარატისტული ერთეულები სულ უფრო დაშორდნენ დამოუკიდებლად აღიარებულ ქვეყნებს.

რუსეთის დომინირებისაგან განთავისუფლებულმა სამხრეთ კავკასიის ძირითადმა ერებმა - სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ქართველებმა - დაიწყეს თანამედროვე სახელმწიფოების აღმშენებლობა, რომლებიც ტიტულოვანი ჯგუფების გარშემო იყო ორგანიზებული უკვე დადგენილ სახელმწიფო საზღვრებში. ეკონომიკურმა კრიზისებმა და ცხოვრების სტანდარტების მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია დამოუკიდებლობისადმი იმედგაცრუება. უმრავლესობამ თავისი ბედის თავისუფლად გადაწყვეტის საშუალება მაინც მოიპოვა, ხოლო მათთან ერთად მცხოვრები უმცირესობებისათვის ეს მხოლოდ სირთულეებისა და ეჭვების საფუძველი გახდა. შედეგად გაძლიერდა ემიგრაციული და მონო-ეთნიკური ტენდენციები, რამეთუ ტიტულოვანი ჯგუფები აშენებდნენ ახალ პოლიტიკურ სტრუქტურას და იდეოლოგიას თავიანთ მხარდასაჭერად, ხოლო უმცირესობათა დიდი რაოდენობა სულ უფრო გაუცხოებულად გრძნობდა თავს ახალშექმნილ სახელმწიფოებში.

კონსოლოდაციის ნაცვლად, სამხრეთ კავკასიის დამახასიათებელ ნიშნად დანაწევრება იქცა, რამეთუ სახელმწიფოები და საზოგადოებები კიდევ უფრო დაშორდნენ თავიანთ საერთო საბჭოურ ფესვებს. შეინიშნება ტენდენცია, რომ უცხოელი კომენტატორები და პოლიტიკოსები ზედმეტად უსვამენ ხაზს სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის მსგავსებებს. უდაოდ არსებობს მსგავსება კულტურის, ტრადიციებისა და სხვა ღირებულებების შეფასებისას, თუმცა დამოუკიდებლობის განვითარების ფონზე განხვავებები სულ უფრო იზრდება. რეგიონალური ინტეგრაცია და, ნაწილობრივ, ურთიერთგადამფარავი სუვერენიტეტები ზოგჯერ წარმოდგენილია, როგორც ეთნოსებს შორის არსებული პრობლემების ლაბირინთიდან თავის დაღწევის საშუალება. კავკასიის შიგნით ეს ცნებები დიდ რეზონანსს არ იწვევს. უმრავლესი მოსახლეობის როგორც ხელმძღვანელებმა, ასევე ჩვეულებრივმა მოსახლეობამ იმდენად დიდი წვლილი გაიღო სახელმწიფოებრიობის აღშენებისათვის, რომ ამ იდეისთვის თავის დანებება მათ მკრეხელობად მიაჩნიათ. უფრო მეტიც, ეს საზოგადოებები მეტწილად თავიანთი შიდა მდგომარეობით არიან დაინტერესებულნი და დაკავებულნი საკუთარი პრობლემებით, რაც მათ არ აძლევს საშუალებას თავიანთ უშუალო მეზობლებთან კავშირებით დაინტერესდნენ.

მეორე ტენდენცია ის გახლავთ, რომ სამხრეთ კავკასიის ყველა პრობლემამ მიეწეროს რუსეთის მუდმივ გავლენას რეგიონზე. ამ თვალსაზრისით, უმცირესობები მოიაზრებიან, როგორც სუსტი რგოლი რუსეთის მანიპულაციებში. თუკი მოსკოვს დაარწმუნებდნენ, თავი შეეკავებინა ჩარევისაგან, რასაც ის ახორციელებს, ამას შესაძლოა მშვიდობა და აყვავება მოჰყოლოდა. სანამ მოსკოვის პოსტ-კოლონიური მდგომარეობიდან კავკასიის გამოსვლა შორსაა პოზიტიური განვითარებისაგან, ასეთი შეხედულება კვლავაც ვერ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ძნელია ფართო მასშტაბის ოპოზიციური მოძრაობის ჩამოყალიბება, თუკი მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება არ

დადგება ყურადღების ცენტრში. გარდა ამისა, შემრიგებლობის კულტურისა და სხვადასხვა ჯგუფების პატივისცემის გარეშე, მაინც რთული იქნება სტაბილურობის დამკვიდრება კავკასიაში.

ამ მოხსენებაში წინა პლანზე ძირითადად სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე შიდამოვლენებია წამოწეული, ხოლო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გარკვეულ კონტურებს აყალიბებს. იგი გამიზნულია სამხრეთ კავკასიაში უმცირესობათა საკითხებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ისტორია და პოლიტიკა

ისტორია საბჭოთა წყობილებამდე

საბჭოთა წყობილებამდე სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები დღევანდელი ფორმით არ არსებობდნენ. ზოგიერთ ერს, მაგალითად სომხებსა და ქართველებს, შუა საუკუნეებში ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრიობის ფორმა, რომელიც ძალიან ახლოს იყო დღევანდელ სახელმწიფო მოწყობასთან. ზოგიერთს, მაგალითად აფხაზებს, აქვთ სახელმწიფოებრიობის მსგავსი ისტორია, მაგრამ საბჭოთა დროში მოხდა მისი დაკნინება. სხვებს, მაგალითად აზერბაიჯანელებს, არა აქვთ სახელმწიფოებრიობის ასეთი ხანგრძლივი ისტორია. თუმცა ამ ერების ისტორიაში ის არის საერთო, რომ მათ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა იმპერიები მართავდნენ და თავიანთი მმართველობის წესს ახვევდნენ თავს. ეს არ იყო მუდმივად მყარი მდგომარეობა, რამეთუ ამ ტერიტორიებმა მრავალი მმართველის ხელში გაიარეს. საბჭოთა წყობილებამდე რეგიონში მეტნაკლებად განცალკავებული, თავისუფლად მოძრავი ეთნიკური ჯგუფები შედიოდნენ ჩამოუყალიბებელი საზღვრების გარეშე. ტერიტორიებსა და ეთნოსებს შორის ინსტიტუციონალური კავშირები საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა, რამაც საფუძველი შეუქმნა თანამედროვე ნაციონალიზმის აღმოცენებას.

სომხები

სომხები³ წარმოადგენენ განსაზღვრულ ჯგუფს ინდოევროპულ ოჯახში. ისინი ქსენოფონტეს მიერ მოხსენიებულნი არიან ჩვ. წ-მდე 314 წელს.⁴ მათი თვითმყოფადი ანბანი მეხუთე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. სომხური ქრისტიანული ეკლესია დამოუკიდებელი ეკლესიაა და იგი მონოფიზიტური დოქტრინის მიმდევარია.

სხვადასხვა დროს სომხეთის სამეფო მოიცავდა მიწებს დღევანდელი სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და თურქეთის ტერიტორიებზე. 1828 წლამდე, ანუ რუსეთის იმპერიაში გაერთიანებამდე, აღმოსავლეთი

სომხეთი ირანს ეკუთვნოდა. დასავლეთ სომხეთს ოსმალეთის იმპერია აკონტროლებდა, სადაც სომხებმა 1895 წელს დევნა განიცადეს, რასაც 1915 წელს გენოციდი მოჰყვა - ამ ტერმინს სომხები ხმარობენ, რაზედაც მათ თურქული მხარე ედავება. შედეგად მრავალმა სომხმა ლტოლვილმა აღმოსავლეთ სომხეთს შეაფარა თავი.⁵ სხვადასხვა შეფასებებით, დაღუპულთა რაოდენობა 600 000-დან 2 მილიონამდე იყო. ომამდელი მონაცემებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1.75 მილიონიდან 3 მილიონს შორის მერყეობდა (1915 წლამდე ანატოლიაში მცხოვრები სომხური მოსახლეობის რაოდენობა დაუზუსტებელია). იმდროინდელი როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური მეხსიერება საკმაოდ ძლიერია და თანამედროვე სომეხი ერის სახის ჩამოყალიბების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

სომხები, ისევე როგორც ებრაელები, დიასპორული ერია, რომელსაც ძლიერი სათვისტომოები აქვს საფრანგეთში, რუსეთსა და აშშ-ს დასავლეთ სანაპიროზე. მრავალი სომეხი ცხოვრობს ახლო აღმოსავლეთსა და ირანში. დიასპორის მხრიდან დახმარება და პოლიტიკური ზეგავლენა ზოგჯერ წინააღმდეგობრივ როლს თამაშობს სომხეთის პოლიტიკაში.

საბჭოთა კავშირში შესვლას წინ უძღოდა დამოუკიდებლობის ხანმოკლე, მაგრამ მშფოთვარე პერიოდი (1918-1921). იმ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანი გახლდათ ომი მეზობელ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან. სომხეთის უძველესი პარტია - სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (დაშნაკცუცუნი ან დაშნაკი) ცდილობდა ქვეყანა ემართა ორი ბერკეტით - ნაციონალიზმითა და სოციალიზმით. 1920 წელს, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, დასავლელმა მეკავშირეებმა და თურქეთმა აღიარეს სომხეთის დამოუკიდებლობა და მას ყოფილი იმპერიის გარკვეული სადაო ტერიტორია გადასცეს. თუმცა სომხეთმა დაკარგა მიწები თურქეთის ტერიტორიაზე.

აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელთა ეთნიკური წარმოშობა ბუნდოვანია. საზოგადოდ გავრცელებული შეხედულებით, ისინი თურქულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ ისინი გათურქებული კავკასიელები ან ირანული ოფიციალური ისტორიული წყაროების შესაბამისად, გათურქებული არიანები არიან. თავისი ისტორიის განმავლობაში აზერბაიჯანი იყო მძლავრი სასანიდების, თურქ-სელჯუკების, ცენტრალური აზიის თემურიდების (მე-14, მე-15 საუკუნეები) და ირანელი საფავიდების (მე-15-18 საუკუნეები) იმპერიების ხელში. ამან ეთნიკური მრავალფეროვნება გამოიწვია, რაც საბოლოოდ აზერბაიჯანელ ხალხად ჩამოყალიბდა.⁶ დღეისათვის აზერბაიჯანელები ცხოვრობენ აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და ირანში, რომელიც აზერბაიჯანელთა უმრავლესობის სამშობლოს წარმოადგენს (20 მილიონამდე), თუმცა რაიმე სანდო მონაცემები არ არსებობს.

რუსეთის შესვლა აზერბაიჯანის ჩრდილოეთით მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყო, 1828 წლისათვის მან დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია დაიპყრო. მაშინვე დადგინდა საზღვარი ირანთან. ისლამის გავრცელება ამ ტერიტორიაზე მერვე საუკუნეში დაიწყო, თუმცა შიიტური მიმდინარეობის განვითარება უფრო გვიან, მეთექვსმეტე საუკუნეში იღებს სათავეს ირანელი საფაგიდების გავლენის შედეგად.

მეცხრამეტე საუკუნეში აზერბაიჯანში აღმოაჩინეს ნავთობი, რამაც იგი მსოფლიოში ნავთობის მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ პირველ კერად აქცია. მეოცე საუკუნის დასაწყისში ნავთობის ბუმმა მრავალი სომეხი, ებრაელი, რუსი თუ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენელი მიიზიდა ბაქოში, აზერბაიჯანის დედაქალაქში და საფუძველი დაუდო ამ კუთხის აყვავებასა და ეთნიკურ მრავალფეროვნებას. 1918-1920 წლებში აზერბაიჯანს დამოუკიდებლობის ხანმოკლე გაეღება ჰქონდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მღელვარებები და რომელმაც მრავალი აზერბაიჯანელისა და სომეხის სიცოცხლე შეიწირა. 1920 წელს იგი კვლავ დაიპყრო წითელმა არმიამ მრავალეთნიკური ბაქოელი ბოლშევიკების ხელშეწყობით.

ქართველები

ქართველ ხალხს შეადგენენ ქართულად მოლაპარაკე ადამიანები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევენ, ასევე მეგრულად, ლაზურად და სვანურად მოლაპარაკენი. ქართულ ენას თავისი საკუთარი ანბანი აქვს. აჭარლები, ისტორიულად ქართველი მუსულმანები (აჭარა ოსმალეთის იმპერიამ რუსეთს დაუთმო 1878 წელს), ქართულ დიალექტზე საუბრობენ, რომელშიც შეინიშნება მეგრული და ლაზური ელემენტები. ეს ენობრივი, გეოგრაფიული და ისტორიული კუთვნილებები არის დღევანდელ საქართველოში არსებული წინააღმდეგობების ძირითადი მიზეზი. მაშინ, როდესაც ქართველები ცდილობენ უარყონ ცალკეული ინდივიდუალური ჯგუფების არსებობა, სხვები ამტკიცებენ თავიანთ თვითმყოფადობას.

სომხებთან ერთად, ქართველები ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერია. საქართველოს "ოქროს ხანა" უკავშირდება თამარ მეფის პერიოდს მეთორმეტე საუკუნეში, მაგრამ 1236 წელს მონღოლების შემოსევას მოჰყვა ქვეყნის დანაწევრება და ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების გაბატონება. მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს მმართველებმა რუსეთის მეფის კარზე დაიწყეს მფარველობის ძებნა, რამაც საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიის რუსეთის იმპერიასთან მიერთება გამოიწვია. 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალიის სტატუსი, მოხდა ქართველი თავადაზნაურობის რუსიფიკაცია. მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის ომებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გამოიწვია მუსულმანი მოსახლეობის, როგორცაა აფხაზები და ლეზგები, მასობრივი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში. მათ შთამომავლებს დღეს საკმაოდ დიდი დიასპორა აქვთ თურქეთში. აფხაზეთი რუსეთის მეფის მფარველობის ქვეშ შევიდა 1810 წელს, მაგრამ

იგი ავტონომიას 1864 წლამდე ინარჩუნებდა, ვიდრე რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდებოდა.

საქართველოს სომხურმა დიასპორამ მეცხრამეტე საუკუნეში შექმნა ახალი ბურჟუაზია, რომელიც ურბანული ცხოვრების ხერხემლად იქცა და ძლიერი ეკონომიკური ბერკეტები ჩაიგდო ხელში. რუსეთი, რომელიც შეშფოთებული იყო საქართველოში ეთნიკური სომხების ძალაუფლების ზრდით, პირდაპირ კონტროლს ასორციელებდა მათ რელიგიურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე. ამ დაძაბულობის შემკვიდრეობა ქართველებსა და სომხებს შორის დღესაც არსებობს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული ინტელიგენციის ნაწილი მარქსიზმის მიმდევარი გახდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ახალგაზრდა სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი). მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ საქართველოში თანმიმდევრული განვითარების მომხრე მენშევიკებმა გაიმარჯვეს და შექმნეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. მიუხედავად რუსეთთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულებისა, 1921 წელს წითელი არმია საქართველოში შეიჭრა.

აფხაზები

აფხაზური ენა კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ ჯგუფს განეკუთვნება. იგი ახლოს დგას სირაკუზულ და აბაზა ენებთან. ძალიან მკვეთრი იყო აფხაზეთის დემოგრაფიული ცვლილებები: 1860 წლის 140000-იანი მოსახლეობა, 1886 წლისათვის 58 000-მდე შემცირდა, ხოლო შემდგომ 103 000-მდე გაიზარდა (1989 წლის აღწერის მონაცემებით). 1928 წელს შეიქმნა ერთიანი აფხაზური ანბანი, რომელსაც ლათინური ასოები დაედო საფუძვლად, ხოლო 1938 წელს იგი ქართული ასოებით შეიცვალა. 1944-54 წლებში ქართულმა ენამ შეცვალა აფხაზური ენა საზოგადოებრივ სფეროში, რაც აფხაზთა გაქართველების მიზნით გაკეთდა. დღევანდელი, კირილიცაზე დაფუძნებული ანბანი 1954 წელს შეიქმნა, რის შედეგადაც მრავალი ასიმილაციური ასპექტი იქნა შეცვლილი.

მთელი ისტორიის მანძილზე აფხაზეთი სხვადასხვა იმპერიების შემადგენლობაში იმყოფებოდა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ იგი დამოუკიდებელი პოლიტიკური და კულტურული ერთეული იყო, შემდგომ კი საქართველოს იმპერიის ნაწილი გახდა. მეთხუთმეტე საუკუნეში, ოსმალეთის იმპერიის დაპყრობითი ომების შედეგად, აფხაზეთში ისლამური რელიგია გავრცელდა. მეთვრამეტე საუკუნეში აფხაზები და ქართველები ერთიანი ძალისხმევით ცდილობდნენ ოსმალეთის მმართველობის გადაგდებას. 1810 წელს აფხაზეთი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა.

საბჭოთა პერიოდი

შუა აზიისაგან განსხვავებით, ბოლშევიკურმა ძალებმა, ადგილობრივი კომუნისტური ჯგუფების ხელშეწყობით, სამხრეთ კავკასიის

ხელახალი დაპყრობა შედარებით სწრაფად შეძლეს. ბოლშევიკებმა, განსაკუთრებით სტალინმა - რომელიც კარგად იცნობდა კავკასიას, უნარიანად ისარგებლეს უმცირესობების უკმაყოფილო განწყობით მმართველი უმრავლესობისადმი. შეჰპირდნენ რა მთელ რიგ ხალხებს, რომ აღიარებდნენ მათ ეროვნული მოთხოვნებს, წინააღმდეგობაც ადვილად დასძლიეს. სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო 1922 წლიდან 1936 წლამდე ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიოდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში, შემდგომში კი ცალკე ერთეულებად დაიშალნენ. უმცირესობათა დაცვის მიზნით აზერბაიჯანსა და საქართველოში შეიქმნა უფრო დაბალი სტატუსის ადმინისტრაციული ერთეულები, რათა დაცული ყოფილიყო უმცირესობათა უფლებები ეთნიკურ ტერიტორიებზე და შექმნილიყო სამართავად უფრო ადვილი ეთნიკურად მრავალფეროვანი ერთეულები.

საბჭოთა სისტემისათვის ცნობილი იყო ეთნიკური კუთვნილების ძალა და იგი ამას იყენებდა საზოგადოებაში დაძაბულობის შესამცირებლად. თუმცა ეთნიკურ ასპექტებზე დაფუძნებული ეროვნული სენტიმენტებისა და პოლიტიკური მოთხოვნების გამოხატვა აკრძალული იყო. ქართული წარმოშობის კომუნისტმა ლიდერებმა ვერ ააცილეს თავიანთ სამშობლოს 1920-1930-იანი წლების წმენდა, რამაც მძიმე დაღი დაასვა ქართულ ინტელიგენციას. თუმცა საქართველომ და მთლიანად სამხრეთმა კავკასიამ სიმბოლური მნიშვნელობის ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რაც გამოიხატა ამ რეგიონების ეკონომიკურ სუბსიდიებსა და ფასების სისტემაში, რაც ამ რეგიონში მაღალი ცხოვრების სტანდარტების ჩამოყალიბების მიზნით განხორციელდა. საბჭოთა სისტემა ისე ღრმად ვერ შეიჭრა კავკასიის საზოგადოებაში, როგორც სსრკ-ს სლავურ ნაწილში. კერძო მეწარმეობა და შავი ბაზარი აქ ბოლომდე არასოდეს აღმოფხვრილა, ხოლო კორუფცია ამსუბუქებდა ავტორიტარული სისტემის გავლენას.

ადრეულმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა მოწყობამ საფუძველი დაუდო ეთნო-ტერიტორიულ დავესს, რომელებმაც თავი იჩინეს საბჭოთა კავშირის დანაწევრებისას. 1920-იან წლებში სტალინმა თურქეთთან ურთიერთობების აღდგენის გზების ძიება დაიწყო და ამ მიზნით მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის მოთხოვნებს, მიეკუთვნებინათ მისთვის ძირითადად სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღისა და ნახჭევანის ტერიტორიები. ამ უკანასკნელის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი მუსულმანები იყვნენ, ხოლო ნახევარი - სომხები. ეს პოლიტიკური ამბიციები ეწინააღმდეგებოდა სომეხთა მისწრაფებას გაეერთიანებინათ თავიანთი ისტორიული მიწები, სადაც სომხები კვლავ უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილნი. ამან საფრთხე შეუქმნა მათ ურთიერთობას მოსკოვთან.

მრავალფეროვანი საქართველო საბჭოთა ეთნო-ფედერალური მოწყობის სუბიექტი გახლდათ, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, რაც უმაღლესი სტატუსი იყო ფედერაციის შიგნით. მის შემდეგ მოდიოდნენ ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკები, რაც რანგით მეორე იყო. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე აფხაზეთი

1921 წელს ცალკე საბჭოთა რესპუბლიკად აღიარეს, მაგრამ იმავე წლის ბოლოს მიერთებულ იქნა საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკასთან კონფედერაციის შემადგენლობაში. აფხაზეთის სტატუსის დაქვეითება 1931 წელს მოხდა, როდესაც იგი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. 1930-იან წლებში აფხაზეთში განხორციელდა ქართული მოსახლეობის დიდი რაოდენობით ჩასახლება. განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ამ პროცესმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. 1989 წლისათვის 93 000 აფხაზი აფხაზეთის მოსახლეობის 17 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ეთნიკური ქართველები (ძირითადად მეგრელები) - 45 პროცენტს. ქართველები უკმაყოფილონი იყვნენ აფხაზეთა მიმართ გატარებული "პრივილეგირებული" პოლიტიკით, რაც გამოიხატებოდა კადრების დანიშვნაში, კომუნისტური პარტიის წევრობის კვოტებში და აფხაზური ენისა და კულტურის განვითარების მხარდაჭერაში (თუმცა 1930-1950 წლებში დაიხურა აფხაზური სკოლები, შეიზღუდა აფხაზური ენა და ბევრ აფხაზს დეპორტაცია დაემუქრა). სამხრეთი ოსეთი, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ფერდობებზე მდებარეობს და რომლის მოსახლეობაც უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე აფხაზეთის მოსახლეობა, ავტონომიურ ოლქად (ოლქი ავტონომიურ რესპუბლიკაზე დაბალი სტატუსია) ჩამოყალიბდა საქართველოს შემადგენლობაში, რამაც ეთნიკური დაძაბულობის კიდევ ერთი კერა შექმნა. სამხრეთი ოსეთი თბილისიდან იმართებოდა და მოწყვეტილი იყო დანარჩენ ოს ხალხს, რომელთა უმრავლესობაც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს.

მოსკოვი არბიტრის როლს ასრულებდა ეთნიკურ უმცირესობებსა და ტიტულოვან ჯგუფებს შორის. იმ პერიოდში იგი ტიტულოვანი ერების სასარგებლოდ მოქმედებდა, მაგრამ ცდილობდა დაეცვა ეთნოსთა ბალანსი კადრების დანიშვნისას და აწინაურებდა ადგილობრივ კადრებს ნომენკლატურული სისტემის მეშვეობით, სადაც ხდებოდა საბჭოთა ელიტის წარმომადგენელთა როტაცია უმცირესობათა ჯგუფებიდან, რომლებიც რესპუბლიკების დედაქალაქებსა და მოსკოვში ინიშნებოდნენ. მოგვიანებით ამ ადამიანთა უმრავლესობა თავის კარიერას ოპოზიციურ ეთნიკურ ტერიტორიაზე ამთავრებდა.

საბჭოთა კავშირში ეთნიკურ უმცირესობებს მკაცრად ზღუდავდნენ თავიანთი ეროვნული მისწრაფებების გამოხატვაში. რეჟიმი ვერ ეგუებოდა ადმინისტრაციული ავტონომიის მოთხოვნას. თუმცა, მათ მრავალი უფლება ჰქონდათ მინიჭებული ენისა და კულტურის განვითარების სფეროში. საბჭოთა პოლიტიკამ, უანბანო ენებისათვის შეექმნა კირილიცაზე დაფუძნებული დამწერლობა, სწრაფად აღმოფხვრა წერა-კითხვის უცოდინრობა; კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებამ ხელი შეუწყო კავკასიაში ეთნიკური მრავალფეროვნების გაძლიერებასა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

საბჭოთა წყობილების სამოცდაათწლიანმა ეპოქამ მდგრადი მთავრობა ჩამოაყალიბა; მოდერნიზებულ და განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანთა უმრავლესობა ფიზიკურად და სოციალურად

დაცული იყო. იგი ხელს უწყობდა ერთა ენების, კულტურის და განათლების განვითარებას. ამასთანავე, ეს სისტემა არ აძალავდა საშუალებას კავკასიელებს, თავად გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი, მათ თავს ახვევდნენ მოდერნიზებულ პროექტებს, ავიწროებდნენ რელიგიას, დევნიდნენ პროფესიონალებს და არღვევდნენ კავშირებს კავკასიასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, განსაკუთრებით - მათ სამხრეთელ მეზობლებთან, ხოლო სომხები მოწყვეტილი ჰყავდათ თავიანთი დიასპორისაგან უცხოეთში.

დამოუკიდებლობის მოპოვებისას კავკასიელთა უმრავლესობა თავის საბჭოურ ისტორიას განიხილავდა, როგორც კომუნისტების მხრიდან დევნისა და რუსიფიკაციის პერიოდს, რასაც მათთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. თუმცა დამოუკიდებლობის პირველი ათი წლის შემდეგ, როდესაც უკეთესი ცხოვრების იმედები გაფანტა, მომძლავრდა ნოსტალგია საბჭოთა დროისადმი.

"პერესტროიკის" დროს დაწყებულმა თავისუფლებამ ვერ შეძლო ყველა სახის ხელისუფლებების გამოხატვა, მათ შორის უმცირესობათა მმართველობის, მაგრამ შექმნა გარკვეული მექანიზმები, დღის წესრიგში დამდგარიყო ეს საკითხი. 1980-იანი წლების ბოლოს განვითარებულმა მღელვარე მოვლენებმა ცენტრლური ხელისუფლების შესუსტების უპრეცედენტო შესაძლებლობებს ჩაუყარა საფუძველი, რომლის გამოყენებაც ძალზე სწრაფად დაიწყო კავკასიაში მოქმედმა პოლიტიკოსებმა სულ მცირე შესაძლებლობებიდან დაწყებული, დასაშვები ზღვრით დამთავრებული.

კავკასიაში ეთნიკურ ჯგუფთა მთავარი მოთხოვნა საწყის ეტაპზე მხოლოდ შიდა საშინაო ურთიერთობებში მეტი თავისუფლების მოპოვება იყო და არა სრული დამოუკიდებლობა. უმცირესობათა კულტურული უფლებების გაფართოების მოთხოვნა დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა, რაც იმ პერიოდში დემოკრატიულ მოძრაობად აღიქმებოდა. პერესტროიკამ უფრო მასშტაბური განვითარება ჰპოვა. წინა პლანზე ეროვნულმა განწყობამ წამოიწია, რამაც სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩააგდო რუსი დემოკრატები და თვით გორბაჩოვიც. გორბაჩოვის უუნარობამ, სწორ კალაპოტში წარემართა ეროვნული უკმაყოფილება კავკასიაში, აგრეთვე საბჭოთა ჯარების უხეშმა ქმედებებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტაზე 1989 წლის აპრილში თბილისში, ხოლო შემდგომ 1990 წლის იანვარში - ბაქოში, მოსკოვის კონტროლის მოწინააღმდეგე ძალთა გააქტიურება გამოიწვია. 1991 წელს სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა წყობილება დაემხო და საქართველოსა და სომხეთში სათავეში დამოუკიდებლობის მომხრე ხელისუფლება მოვიდა. აზერბაიჯანში კვლავ მოქმედებდა "რეფორმირებული" კომუნისტური მთავრობა.

დამოუკიდებლობა

სომხეთი

სომხეთი კავკასიაში თითქმის ერთადერთი მონოეთნიკური ქვეყანაა (მოსახლეობის 98 პროცენტი სომეხია). საბჭოთა პერიოდში სომხები მოსახლეობის 98 პროცენტს შეადგენდნენ. მეზობელ აზერბაიჯანთან ყარაბაღის კონფლიქტმა (იხ. რუკის სახეცვლილება, გვ.11-14) ქვეყნიდან ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და მუსულმანი ქურთების განდევნა გამოიწვია, ხოლო ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მრავალი რუსი ეროვნების მოქალაქე ემიგრაციაში წავიდა.

დამოუკიდებლობას თან მოჰყვა ელიტის ცვლილება. ახალი ლიდერები, რომლებიც ძირითადად ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად გამოჩნდნენ, დაკავშირებულნი არიან შეირადებულ ბრძოლებთან და უშიშროების ძალებთან. საბჭოთა რეჟიმის დროს დაწყებული ხელისუფლების *დე ფაქტო* გადასვლა კომუნისტებიდან ეროვნულ ძალებზე უკვე აშკარად გამოჩნდა. 1988 წელს შექმნილი დისიდენტთა ჯგუფი, სომხეთის ეროვნული მოძრაობა - ეროვნული მობილიზებისა და შემდგომი სახელმწიფო მშენებლობის მამოძრავებელი ძალა გახდა. მისი ლიდერი ლევონ ტერ-პეტროსიანი 1991 წელს სომხეთის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. 1990 წელს, აიღო რა ხელში ძალაუფლება, სომხეთის ეროვნულმა მოძრაობამ უდიდესი როლი ითამაშა გარდამავალ პერიოდში, რომელმაც უზრუნველყო სტაბილური მთავრობის შენარჩუნება და შეიარაღებული ფორმირებების გარდაქმნა ორგანიზებულ სამხედრო ძალად.

სომხეთზე მძიმე გავლენა მოახდინა ყარაბაღის კრიზისმა (დაიწყო 1988-89 წლებში), რომლის შედეგადაც დაიხურა მისი საზღვრები აზერბაიჯანთან და თურქეთთან. მოსახლეობა გათბობისა და ელექტროენერჯის გარეშე დარჩა. მაღალურბანისტული და ინდუსტრიული საზოგადოებისათვის რთული აღმოჩნდა სოფლის მეურნეობაზე გადასვლა, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელები და ქურთები, რომლებიც ძირითადად ფერმერულ საქმიანობას ეწეოდნენ, ქვეყნიდან განდევნეს. ეკონომიკური და სოციალური სირთულეები, ძირითადად, რეჟიმს დაბრალდა. ენერგეტიკული კრიზისი დაძლეულ იქნა მესტამორის ატომური ელექტროსადგურის ხელახალი ამუშავებით (იგი 1988 წელს დაიხურა), რომელიც ერევნის მიმდებარე სეისმურ ზონაში მდებარეობს და აგრეთვე დიასპორის მიერ გაწეული მატერიალური დახმარების საშუალებით, მაგრამ იმ პერიოდის ტრავმა მოსახლეობაში დღესაც შეინიშნება. იმ დროის სირთულეები კვლავ პირველ პრეზიდენტს ბრალდება.

კარგავდნენ რა საზოგადოების მხარდაჭერას, ტერ-პეტროსიანმა და სომხეთის ეროვნულმა მოძრაობამ ოპოზიციასა და მედიის წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დაიწყეს. 1994 წელს აიკრძალა დაშნაკების პარტია, ხოლო მისი ლიდერები დააპატიმრეს. 1996 წლის სექტემბერში საპრეზიდენტო არჩევნების დროს მომხდარმა დარღვევებმა ტერ-პეტროსიანს გამოაცალა საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმურობა და

იგი უშიშროების ძალების ტყვე გახდა, რომლებიც მას ხელისუფლების შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ.

მეზობელი საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, სომხეთმა მოახერხა გარდამავალ პერიოდში თავიდან აეცილებინა სამოქალაქო ომი. ელიტარულ ჯგუფებს შორის კვლავ გრძელდებოდა ძალისმიერი პოლიტიკური ბრძოლები, ზოგჯერ საკმაოდ უკიდურესი ფორმითაც. პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი 1998 წელს აიძულეს გადამდგარიყო მისი მზადყოფნის გამო წასულიყო კომპრომისებზე ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე სულ უფრო მზარდი შიდაავტორიტარული მმართველობისათვის. 1998 წლის მარტში, არჩევნების გაყალბების განცხადებების ფონზე, სომხეთის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ყარაბაღის ლიდერი რობერტ ქოჩარიანი. 1999 წლის ოქტომბერში, პირდაპირ მოქმედმა ჯგუფმა, სომხეთის პარლამენტის შენობაში მოკლა პრემიერ მინისტრი და კიდევ ექვსი პოლიტიკოსი. 2000 წლის მარტში განხორციელდა თავდასხმა არკადი გუკასიანზე, აუღიარებელი ყარაბაღის "პრეზიდენტზე"; 2001 წლის თებერვალში სამხედრო ტრიბუნალმა ამ თავდასხმაში მონაწილედ დაასახელა ყარაბაღის თავდაცვის მინისტრი, რომელიც აცხადებს, რომ ეს ბრალდება პოლიტიკურ მოტივზეა დაფუძნებული.

სომხეთის ეროვნულმა თვითმყოფადობამ და ეროვნულ უმცირესობათა ფაქტობრივმა არარსებობამ წარმოშვა ნაციონალიზმი ძლიერი შიდა ურთიერთკავშირით, რომელმაც საფუძველი დაუდო საზოგადოების მობილიზებას შემოქმედებითი კურსისაკენ და ქვეყანას შინაურ მტრებთან დაპირისპირება ააცილა. ხელისუფლება და საზოგადოება აქ ისე არ არის ერთმანეთისაგან დაშორებული, როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანში, სადაც სათავეში კვლავ ძველი პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლები არიან.⁹ მიუხედავად იმისა, რომ ახალი პოლიტიკოსები, ახალი ელიტა, გრძნობს პასუხისმგებლობას თავიანთი ქვეყნის წინაშე, ეკონომიკური შესაძლებლობები გარკვეული ჯგუფის ხელშია განაწილებული. პოლიტიკის განხორციელება და გაძლიერება ხშირად მკაცრი მეთოდებით ხდება, მაგრამ განვითარების პროგრამა უზრუნველყოფილია და პიროვნებათა უსაფრთხოების საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას.

რესპუბლიკის გადარჩენაში დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო ურთიერთობები და დიასპორა. სომეხმა პოლიტიკოსებმა მოახერხეს შეენარჩუნებინათ მჭიდრო თანამშრომლობა როგორც რუსეთთან, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 2001 წელს საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარება მათი კიდევ ერთი გამარჯვება იყო.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის პირველ წლებში ინტენსიურმა პოლიტიკურმა არეულობებმა და სერიოზულმა ბრძოლებმა ყარაბაღში, ქვეყანას დიდი ტკივილი მიაყენა. 1992 წლის თებერვალში ხოჯალიში

მომხდარი მშვიდობიანი აზერბაიჯანელი მოქალაქეების დახოცვის ფაქტის შედეგად მისი პირველი პრეზიდენტი, ყოფილი კომუნისტი, აიძულეს გადაამდგარიყო. ქვეყნის სათავეში აზერბაიჯანის ოპოზიციური სახალხო ფრონტი მოვიდა, მაგრამ მან ვერ შეძლო დაემყარებინა ელემენტარული კანონიერება და წესრიგი. მისმა ანტირუსულმა და პროთურქულმა განწყობამ უმცირესობებზე უარყოფითი გავლენა იქონია, რამეთუ იქ არსებულ უმცირესობათა არცერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი არ არის თურქული წარმოშობის - მათ რუსეთისკენ უფრო ძლიერი ლტოლვა აქვთ. არაადგილობრივმა უმცირესობებმა, რუსებმა და ებრაელებმა, აგრეთვე იქ დარჩენილმა სომხებმა ძირითადად რუსეთს მიაშურეს. ყარაბაღის ომი დამატებითი სტიმული გახდა მიგრაციისათვის.

1993 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელიც აზერბაიჯანში განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალების ფარული მხარდაჭერით განხორციელდა და რომელსაც განჯელი გაიძვერა პოლკოვნიკი ჰუსეინოვი ხელმძღვანელობდა, ხელისუფლებაში ისევ დააბრუნა ყოფილი კომუნისტი მმართველი - ჰეიდარ ალიევი. პერესტროიკის პერიოდში ალიევი თამაშვარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მან მოახერხა კვლავ აღედგინა თავისი პოლიტიკური კარიერა თავისი მშობლიური ნახჭევანის ტერიტორიაზე. ტერიტორიულ კუთვნილებას აზერბაიჯანის პოლიტიკურ კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, რაც პრაქტიკულად აფუძნებს პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ქსელს.

ალიევის მმართველობამ ქვეყანას სტაბილურობა, მოკრძალებული კეთილდღეობა და უმცირესობებისადმი შემრიგებლური პოლიტიკა მოუტანა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება ალიევისა და მისი ოჯახის წევრების ხელშია. ალიევს (დაბადებულია 1923 წელს), რომლის ფიზიკურ არსებობაზეც არის დამოკიდებული აზერბაიჯანის სტაბილურობა, უდავოდ აწუხებს, რა იქნება მის შემდეგ. მისი ვაჟი ილხარი საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც მისი მემკვიდრე. თუმცა ადგილობრივ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ნამდვილი მემკვიდრისაგან ყურადღების აცილების მიზნით კეთდება.

ალიევის რეჟიმის დემოკრატიულობის მანდატი საკმაოდ არამყარია. ყველა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები არაკეთილსინდისიერად ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ 1998 წელს გაუქმდა ცენზურა, თავისუფალმა მედიამ ვერ მოახერხა განვითარება. თვითცენზურა აქ ფართოდ არის გავრცელებული. "უცნობი პირების" მიერ ოპოზიციის აქტივისტთა, ჟურნალისტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ცემა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. უშიშროების სამსახურები დევნიან და თავს აბეზრებენ პიროვნებებს, რომლებიც ზედმეტ დამოუკიდებლობას იჩენენ. პრეზიდენტის მრჩევლები და მინისტრები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ელიტის გარეთ. თამაშის ყველა წესს ალიევი ადგენს.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ცხოვრება სულაც არ არის უფერული. მრავალი ადამიანი პატივისცემით არის გამსჭვალული იმ წესებისა და უსაფრთხოებისადმი, რაც ალიევის მმართველობამ მოიტანა. მან ვერ

შედლო კორუფციის აღმოფხვრა, მაგრამ ეს მდგომარეობა გარკვეულწილად არბილებს პოლიტიკურად ავტორიტარული სისტემის გავლენას. ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციას აუმჯობესებს ინვესტიციები ენერგეტიკის სფეროში, რეგიონალური ვაჭრობა, კომუნიკაციების საშუალებებთან ხელმისაწვდომობა და უცხოეთიდან შემოსული კაპიტალი.

ალიევის რეჟიმს აზერბაიჯანის ოპოზიცია აძლიერებს, რომელიც ძირითადად მწვავე შიდაბრძოლებითაა დაკავებული. ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივი ჯგუფების აზრით, ოპოზიციური პარტიები არ გამოიჩენიან დემოკრატიულობით: ალიევი ადამიანის უფლებათა დამცველებს მოქმედების საშუალებას მაინც აძლევს, ხოლო თუკი ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში, შესაძლოა მათ ესეც არ გააკეთონ.¹⁰ გარკვეულ შემთხვევებს იწვევს აგრეთვე ოპოზიციის საომარი განწყობილება. შედეგად, ხალხის აზრი და დასავლურ პოლიტიკაზე ორიენტირებული საზოგადოება განწყობილია მხარი დაუჭიროს ალიევის რეჟიმს, როგორც ნაკლებად ცუდ არჩევანს.

საქართველო

საბჭოთა კავშირის დაშლისას საქართველო ყველაზე უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო კავკასიაში. 1989 წლის აღწერის შედეგებით, ქართველები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 69 პროცენტს შეადგენდნენ; ცალკეული ქართველური ჯგუფების რეგისტრირება, მაგალითად, როგორებიც არიან მეგრელები, აკრძალული იყო. უმცირესობის ყველაზე დიდი ჯგუფი, სომხები, 9 პროცენტს, ხოლო რუსები 7 პროცენტს შეადგენდნენ, რომლებიც ძირითადად თბილისში იყვნენ თავმოყრილი.

საქართველომ დამოუკიდებლობისაკენ გზა შიდა ბრძოლებით, სამოქალაქო ომითა და პოლიტიკური მკვლევლობებით გაიკაფა. 1990-91 წლების ეროვნულმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია და მისი რადიკალური ბლოკი, "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" მოიყვანა, რომელმაც ეროვნული ძალები გაააქტიურა. უმცირესობები "საქართველოს ტერიტორიის სტუმრებად" იქნენ გამოცხადებულნი, რასაც ეთნიკური შეტაკებები მოჰყვა. გამსახურდიას მმართველობის ავტორიტარულმა სტილმა მისი ყოფილი მხარდამჭერების უკმაყოფილება და სამოქალაქო ომი (1992-93) გამოიწვია, რასაც შედეგად ქვეყნის ფაქტიური დეზინტეგრაცია მოჰყვა. ამას თან დაემთხვა კონფლიქტები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე: სამხრეთ ოსეთსა (1991) და აფხაზეთში (1992). 1992 წელს, გამსახურდიას დედაქალაქიდან განდევნის შემდეგ, შეიარაღებული ფორმირებების ცნობილმა მეთაურებმა, კიტოვანმა და იოსელიანმა, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელად საქართველოს ყოფილი კომუნისტური ლიდერი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოიწვიეს.

თავიდან შევარდნაძეს სუსტი პოზიციები ჰქონდა, რაც გახლდათ დედაქალაქში ზვიადისტებსა (პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერები)

და მის უმართავ მოკავშირეებს შორის სამოქალაქო ომის შედეგი. 1995 წლისათვის ზვიადისტები, პრაქტიკულად, დამარცხდნენ, თუმცა რუსეთის სამხედრო ძალის დახმარებით; სანაცვლოდ, შევარდნაძემ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შეიყვანა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სიმბოლური ორგანიზაცია გახლავთ, სადაც რუსეთი დომინირებს; მასში არ შედიან ბალტიის ქვეყნები. პრეზიდენტმა თავიდან მოიცილა აგრეთვე შეირადებული ძალების მეთაურები და პოტენციური მტრები.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის რეპუტაციის გამოყენებით, შევარდნაძემ შეძლო დასავლეთის, განსაკუთრებით აშშ-ს, მხარდაჭერის მოპოვება და უპრეცედენტო მასშტაბების ფინანსური დახმარების მიღება.: 2000 წელს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე 200 აშშ დოლარი დახარჯა. საქართველოს ევრო-ატლანტიკური ორიენტაცია და ანტირუსული პოზიცია ინვესტიციების მიღების კარგი მექანიზმი გამოდგა, რითაც შეინიღბა მოკრძალებული ეკონომიკური განვითარება, მძვინვარე კორუფცია და უხეში დარღვევებით ჩატარებული საპარლამენტო (1999წ) და საპრეზიდენტო (2000წ) არჩევნები.¹¹

შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის რეჟიმმა მდგომარეობა უფრო შეინარჩუნა, ვიდრე მისი ტრანსფორმაცია მოახდინა. მიუხედავად შექმნილი დემოკრატიული ფასადისა, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების ბერკეტებს პრეზიდენტის დაჯგუფება, ძირითადად, მისი ოჯახი აკონტროლებს. კარგი ხელმძღვანელობისათვის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად იქცა საბჭოთა ეპოქაში კიდევ უფრო გაძლიერებული ბიზანტიური ტიპის პატრონაჟის ქსელი, რომლის მთავარი ქვაკუთხედი ოჯახური კავშირების ერთგულებაა, რამაც, თავის მხრივ, კორუფცია და არაეფექტური მართვა წარმოშვა.¹²

თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის მთავარი საკითხები კვლავ მოუგვარებელი რჩება, რაც ქვეყნისა და ერის პოლიტიკურ კონსოლიდაციას უშლის ხელს. კვლავ გრძელდება დებატები, წარმოადგენენ თუ არა უმცირესობები ქართველი ერის კანონიერ ნაწილს. ქვეყნის მყარი და მუდმივი დამოუკიდებლობა რუსეთისაგან ჭკვეპეშ დგას. ბუნდოვანია, შეძლებს თუ არა ახალი ქვეყანა მყარად გაიდგას ფესვები.

მიუხედავად უკიდურესი სიდუხჭირისა, გათბობისა და ელექტროენერჯიის გარეშე გატარებული 9 ზამთრისა, ბოლო დრომდე მოსახლეობას, ძირითადად, პასიური მდგომარეობა ეკავა. ოთხმოცდაათიანი წლების არეულობებმა მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა სოციალური პროტესტი. 2001 წლის შემოდგომაზე ამ აპათიის გარკვეული დაძვება მოხდა. დამოუკიდებელი სატელევიზიო არხის ოფისში უშიშროების სამსახურების შესვლით გამოწვეულმა სახელმწიფო კრიზისმა და თანდართულმა ვითარების გამწვავებამ აფხაზეთში, მნიშვნელოვან ძვრებს დაუდო საფუძველი. შევარდნაძემ გაათავისუფლა არაპოპულარული შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი (ამით მან დემონსტრირება მოახდინა იმის, რომ გადაწყვეტილი აქვს დაამარცხო კორუფცია), რითაც მახეში გააბა

პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და მისი მომხრეები მოქალაქეთა კავშირიდან, რაც მათ გადადგომაში გამოიხატა (ეს გახლდათ მისი მზარდი ამბიციების მქონე მოკავშირეებისათვის ძირის გამოთხრა).¹³ მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკურმა ჯგუფებმა გამოავლინეს უსუსურობა გადაეჭრათ პოლიტიკური პრობლემები, პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თვითგადარჩენის უნარი.

შეგარდნადის შემცველელზე აზრი ყველას თავში უტრიალებს. ზოგიერთი მიშობს, რომ შეიქმნება გარკვეული ვაკუუმი, რამაც შესაძლოა რადიკალური ძალები წამოსწიოს წინ. სხვები ფიქრობენ, რომ შეგარდნადის პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგ შესაძლებელი გახდება რეფორმების გატარება და აფხაზეთის პრობლემის მოგვარება.

რეგიონალური მოწყობა

სამივე ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან, მძლავრ მეზობელთან და ყოფილ კოლონიურ მმართველთან, ურთიერთობას. რუსეთი შრომითი დასაქმების უდიდეს ბაზარს წარმოადგენს კავკასიიდან მიგრირებული მუშებისათვის და აგრეთვე კავკასიიდან გასული საქონლისათვის; გარდა ამისა, იგი ენერგორესურსების მომწოდებელი, მნიშვნელოვანი ინვესტორი და კულტურული და სოციალური მემკვიდრეობის წყაროა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ახალ ამბებს კვლავ რუსეთის სატელევიზიო არხებიდან იგებენ; იგი სამხედრო ძალაცაა, რომელიც თავის ინტერესებს იცავს რეგიონში.

საბჭოთა კავშირის დაშლისას რუსეთს საქართველოში ოთხი სამხედრო ბაზა ჰქონდა: ბათუმში-აჭარაში, ახალქალაქში - ჯავახეთში, გუდაუთაში - აფხაზეთში და ვაზიანში, თბილისის მახლობლად. საქართველოს გადაწყვეტილი აქვს, რომ რუსი სამხედროები გავიდნენ საქართველოდან; იგი მას უყურებს, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის საფრთხეს. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) 1999 წლის სტამბოლის სამიტზე რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად, 2001 წელს დაიხურა ვაზიანის სამხედრო ბაზა და სამხედრო აღჭურვილობის დიდი ნაწილი გადატანილ იქნა რუსეთის ბაზაზე გუმრში, სომხეთში. გუდაუთის ბაზა 2001 წლის ნოემბერში დაიხურა. დანარჩენი ორი ბაზა უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებშია განლაგებული, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად აფასებს რუსი სამხედროების ყოფნას ეკონომიკური თვალსაზრისით და იგი უსაფრთხოების გარანტიად მიაჩნია იმ შემთხვევაში, თუკი ქართული ნაციონალიზმი აღორძინდება. ქართველი მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ რუსები ეროვნული უმცირესობებით მანიპულირებენ. რუსეთის როლმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებში, აგრეთვე მისმა მხარდაჭერამ შეგარდნადისადმი ზვიადისტა დამარცხებაში, საქართველოში ჩამოაყალიბა შეხედულება, რომ ქვეყანა კვლავ ყოფილ კოლონიურ მარწუხებში იმყოფება. შესაძლოა, ასეთი შეხედულება სადავო იყვეს,

მაგრამ ქართული ელიტის აკვიტებულმა აზრმა რუსეთის ნეოიმპერიალისტური ზრახვების შესახებ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ქვეყანას, გამოეძებნა შიდაპრობლემებისადმი უფრო რეალისტური მიდგომა.

რუსეთის მეორე ომმა ჩეჩნეთში (დაიწყო 1999 წელს) და პრეზიდენტ პუტინის მოსვლამ ხელისუფლებაში კავკასიაში მოვლენათა ცვლილებები გამოიწვია. ეს იმის სიგნალი გახლდათ, რომ რუსეთი კავკასიაში ჯაჭვურ პოლიტიკას გაატარებდა. 2000 წლის დეკემბერში რუსეთმა სავიზო რეჟიმი შემოიღო საქართველოსთან, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქართველ მიგრანტ მუშებზე. ალიევა მაშინვე დაიწყო მოლაპარაკება უვიზო რეჟიმზე რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის. მან საერთო მიზანი გამონახა მოსკოვთან, რაც გამოიხატებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ისლამისტების შემოჭრის აღკვეთაში. ალიევი დათანხმდა რუსი და აზერბაიჯანელი უშიშროების სამსახურების ერთობლივ მოქმედებებზე და მოლაპარაკება დაიწყო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე გაბალის რადიოლოკაციური სადგურის რუსების მიერ გამოყენებაზე. თავის მხრივ, რუსეთი შეჰპირდა, რომ დაეხმარებოდა მოლაპარაკებებში მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით. მეგობრული ურთიერთობების განახლება ცუდის მანიშნებელი გამოდგა სომხეთისათვის, რომელსაც იზოლაციის ეშინია. სომხეთი მიესალმება რუსი სამხედროების ყოფნას თავის ტერიტორიაზე, რუსეთი მის სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნია. რუსეთს აქვს საერთო საჰაერო დაცვის სისტემა სომხეთთან და სამხედრო ბაზა გუმრში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ გზა გაუხსნა თურქეთს, მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა კავკასიასა და შუა აზიაში. თუმცა რეგიონს დიდი მოთხოვნები აქვს და თურქეთისთვის ძნელია თავისი რესურსებით კონკურენცია გაუწიოს დასავლეთს. თურქეთის პოზიციას მისი ისტორია და რეგიონთან ეთნიკური კავშირებიც აძნელებს. სომხეთის მიერ ყარაბაღისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ანექსია ხელს უშლის ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირის დამყარებას, თუმცა ბიზნესის სფეროში ურთიერთობები საკმაოდ მყარია.¹⁵ ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთი აზერბაიჯანს უჭერს მხარს, რაც უფრო პოლიტიკურ და არა სამხედრო დახმარებაში გამოიხატება. საკითხს კიდევ უფრო ართულებს თურქეთში კავკასიური დიასპორის - აფხაზების, ჩეჩნებისა და ლეზგების არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და თურქეთის ოფიციალური ურთიერთობა კარგია, თურქული კერძო კომპანიები ჩართულნი არიან კომერციულ საქმიანობაში აფხაზეთის ლიდერებთან და ეხმარებიან მათ იზოლაციის გარღვევაში. დაბოლოს, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია თურქეთისათვის და მას არ უღირს საფრთხის ქვეშ დააყენოს ეს ურთიერთობები კავკასიის გამო.

ირანი მოწადინებული იყო იზოლაციიდან თავის დასაღწევად გამოეყენებინა სამხრეთი კავკასია და შუა აზია.¹⁶ კასპიის ზღვის ენერგორესურსების გადანაწილება ირანის ინტერესებსაც შეეხო, როგორც იყო, მაგალითად, 2001 წელს აზერბაიჯანის ნავთობის ველების

გარშემო მიმდინარე დავა. ირანი ფრთხილად იქცეოდა, რათა ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობებს სომხეთთან - ერთის მხრივ იმიტომ, რომ ირანში არის სომხური დიასპორა, ხოლო, მეორეს მხრივ, თურქეთთან მისი მტრული განწყობის გამო. ყველაზე მგრძობიარე საკითხი ირანელი აზერბაიჯანელები არიან, რომლებსაც ძალიან მჭიდრო ნათესაური კავშირები აქვთ აზერბაიჯანში. არსებობს საფუძველი, რომ მათ შესაძლოა არალოიალურობა გამოიჩინონ ირანის სახელმწიფოს მიმართ, ხოლო აზერბაიჯანმა შეიძლება პრეტენზიები გამოთქვას ტერიტორიებთან დაკავშირებით. ჯერჯერობით დაძაბულობა კონტროლს ექვემდებარება.

რუკის სახეცვლილება: გადარჩენა ცალ-ცალკე

საწყის ეტაპზე კავკასიაში კონფლიქტებმა ქაოსი და მასიური ტანჯვა მოიტანა. თუმცა, აგერ უკვე ათი წლის *დე ფაქტო* არსებობამ გამოყოფილ რესპუბლიკებში - აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ყარაბაღში, საფუძველი ჩაუყარა მათ საკუთარ პოლიტიკურ სახეს და ეკონომიკურ საშუალებებს თავის შესანარჩუნებლად. მათი მოსახლეობა იმაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში არ არის, ვიდრე იმ რესპუბლიკებისა, რომლებსაც ისინი გამოეყვნენ. ხანგრძლივი, მძიმე პერიოდით გამხსნევებულმა რესპუბლიკებმა, გარკვეულ დარაზმულ პოზიციას მიაღწიეს.

აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ყარაბაღის კონფლიქტების მოგვარება სადავო საკითხია. როგორც ჩანს, კონფლიქტი ძალიან დიდ გავლენას არ ახდენს ყოველდღიურ არსებობაზე. აზერბაიჯანსა და საქართველოში მრავალი იძულებით გადაადგილებული პირი კვლავ უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს, თუმცა მათ ბედშია ამ ქვეყნების ადგილობრივ მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც. უკვე ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური სქემა და ბიზნესის განვითარების საშუალებები ჩრდილოვანი ეკონომიკის ფონზე. ომის ყველაზე საშინელი შედეგები უკვე გადატანილია.

მიუხედავად ამისა, ემოციური და იდეოლოგიური ეფექტები ძალზე შესამჩნევად იგრძნობა. ძირითადად, გავრცელებულია აზრი, რომ მოუგვარებელი კონფლიქტები ხელს უშლის სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და ეკონომიკის აღორძინებას. ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ხელსაყრელია მართვის ხარვეზები და დემოკრატიის დაბალი დონე ომის შედეგებს გადააბრალონ. ადამიანებში, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს, ეს საკუთარი თავისადმი

პატივისცემის დაქვეითებას იწვევს როდესაც საქმე მათ ეროვნულ თვითმყოფადობას ეხება.

მთიანი ყარაბაღი

1988 წელს კონფლიქტი დაიწყო მთიან ყარაბაღში, აზერბაიჯანის ტერიტორიის ძირითადად სომხებით დასახლებული ტერიტორიაზე. საბჭოთა კონტროლის შესუსტების ფონზე, ამ რეგიონში თავი იჩინა ეთნიკური სომხების უკმაყოფილებამ. ეს გამოიწვია აზერბაიჯანის პოლიტიკამ შეეზღუდათ სომეხთა კულტურული უფლებები, აგრეთვე აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობის ჩასახლებით ყარაბაღის ტერიტორიაზე (1921 წლისათვის აქ სომეხი მოსახლეობის რაოდენობა 94 პროცენტი იყო, ხოლო 1979 წლისათვის 76 პროცენტამდე შემცირდა) და ეჭვით, რომ აზერბაიჯანი განზრახ არ ახდენდა რეგიონის სათანადო დონეზე ინვესტირებას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სამართლიანი იყო ეს მოსაზრებები, იგი ღრმად იყო გამჯდარი სომეხი ეროვნების მოსახლეობის შეგნებაში. დავის მთავარი საგანი გახდა ყარაბაღის გადსვლა აზერბაიჯანის იურისდიქციიდან სომხეთის იურისდიქციაში.¹⁷

1988 წელს, როდესაც დაძაბულობამ პიკს მიაღწია, სუმგაითში ადგილი ჰქონდა ეთნიკურ ნიადაგზე მკვლელობებს. მოსკოვი მოვლენებში არ ჩარეულა. 1988-89 წლებში ამ ეთნიკურ დაპირისპირებას მოჰყვა 185 000 აზერბაიჯანელისა და 11 000 მუსლიმანი ქურთის გამოძევება სომხეთიდან. იმავე მიზეზით დაახლოებით 300 000 სომეხი განდევნეს აზერბაიჯანიდან. ძირითადი ბრძოლები ყარაბაღში გაჩაღდა, რის შედეგადაც 1991-92 წლებში 47 000 ყარაბაღელი აზერბაიჯანელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ტერიტორია. 1991 წელს ყარაბაღმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და არა სომხეთთან მიერთება.¹⁸

საბჭოთა პერიოდში მოსკოვი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის მთავრობას სომეხი სეპარატისტების წინააღმდეგ. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საომარ მოქმედებებში წარმატება ორ მხარეს შორის მერყეობდა, მაგრამ 1993 წლის დასასრულს სომხებმა წარმატებას მიაღწიეს და განდევნეს აზერბაიჯანელები ყარაბაღიდან და გარდა ყარაბაღისა, დაიპყრეს ექვსი მიმდებარე რაიონი. 1994 წლის მაისში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ 520000-მა აზერბაიჯანელმა დატოვა თავისი სახლ-კარი. ივლისში, რუსეთის მედიატორობით, სომხეთმა და აზერბაიჯანმა აიღეს ვალდებულებმა, რომ დაიცავდნენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს. აზერბაიჯანელთა საკმაოდ დიდ რაოდენობას, რომელმაც დატოვა ყარაბაღი, კვლავ სურს დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, თუმცა განდევნილთა დიდმა უმრავლესობამ შესაძლოა არ ისურვოს სომხებთან ერთად ცხოვრება. იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალგაზრდა თაობას ურჩევნია რუსეთში წავიდეს სამუშაოდ. აზერბაიჯანის მთავრობის ოფიციალური განცხადებებით იძულებით გადაადგილებულ

ყველა პირს სურს ყარაბადში დაბრუნება. აზერბაიჯანიდან გაქცეულ სომხებს შეუძლებლად მიაჩნიათ უკან დაბრუნება.

ახალმა რუსეთმა მხარი დაუჭირა სომხებს და მათ დაახლოებით ერთი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იარაღი მიაწოდა.¹⁹ რუსებს დიდი წვლილი მიუძღვის სომხეთა გამარჯვებაში.

1990-იან წლებში სომხეთმა ყარაბადთან პრაქტიკულად ერთიანი სახელმწიფო ჩამოაყალიბა. ყარაბადელმა სამხედრო და პოლიტიკურმა ფიგურებმა, პრეზიდენტ ქოჩარიანის ჩათვლით, წამყვანი პოსტები დაიკავეს სომხეთში. ბრძოლებმა კიდევ უფრო განამტკიცა სომხების თვითმყოფადი სახე. სომხეთის სამხედრო ძალების გაძლიერება საშუალებას იძლევა ნაკლები წუხილის საგანი გახდეს უსაფრთხოების საკითხები. სომხურმა დიასპორამ დააფინანსა ყარაბადის აღმშენებლობის პროგრამა; აზერბაიჯანმა გადააკეტა გზები, რკინიგზა და ენერჯო რესურსების არხები სომხეთთან. მას მხარი დაუჭირა თურქეთმა, რომელმაც ასევე ჩაკეტა თავისი საზღვრები ამ ქვეყანასთან. სომხეთმა სამაგიერო გადაუხადა აზერბაიჯანელებს ნახჭევანთან თავისი საზღვრის დახურვით.

კი-ვესტის მოლაპარაკებები და შემდგომი პერიოდი

ყარაბადის კონფლიქტის მოგვარების მიზნით, 1992 წელს შეიქმნა ეუთოს მინსკის ჯგუფი. 1994 წლის დეკემბერში რუსეთი ამ ჯგუფის მუდმივი თანათავმჯდომარე გახდა. 1997 წელს, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, პრეზიდენტებმა ალიევმა და ტერ-პეტროსიანმა მიიღეს ეუთოს მიერ შეთავაზებული კონფლიქტის მოგვარების ეტაპობრივი პროგრამა, მაგრამ იგი უარყო სომხეთის ელიტამ. ყარაბადის დაჯგუფებამ, რომელსაც ქოჩარიანი ხელმძღვანელობდა, ტერ-პეტროსიანი აიძულა გადამდგარიყო.

დავის საგნად კვლავ რჩება შემდეგი საკითხები:²⁰

- ყარაბადის სტატუსის საკითხი: ყარაბადი და სომხეთი უარს ამბობენ ყარაბადის ნებისმიერ სუბორდინაციაზე აზერბაიჯანთან, მაშინ როდესაც, ეს უკანასკნელი მზად არის ყარაბადს მიანიჭოს უმაღლესი ავტონომიის ხარისხი.
- სომხეთა გასვლა ყარაბადის მიმდებარე ტერიტორიებიდან.
- ყარაბადის უსაფრთხოების საკითხი: სომხეთის მხარე ითხოვს უსაფრთხოების მტკიცე გარანტიებს მისი ტერიტორიებიდან გასვლის შემთხვევაში.
- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, განსაკუთრებით შუშაში.

2001 წლის დასაწყისში ყარაბადის სამშვიდობო მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რომლის კულმინაციაც სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერთა კი-ვესტის უმაღლესი დონის შეხვედრა გახლდათ. ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა საფრანგეთმა, რუსეთმა და შეერთებულმა შტატებმა - ერთობლივი ზეგავლენა მოახდინეს მხარეებზე.

ორივე პრეზიდენტს კარგად ესმის, რომ *სტატუს კვო* ორივე ქვეყნისათვის საზიანოა. პრეზიდენტი ალიევი ხანშიშესული ადამიანია და მას ურჩევნია მშვიდობა მისი პრეზიდენტობის პერიოდში დამყარდეს. რაც შეეხება პრეზიდენტ ქოჩარიანს, მას ესმის, რომ იზოლაცია ძირს უთხრის სომხეთის ეკონომიკას და იწვევს მოსახლეობის მასიურ გადინებას ქვეყნიდან.

მორიგების კონტურები შესაძლოა შემდეგნაირად გამოიკვეთოს:²¹ აზერბაიჯანი დაიბრუნებს წართმეული შვიდი რაიონიდან ექვსს და ნახჭევანთან დამაკავშირებელ გზას, რომლის უსაფრთხოებაც საერთაშორისო დონეზე იქნება გარანტირებული. სანაცვლოდ ყარაბაღსა და ლაჩინის დერეფანს მიენიჭება თვითმმართველობის სტატუსი, რომელიც *დე ფაქტო* დამოუკიდებლობის ტოლფასი იქნება.²²

კი-ვესტის შეხვედრის შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკებები შეწყდა. ორივე მხარის საზოგადოების მტკიცე აზრი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. როგორც ჩანს, ორივე ქვეყნის პრეზიდენტები “წინ უსწრებენ საზოგადოების აზრს” და ესმით კომპრომისების აუცილებლობა, მაგრამ არ ძალუბთ თან გაიყოლიონ თავიანთი ხალხი.²³

ორივეს ეშინია, რომ ხალხი განდევნის მათ, თუკი ისინი ხელს მოაწერენ სამშვიდობო მოლაპარაკებას. აზერბაიჯანში არ შეინიშნება რაიმე სერიოზული განხილვები კონფლიქტის მოგვარების ფორმებთან დაკავშირებით. აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თამამად ვერ აცხადებენ, რომ შესაძლოა ღირდეს ყარაბაღის გაწირვა, რათა აზერბაიჯანელ იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეცეთ დაბრუნების საშუალება.

აზერბაიჯანში ომისადმი ენთუზიაზმის დონის განსაზღვრა ძნელია. ცხოვრების დონე გაუმჯობესდა და ხალხს ახალი ეკონომიკური საშუალებები უფრო აინტერესებს. აზერბაიჯანი არ ახდენს საომარი კულტურის დემონსტრირებას, მაგრამ ზოგიერთი დამკვირვებელს მიაჩნია, რომ თუკი სამშვიდობო მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდება, მოსახლეობაში შესაძლოა იმატოს საომარმა განწყობამ. ჩეჩნებმა, რომლებიც აქ თავინთი ომის შესვენების პერიოდში ჩამოვიდნენ და მათმა საბრძოლო შემართებამ, შესაძლოა ხელი შეუწყოს ამგვარი განწყობის შექმნას აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანის ჯარი სუსტია და ალიევს არა აქვს მისი გაძლიერების სურვილი, რადგან პუტჩის ეშინია, როგორც მაშინ მოხდა, როდესაც ის ხელისუფლებაში მოიყვანეს. არსებობს შიში მომავალი ეთნიკური სეპარატიზმისა: უმცირესობებმა, მაგალითად როგორც არიან ლეზგები და თალიშები, შესაძლოა მხარი არ დაუჭირონ ყარაბაღისათვის ბრძოლას, რადგან მათ თავიანთი პრეტენზიები აქვთ ბაქოს ხელისუფლების მიმართ. უცნობია, თუ რა რეაქცია ექნება მას ახალი ომისადმი.

ეს დაკავშირებულია აგრეთვე საშინაო პოლიტიკასთან. რადგან პრეზიდენტი მიმართავს მშვიდობიან სტრატეგიას, ოპოზიციური ჯგუფები ცდილობენ გააჩაღონ ომის პროპაგანდა.²⁴ პოლიტიკური არენიდან ალიევის წასვლის შემდეგ ყარაბაღი ვაჭრობის საგანი გახდება

ძალაუფლების მოსაპოვებლად და კონკურენტებს ჩაითრევს ახალ მილიტარულ ტენდენციაში.

სომხეთში ომში გამარჯვების ემოცია იმდენად დიდია, რომ რეალურად ისინი არ დათმობენ თავიანთ პრეტენზიებს ყარაბაღის მიმართ. სომხეთს ბლოკადისაგან დიდი ზარალი არ მოსვლია. სომხეთიდან გადასახლებულ აზერბაიჯანელ ლტოლვილებს უკან დაბრუნების არავითარი სურვილი არა აქვთ. ყარაბაღელი სომხებისათვის არა არის მომხიბვლელი ნაკლებად განვითარებული აზერბაიჯანი და მათ სომხეთის რესპუბლიკისა და დიასპორის დახმარების იმედი აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთში მრავალი ადამიანი აღშოთებულია მოუგვარებელი კონფლიქტით გამოწვეული სიძნელეებით, ყარაბაღისთვის თავის დანებების იდეა, ეკონომიკური აღმავლობის სანაცვლოდ, აქ დღის წესრიგში არ დგას. სომხები თავს ისტორიის მსხვერპლად თვლიან, მაგრამ საბოლოოდ მათ განაცხადეს თავიანთი მისწრაფების შესახებ.

ამრიგად, ეს პატური მდგომარეობა შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს.

აფხაზეთი

აფხაზეთის კონფლიქტიც საბჭოთა პერიოდში იღებს სათავეს. ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა 1988 წელს გაუარესდა, როდესაც დაიძაბა ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის დედაქალაქ - სოხუმს შორის. უკმაყოფილების პირველი ტალღა ფოკუსირებული იყო კულტურულ და ენობრივ უფლებებზე, რომელსაც თან მოჰყვა მძელვარებები ძალაუფლების გაყოფის თაობაზე.²⁵

1992 წლის აგვისტოში, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს განკარგულებით, საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც გასამხედროებული ჯგუფებისაგან შედგებოდა, საბრძოლო მეთაურის, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, აფხაზეთში შევიდნენ.²⁶ მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე უარყოფდა, რომ მან დართო ნება ჯარებს აფხაზეთში შესულიყვნენ, რაც შემდგომში ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, მოგვიანებით მან მაინც დაუჭირა მხარი საომარ მოქმედებებს. აფხაზებმა მოახდინეს ეთნიკურად მონათესევე ჩრდილო კავკასიელთა მობილიზება. გარდა ამისა, გუდაუთის სამხედრო ბაზის მეშვეობით, ისინი სარგებლობდნენ რუსი სამხედროების მხარდაჭერით აფხაზეთში განლაგებული.

თავიდან აფხაზებმა ტერიტორიების დიდი ნაწილი დაკარგეს, მაგრამ 1993 წლის მარტში მათ წარმატებული კონტრშეტევა წამოიწიეს. სექტემბერში 200 000-მდე ქართველმა დატოვა აფხაზეთი.²⁷ 1999 წლის ნოემბერში აფხაზმა ლიდერებმა ფორმალური დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

კონფლიქტის განმავლობაში რუსეთის ისტებლიშმენტის სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა მხარეს უჭერდნენ მხარს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და უმაღლესი სამხედრო მხედართმთავრები

მედიატორის როლს ასრულებდნენ, ხოლო იმავდროულად, ცალკეული სამხედრო ნაწილები თავიანთ პოლიტიკურ თუ ბიზნესის ინტერესებს ახორციელებდნენ.

მას შემდეგ საქართველო ცდილობს დაიბრუნოს აფხაზეთი აფხაზ ლიდერებზე საერთაშორისო ზეწოლის საშუალებით. მან მოახდინა აფხაზეთის ეკონომიკური შეზღუდვა. რუსეთის ზეგავლენის განეიტრალების მიზნით, მან დასავლეთის სახელმწიფოები ჩართო სამშვიდობო პროცესში. ქართველი ოფიციალური პირებიც ფარულად მხარს უჭერდნენ პარტიზანულ ჯგუფებს, რომლებიც სასაზღვრო ზონაში მოქმედებდნენ აფხაზების უსაფრთხოების ხელყოფის მიზნით. იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში უძლიერეს ღობს ქმნიან, რომელსაც პარლამენტზეც აქვს გავლენა და აფხაზეთში მოქმედ გასამხედროებულ ჯგუფებთანაც აქვს კავშირები.

ოდნავ შესამჩნევი პროგრესი შეიმჩნეოდა ორმხრივ მოლაპარაკებებზე აფხაზეთის სატატუსსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხების გარშემო. თბილისს უნდა, რომ აფხაზეთმა აღიაროს, რომ იგი საქართველოს დაქვემდებარებული ნაწილია და მას თვითმმართველობას სთავაზობს. აფხაზი ლიდერები მოითხოვენ შიდასუვერენიტეტს თავისუფალ კონფედერაციაში ან სრულ დამოუკიდებლობას. 2001 წლის შემოდგომაზე აფხაზეთმა გამოთქვა სურვილი, მოითხოვოს რუსეთის ფედერაციაში "ასოცირებული ქვეყნის სტატუსი".²⁸

აფხაზებს ქართველებთან საერთო სახელმწიფოს ქონის არავითარი სურვილი არა აქვთ, რამეთუ სჯერათ, რომ ამით ისინი დაკარგავენ უსაფრთხოებასა და თავიანთ პრივილეგიურ პოლიტიკურ პოზიციას. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ნიშნავს ქართველი დევნილების მასობრივ დაბრუნებას. აფხაზებს ეშინიათ, რომ მათ შესაძლოა მიმართონ შურისძიებას და დროთაგანმავლობაში რიცხვობრივად გადააჭარბონ აფხაზებს. ამის შემდეგ გაქრება ის ასპექტი, რომელიც დაიცავს აფხაზთა უფლებებს. საქართველოს მხარე არ განიხილავს თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა. აფხაზი ლიდერები დაჟინებით იმეორებენ, რომ მათ აღარ უნდა დაუშვან აფხაზი მოსახლეობის კვლავ უმცირესობაში ყოფნა, რითაც ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ შეუძლებელია დევნილთა ფართომასშტაბიანი დაბრუნება.²⁹

ომის დამთავრების შემდგომ "პრეზიდენტმა" არძინბამ განიმტკიცა პოზიციები. ეთნიკური აფხაზები დომინირებენ როგორც პოლიტიკის, ასევე ბიზნესის სფეროში. უმცირესობათა მდგომარეობა აფხაზეთში, მათ შორის ქართველებისაც, რომლებიც ამჟამად უმცირესობაში არიან, შორს არის სასურველისაგან. ძალაუფლება აფხაზთა ხელშია, თუმცა რიცხვობრივად სომხები უდიდეს ჯგუფს წარმოადგენენ. თუკი არ ჩავთვლით ქართველების მდგომარეობას, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა სტაბილურია და აფხაზეთი კვლავ ინარჩუნებს მრავალეროვან ხასიათს.

გამოყოფილი რეგიონის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა გაუმჯობესდა მდიდარი სოფლის მეურნეობის ხარჯზე. აფხაზეთს აქვს ფრაგმენტული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან და თურქეთთან და

გარკვეული შემოსავალი შავი ზღვის კურორტებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური საქმიანობა ბევრად უფრო უფერულია, ვიდრე იმედოვნებდნენ, იგი დიდად არ განსხვავდება საქართველოს პერიფერიებზე არსებული მდგომარეობისაგან. საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მეორე სავიზო რეჟიმის შემოღებამ, მაშინ როდესაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს ეს რეჟიმი არ ეხებათ, ხელი შეუწყო ამ ტერიტორიების ჩართვას რუსეთის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებზე პასუხისმგებლობა გაერომ აიღო თავის თავზე და, 1992 წლიდან მოყოლებული, იგი კონფლიქტის ოფიციალურ მედიატორთან, რუსეთთან ერთად მუშაობს, რაც ერთობ რთულ ამოცანას წარმოადგენს. 1994 წლის მაისში მიიღეს შეთანხმება დსთ-ს მანდატით რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგებაზე. მათ მონიტორინგს ახორციელებს გაეროს დამკვირვებელთა მისია. სამშვიდობო ძალებისა და გაეროს დამკვირვებლების მანდატი დაფუძნებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებაზე დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებში და აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის მთლიანობაზე მისი 1991 წლის საზღვრებში.

მოსკოვის ხელშეწყობით ჩატარდა მთელი რიგი შეხვედრები საქართველოსა და აფხაზეთის ოფიციალურ პირებს შორის, რომლის კულმინაციაც გახლდათ 1997 წლის აგვისტოს ხელშეკრულება საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ. ქართული მხარე საყვედურებს გამოთქვამს სამშვიდობო ძალების მიმართ, რადგან ისინი ვერ უხრუნველყოფენ თავიანთი მანდატით გათვალისწინებულ ფუნქციებს - იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებას, საზღვრის სათანადო კონტროლს და აყოვნებენ გუდაუთის ბაზის გაყვანას. რუსეთი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური პროტესტი ხელს უშლის მათ, უსაფრთხოდ გადაიტანონ იარაღი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა.³⁰

აფხაზეთის ლიდერების პოლიტიკაა შეინარჩუნონ *სტატუს კვო*. ქართული მხარის გაწბილებამ კიდევ უფრო გააღრმავა კონფრონტაცია. ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს ქართველი პარტიზანები, საქართველოს უშიშროების სამსახურების ფარული დახმარებით, თითქმის სოხუმამდე შეიჭრნენ აფხაზეთში. აფხაზურმა მხარემ ამას დაბრუნებულთა წინააღმდეგ სადამსჯელო რეიდებით უპასუხა. 1998 წელს გალის რაიონში მომხდარი ბრძოლების შედეგად აფხაზებმა განდევნეს ქართული საბრძოლო ფორმირებები და 30-დან 40 ათასამდე დაბრუნებული პირი.³¹ უსაფრთხოების მდგომარეობა ამ რაიონში არასაიმედოა. ადგილობრივ მცხოვრებთა მკვლელობა და გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რუსი სამშვიდობო ძალების 90-ზე მეტი წარმომადგენელი დაიღუპა ჩასაფრებული თავდასხმის ან ნაღმის აფეთქების შედეგად. გაეროს დამკვირვებელთა მისიაც იქცა სამიზნედ და 2001 წლის ოქტომბერში მისი ექვსი თანამშრომელი მოკლეს.

დაძაბულობის ესკალაცია 2001 წლის შემოდგომაზე მოხდა, როდესაც ჩეჩენი პარტიზანები გადავიდნენ პანკისის ხეობიდან (იხ. გვ. 19-

20) და შეუერთდნენ ქართველ მებრძოლებს. როდესაც გაისმა რუსეთის მხრიდან პანკისის ხეობის გაკონტროლების მუქარა (და ეს შესაძლოა მოწონებული ყოფილიყო დასავლეთის მხრიდან "ტერორიზმის წინააღმდეგ ომის" ფონზე), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა მათი პანკისის ხეობიდან კოდორის ხეობაში გადაყვანის ორგანიზება, სადაც ისინი ჩაერთვნენ აფხაზეთის კონფლიქტში. აფხაზებმა სასწრაფოდ მოახდინეს მობილიზება და აიძულეს თავდამსხმელები გაქცეულიყვნენ. ორივე მხარე ახალი ომის მიჯნაზე იდგა, მაგრამ მას შემდეგ სიტუაცია ჩაცხრა. სასაზღვრო ზოლში საბრძოლო მოქმედებების განახლების საშიშროება კვლავ არსებობს.

საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტის საკითხს და გამოთქვა საყვედური, რომ რუსი სამშვიდობოები ხელს უწყობენ აფხაზების მიერ ტერიტორიის სამუდამო დაკავებას და დევნილთა უსახლკაროდ დარჩენას. შევარდნაძემაც გააკეთა მუქარის განცხადებები, რომ მისი ქვეყანა გამოვიდოდა დსთ-დან და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საქართველოს სურვილი აქვს შევიდეს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო).

რუსეთის აზრით, საქართველოს არ შეუძლია ან არ უნდა აღკვეთოს "ტერორისტთა" მოქმედებები ქვეყნის შიგნით. საქართველოდან მომდინარე არასტაბილურობა პრობლემებს უქმნის რუსეთის უსაფრთხოებას, რისი იგნორირებაც მას არ შეუძლია. აქედან გამომდინარეობს რუსეთის ნაბიჯები გააძლიეროს თავისი საზღვრები საქართველოსთან და თავი შეიკავოს აფხაზეთის დატოვებისაგან. საქართველოს შიგნით მიმდინარე მოვლენები რუსეთისათვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

მოსკოვმა მიანიშნა, რომ იგი არ შეეწინააღმდეგებოდა საქართველოს გამოსვლას დსთ-დან და გავიდა გუდაუთის ბაზიდან.³² პუტინმა განაცხადა, რომ იგი განიხილავდა რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხს და მოუწოდა საქართველოს, მიემართა გაეროსათვის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის უზრუნველსაყოფად. გადადგამს თუ არა მოსკოვი ნაბიჯებს, შეავიწროოს რუსეთში სამუშაოს საძებრად ჩასული ქართველი მიგრანტები ზეწოლის ახალი ტალღის მიზნით, ჯერ არ არის გარკვეული.

სამხრეთი ოსეთი

კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში მსგავსი სქემით განვითარდა, რასაც თან სდევდა ტერიტორიული დავა და ოსების შიში, არ მომხდარიყო მათი ასიმილირება "ქართველ ერთან". ქართველებს მიაჩნდათ, რომ სამხრეთი ოსეთი, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელიც სარგებლობდა საბჭოთა სისტემის პრაქტიკით, მეტი პატივი ეცათ უმცირესობებისათვის. 1989-1991 წლებში ქართველებმა დაიწყეს თბილისის მმართველობის, ქართული ენისა და კულტურის დამკვიდრება.

1990 წელს სამხრეთ ოსეთმა მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ და მოსთხოვა მოსკოვს ელიარებინა ის საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ ერთეულად. ამ დეკლარაციას თბილისმა სამხრეთ ოსეთის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, გაუქმებით უპასუხა. მალე დაიწყო შეტაკებები ქართულ და ოსურ მილიციას შორის, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველების განდევნა რეგიონის დედაქალაქ ცხინვალიდან. ამის შემდგომ ქართველებმა ალყა შემოარტყეს ცხინვალს და მას გარშემორტყმული მთებიდან ბომბავდნენ.³³

ბრძოლები მანამ გრძელდებოდა, სანამ ოსებმა, 1992 წელს, ჩრდილო კავკასიელთა მხარდაჭერით, ხელთ არ იგდეს უპირატესობა. მოხდა მოსახლეობის გაცვლა: საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ოსები გადასახლდნენ სამხრეთ ან ჩრდილოეთ ოსეთში, ხოლო ეთნიკური ქართველების უმრავლესობამ დატოვა ეს კუთხე.

1992 წელს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს აკონტროლებდნენ რუსების, ქართველებისა და ოსების ერთობლივი სამშვიდობო ძალები ერთიანი საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელობით, სადაც რუსეთთან და კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან ერთად ჩრდილოეთი ოსეთიც იყო წარმოდგენილი. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რუსეთისა და ეუთოს მისიის მონაწილეობით, რომელიც 1992 წელს შეიქმნა. 1994 წელს ეუთოს მისიის მანდატის გაფართოების შედეგად სამშვიდობო ოპერაციების მონიტორინგი მას დაევალა. 1996 წლის მაისში მხარეებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ძალისმიერი მეთოდებისაგან თავის შეკავებას და ეტაპობრივი განიარაღების ხელშეწყობას. 1997 წლისათვის დაპირისპირება იმ დონემდე შემცირდა, რომ შესაძლებელი გახდა სამშვიდობო ძალებისა და მონიტორინგის ჯგუფის მოქმედებათა შემცირება.

სამხრეთ ოსეთში რეპატრაციის საკითხი ისე მწვავედ არ დგას, როგორც აფხაზეთში, რადგან ორივე მხარემ მისაღებად ჩათვალა მოსახლეობის გაცვლა და ქართველთა ნაწილმა მოახერხა კიდევ დაბრუნება. გარდა ამისა, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთგანაწყენებაც ნაკლებია. ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად იმოძრაონ და აწარმოონ კომერციული საქმიანობა. სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა მოახერხეს დაებალანსებინათ თავიანთი საქმიანობა მათ მონათესავეებთან რუსეთში და ქართველებთან. ორივე მხარე აღიარებს, რომ არასასურველია საომარი მოქმედებების განახლება.

მიუხედავად ამისა, არ შეინიშნება რაიმე წინსვლა პოლიტიკური სტატუსისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გათავისუფლება რუსეთის სავიზო რეჟიმისაგან ხელს უწყობს სამხრეთ ოსეთის ინტეგრირებას რუსეთის ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში.³⁴ 2001 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა წინა პლანზე წამოსწია სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური მომავლის საკითხი. სამხრეთ ოსეთის ახალმა "პრეზიდენტმა", ედუარდ კოკოევმა, პროოსურთა და პრორუსული კურსი აიღო.

სამომავლო დაყოფის საზღვრები

თუ არ ჩავთვლით პრაქტიკულად მონოეთნიკურ სომხეთს, რეგიონი მნიშვნელოვანი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამავე დროს, რეგიონის პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ეთნიკური ნაციონალიზმის დაუშვებლობა, რაც ფართო ფედერალურ მოწყობაში ავტონომიური სტრუქტურების არსებობის იმედს არ ტოვებს. მოსახლეობის უმრავლესობის შეგუების ტრადიცია უმცირესობასთან აქ სუსტია, ხოლო თავად უმცირესობებს თითქმის აღარ სჯერათ, რომ სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათ კეთილდღეობას.

1990-იანი წლების დასაწყისში მთავრობებმა სეპარატისტული კონფლიქტებიდან მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიიღეს. მათ რომ უარი ეთქვათ ეთნიკურ თვითმყოფადობაზე და აღეკვეთათ იმ პერიოდში აღმოცენებული სეპარატისტული ტენდენციები, იქნებ შესაძლებელი გამხდარიყო ამ მოვლენის მობილიზებულ სეპარატისტულ ძალად ჩამოყალიბების თავიდან აცილება. ამრიგად, ისინი ეჭვით უყურებენ ეთნიკური მოთხოვნების აღიარებას საიდანაც არ უნდა მოდიოდნენ ისინი. უმცირესობებს მგრძობიარე მექანიზმად მიიჩნევენ, რომელითაც გარეშე ძალა მანიპულირებს, რამეთუ მათი უმრავლესობა ცხოვრობს მათი მონათესავე ქვეყნების საზღვრისპირა რაიონებში. ეს გარემოებაც ხელს უშლის აღიარებულ იქნას იმ პრეტენზიების კანონიერება, რომელიც შესაძლოა მათ გააჩნდეთ. ასეთი მიდგომა არ შეესაბამება უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე, მათ შორის ჩვენი ჯგუფის ხედვას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა ამცირებს დაძაბულობასა და უკმაყოფილებას და ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას.

ახალი მოვლენები

დამოუკიდებლობის პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ორი ძლიერი მიმდინარეობა შეინიშნება - მოსახლეობის შემცირება და მონოეთნიკურობა. დაახლოებით 3,5 მილიონმა მუშა-მიგრანტმა დატოვა სამივე ქვეყანა და ძირითადად რუსეთში გადავიდა. ორ მილიონამდე აზერბაიჯანელი, მილიონზე მეტი სომეხი და საკმაოდ დიდი რაოდენობის ქართველი მოქალაქე, თუმცა მათი რიცხვი დაუდგენელია, ამჟამად რუსეთში მუშაობს. აზერბაიჯანელ და ქართველ მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა თურქეთში წავიდა, ხოლო ბევრი მათგანი ცდილობს დასავლეთ ევროპას მიაშუროს.

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები უფრო მეტად არიან მოწადინებულნი ემიგრაციაში წასასვლელად, ვიდრე უმრავლესობის.³⁵ მათ ხელმისაწვდომობას განათლებასა და პროფესიულ დასაქმებაზე ხელს უშლის სახელმწიფო ენის არცოდნა და რუსული ენის პოზიციების შესუსტება, რომელიც კავკასიაში კვლავ გავრცელებულ საკომუნიკაციო ენად რჩება. საზოგადოებრივი აზრი და მედია, ჩაკეტილი პატრონაჟული

ქსელი და ტიტულარული ჯგუფები და აგრეთვე ახალი რელიგიური მისწრაფებები ქმნიან ისეთ ატმოსფეროს, სადაც უმცირესობები არაკომფორტულად გრძნობენ თავს და აქვთ გარკვეული შიში, რომ მათ შეილება შეზღუდული სამომავლო პერსპექტივები გააჩნიათ.

ვისაც წასვლა შეუძლია, ყველა მიდის. რუსები და სხვა სლავები, ებრაელები და ბერძნები ძალზე სწრაფად ქრებიან რეგიონიდან. რუსების დიდმა უმრავლესობამ უკვე დატოვა სომხეთი,³⁶ სადაც ისინი 1989 წლისათვის მოსახლეობის 2,7 პროცენტს შეადგენდნენ. რუსები საქართველოდანაც მიდიან, სადაც ისინი 1989 წელს საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 7 პროცენტს წარმოადგენდნენ. 1999 წლის აღწერის შედეგების მიხედვით აზერბაიჯანში რუსი მოსახლეობის რაოდენობა, 1979 წელთან შედარებით სამჯერ შემცირდა და ამჟამად 141 700 რუსი ეროვნების მოქალაქეა ოფიციალურად რეგისტრირებული. არსებობს მონაცემები, რომ მათგან პრაქტიკულად მხოლოდ 100 000 ცხოვრობს აზერბაიჯანში.³⁷ დარჩენილთა უმრავლესობა ხანდაზმული ადამიანი, შერეულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქე ან ქვრივი ქალია. ეთნიკურ ჯგუფთა შერევის საბჭოური პრაქტიკა თანდათან ქრება.

იგივე ტენდენცია უარყოფითად მოქმედებს ისეთ მცირერიცხოვან ადგილობრივ ჯგუფებზე, როგორცაა: ხინძები, ლაზები, თათები და წახები. სახელმწიფოს მიერ მათი ენისა და კულტურის განვითარებისათვის მიმართული ღონისძიებების სიმწირე საშიშროებას უქმნის ამ ჯგუფების თვითმყოფადობის შენარჩუნებას და შესაძლოა მათი გაქრობაც გამოიწვიოს. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფების ტიტულოვანი ერის წარმომადგენლად რეგისტრირების პრაქტიკა ამცირებს მათ ოფიციალურ პროპორციას; სახელმწიფოებს ასეთი პრაქტიკა ქვეყნის მშენებლობის მნიშვნელოვან ასპექტად მიაჩნიათ.

ეთნიკურმა კონფლიქტებმა ხელი შეუწვევს აგრეთვე მონოეთნიკური ტენდენციის განვითარებას. ყარაბაღის კონფლიქტის დაწყებამდე სომხები სიდიდით მესამე ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ აზერბაიჯანში (390 000, ანუ 5,6%-ს 1989 წლისათვის). მათგან 180 000 ბაქოში ცხოვრობდა. ოფიციალური მონაცემებით 1999 წელს აზერბაიჯანში 645 სომეხი ცხოვრობდა, მაშინ როდესაც, რეალური შეფასებით, მათი რაოდენობა დაახლოებით 3000-ს აღწევს³⁸, რადგან შერეული ქორწინების შედეგად მათ გვარები აქვთ გამოცვლილი. პრაქტიკულად აზერბაიჯანში სომხები აღარ დარჩნენ.

საბჭოთა რეჟიმიდან გათავისუფლებისა და საკუთარი ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღების შემდეგ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობამ დაკარგა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ბერკეტები. რადიკალურად შემცირდა ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სტანდარტები, აგრეთვე მომსახურების სფეროს ხელმისაწვდომობა. სოციალური ყოფის სტანდარტები პროვინციებში კვლავ უარსდება. პროვინციებში ოჯახთა სულ უფრო მზარდი რაოდენობა მხოლოდ ვაჟების გაგზავნას ახერხებს სკოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ელიტა კოსმოპოლიტურ გზას ირჩევს, საზოგადოებები სულ უფრო და უფრო შიდა პრობლემებზე

ორიენტირებულნი ხდებიან. რთულდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ფართო ქსელის ჩამოყალიბება, რადგან რუსული, როგორც საკომუნიკაციო ენა, თანდათან კვდება. სჩანს, ეს ტენდენცია ყველაზე ნაკლებად აზერბაიჯანს შეეხო, რადგან იქ რუსული ენა კვლავ პოპულარულია. გარდა ამისა, აზერბაიჯანული და თურქული ენები გასაგებია ორივე ერის წარმომადგენელთათვის და ამდენად, სულ უფრო მტკიცდება კავშირები თურქეთთან.

უმცირესობათა უმეტესობა ქვეყნების განაპირა რეგიონებში ცხოვრობს, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რაც ხელს უწყობს ამ ჯგუფების იზოლაციას. აღნიშნული გარემოება აფერხებს აგრეთვე ვაჭრობას და რეგიონებს შორის მხოლოდ ბარტერული გაცვლის პრაქტიკას აფუძნებს. უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ფულის ძირითად წყაროს მათი საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი თანხა წარმოადგენს.

მრავალმხრივი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ ქალები. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიწვია ტრადიციულად მამაკაცთა სამუშაო ადგილების გაქრობამ, რის გამოც ქალებს მოუწიათ თავიანთ თავზე აეღოთ ოჯახის რჩენა. მეორეს მხრივ, საგრძნობლად გაუარესდა ბავშვთა აღზრდის, ჯანდაცვისა და განათლების პირობები, რაც, ტრადიციულად, ქალთა პასუხისმგებლობის ქვეშ იყო. მესამე - მამაკაცებმა სხვა ქვეყნებს მიაშურეს სამუშაოს საძებნელად და ქალები მარტო დარჩნენ თავიანთი პრობლემების პირისპირ. ისინი არც ნორმალურ ქორწინებაში მყოფად ითვლებიან და არც მარტოხელებად. ამას ის გარემოებაც ემატება, რომ ხშირად მამაკაცები ახალ ადგილებზე ახალ ოჯახებს ეკიდებიან. მეოთხე - პატრიარქალური საზოგადოების ტრადიციული ნორმები და ღირებულებები კიდევ უფრო განმტკიცდა. ამრიგად, ქალებს შეზღუდული სოციალური თავისუფლების პირობებში უხდებოდათ ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. იმავე სირთულეების წინაშე დგანან ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალები, მაგრამ მათ კიდევ უფრო მეტი პრობლემის დაძლევა უწევთ.

სომხეთი

უმცირესობათა ჯგუფებს სომხეთის დემოგრაფიულ სტრუქტურაში ძალიან მოკრძალებული ადგილი უჭირავთ. ქურთების შემდეგ (ძირითადად - იეზიდები) რუსები წარმოდგენენ ყველაზე დიდ ჯგუფს. აქ რუსები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი: პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ქალაქებში, ძირითადად ერევანში, მცხოვრებნი, რომელთა უმეტესობა შერეულ ქორწინებაში იმყოფება. მეორე ჯგუფი გახლავთ მაღაკენების გადარჩენილი რელიგიური თემი, რომელიც მეფის რუსეთის დევნას გამოექცა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. რუსეთის თანამემამულეთა დახმარების ფონდის მონაცემებით, აქ 5 000-მდე მაღაკანი ცხოვრობს. ბევრი მაღაკანი თავს რუსი ეროვნებისად არ მიიჩნევს, რადგან მათ თავიანთი რელიგია აქვთ.³⁹

ქურთები და იეზიდები

ქურთების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კავკასიაში ქურთთა დიდი დიასპორაა. ქურთთა ადამიანის უფლებათა დაცვის პროექტის მიხედვით სომხეთში 75 000 ქურთი ცხოვრობს (მოსახლეობის 1,8%) ხოლო აზერბაიჯანში - 200 000 (2,8%). აზერბაიჯანის მიდგომამ ქურთი მოსახლეობისადმი (როგორცაა, მაგალითად, მათი ცალკე ეთნოსად აღიარებაზე უარის თქმა) დიდი გავლენა იქონია ყარაბაღის კონფლიქტის დროს.⁴⁰

სომხეთში დარჩენილ ქურთთა უმრავლესობა იეზიდურ ჯგუფს ეკუთვნის;⁴¹ ყარაბაღის კონფლიქტის დაწყებისთანავე (1989-90 წლებში) მუსულმანმა ქურთებმა დატოვეს სომხეთი. ქურთები იეზიდებს ქურთულ ეთნოსს მიაკუთვნებენ,⁴² რაც საბჭოთა პერიოდის ეთნიკური ჯგუფების რეგისტრაციას შეესაბამება, სადაც მხედველობაში ღებულობდნენ უფრო ენობრივ კუთვნილებას, ვიდრე ამ ჯგუფთა თვითგამორკვევის პრინციპებს. სომხეთში მცხოვრები იეზიდები მოითხოვენ, მათი რელიგიის საფუძველზე, აღიარებულ იქნან დამოუკიდებელ ეთნოსად, რომელიც შეიცავს მზის თაყვანისცემის, ქრისტიანობისა და ზოროასტრიზმის ელემენტებს. სომხეთს გარეთ იეზიდები ქურთულ ეთნოსთან განუყოფლად აღიქმებიან.⁴³ სომხეთში კვლავ შეინიშნება საკმაოდ მყარი კავშირი ქურთებთან. მაგალითად, ასე იყო, როდესაც ქურთული მუშათა პარტიის () პრეზიდენტის, აბდულა ოჯალანის დაპატიმრებას ერევანში პროტესტით გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ქურთულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.⁴⁴

პირველი ქურთი მიგრანტები სომხეთში მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში გამოჩნდნენ, ხოლო იეზიდთა უმრავლესობა აქ 1915–1920 წლებში, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ დასახლდა. 1989 წლისათვის ქურთი მოსახლეობის რაოდენობა აქ 56 000-ს შეადგენდა (1,8%). ამჯერად მათი რაოდენობა დაახლოებით 50 000-ს აღწევს. ეზიდების მეტი წილი სოფლის მეურნეობას მისდევს (მხოლოდ 8 პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში). ისინი ძირითადად ოქტომბერიანისა და ენშიაძინის რაიონებში ცხოვრობენ და მესაქონლეობას ეწევიან. არის სოფლები, რომლებიც მხოლოდ იეზიდებით არის დასახლებული, თუმცა შერეული სოფლებიც გვხვდება. მათი თემი რელიგიურ და კლანურ პრინციპებზეა აგებული. ყოველი მათგანის სათვეში დგას შეიხი, რაც მემკვიდრეობით გადადის და რომლის უფლებამოსილებაც საყოველთაოდ არის აღიარებული. სომეხ მოსახლეობასთან შედარებით, ეზიდების განათლების დონე უფრო დაბალია: 1989 წლისათვის იეზიდი მოსახლეობის მხოლოდ 1,3 პროცენტს ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, ხოლო 20 პროცენტზე მეტს დაწყებითი განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული. მას შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. განსაკუთრებით გოგონებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, ძალზე ადრეულ ასაკში - 13-14 წლისანი თხოვდებიან.

სომხებთან კონტაქტი მინიმუმამდეა დასული და პრაქტიკულად არა აქვს ადგილი შერეულ ქორწინებებს. სამაგიეროდ, ურთიერთობები მაღაკენებთან ბევრად უფრო მჭიდროა და იეზიდურ-მაღაკნური შერეული სოფლებიც მეტია. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეზიდთა მდგომარეობა გაუარესდა. ეზიდებსა და მოსახლეობის უმრავლესობას შორის არსებული სოციალური და კულტურული სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა. უმცირესობების მიმართ პრივილეგირებული მიდგომის პრაქტიკა აღარ არსებობს, რაც მათ სოციალურ შესაძლებლობათა შემცირებას იწვევს (იხ. უმცირესობები ახალშექმნილ სახელმწიფოებში, გვ.22-24).

1990-იანი წლების ბოლოს იეზიდებმა დაიწყეს მიგრაცია, რაც ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. ისინი, ძირითადად, რუსეთსა და გერმანიაში გაემგზავრნენ, სადაც ქურთული დიასპორები არსებობს. თუმცა იეზიდები ამბობენ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და რომ მათ, სომხეთს გარდა, სხვა სამშობლო არა აქვთ.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის უმცირესობებში ძლიერდება რელიგიისაკენ სწრაფვა. ჩრდილო-კავკასიური ჯგუფები - ხუნძები, ჩეჩნები, ლეზგები და წახები - ძირითადად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. არსებობს აზრი, რომ ამ ჯგუფებში სულ უფრო და უფრო იზრდება რადიკალური ისლამის გავლენა. არსებობს ასევე აზრი, რომ სამხრეთ აზერბაიჯანში თალიშების მეზობლობამ ირანის საზღვართან შესაძლოა გააძლიეროს ირანის რელიგიური გავლენა ამ კუთხეზე.

ახალი ისლამური მოძრაობა, რომელიც 1980-იან წლებში დაიწყო დაღესტანსა და შუა აზიაში, ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო ხელისუფლებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ სისტემას. "პერესტროიკის" პერიოდში კი ეს სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიისაკენ სწრაფვად აღიქმებოდა. 1990-იანი წლების განმავლობაში აშკარა გახდა ისლამური რადიკალიზმის გარკვეული ელემენტების მომძლავრება. ჩეჩნეთის წინამძღვრ რუსეთის პირველმა კამპანიამ და ომისშემოდგომმა არეულობებმა წინა პლანზე წამოსწიეს ისლამური რადიკალიზმი, რომელიც ღვთის მიერ ბოძებულ კანონიერებას აღიარებდა პოლიტიკურ წყობად. რუს სამხედრო ძალებზე გამარჯვებებმა ისლამისტი მეომარები პოპულარული გახადა ახალგაზრდებში და გააძლიერა მათი საერთაშორისო ქსელი, ფინანსური დახმარებები, დისციპლინა და მათდამი თანაგრძნობა.⁴⁵ ჩეჩნეთის მეორე ომში ისლამისტი მებრძოლენი წინააღმდეგობის მოძრაობის ხერხემალი გახდნენ, ხოლო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ კი უფრო "რელიგიური" ომის სახე მიიღო.

აზერბაიჯანის ხელისუფლება და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შემფოთებულია ჩრდილო-კავკასიურ ჯგუფებში რადიკალური ისლამის მომძლავრებით. მაგალითად, კანმაზის რაიონში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს, ლეზგებს შორის გამოჩნდნენ დაღესტნიდან და

ჩენიტიდან გადმოსული ისლამისტები. მათი უცხო რელიგიური რიტუალები ტრადიციულ მუსულმანთა უკმაყოფილებას იწვევს. ალიევის რეჟიმი მკაცრად ადევნებს თვალყურს ამ მოვლენას.

ჩრდილოეთი აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში ჩრდილო-კავკასიურ ჯგუფებს წარმოადგენენ ხუნძები, ჩენები (მათ შორის მრავალი ბოლო პერიოდშია გადმოსული), ლეზგები,⁴⁶ წახები და სხვა მცირე ჯგუფები. 250 000-მდე ლეზგი დაღესტნის (რუსეთი) სამხრეთ ნაწილში, მდინარე სამურის ხეობაში ცხოვრობს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილში მათი რაოდენობა 178 000-ს (1999 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის 2.2%) აღწევს. ადგილობრივი ექსპერტების აზრით რეალურად მათი რიცხვი 250-260 ათასია.⁴⁷ მათი გაყოფა 1860 წელს დაიწყო. ლეზგებმა ეს გაყოფა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიგრძნეს, როდესაც აზერბაიჯანთან საზღვარმა ადმინისტრაციული საზღვრის როლი დაკარგა და სახელმწიფოთაშორის საზღვრად იქცა.

ამჟამად ლეზგები რაოდენობრივად მეორე უდიდეს ჯგუფს წარმოადგენენ. ისინი ცხოვრობენ გუსარის (სადაც ისინი მოსახლეობის 91%-ს შეადგენენ), კანმაზის, შეხისა და ქუბის რაიონებში, აგრეთვე - ბაქოში (15%).

დაძაბულობა აზერბაიჯანელებსა და ლეზგებს შორის 1991 წელს დაიწყო, ხოლო პიკს 1994 წელს მიაღწია, როდესაც ყარაბაღში ბრძოლებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ლეზგები უარს აცხადებდნენ აზერბაიჯანის ჯარში გაწვევაზე. ამას დაემთხვა შეტაკებები ლეზგებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაღესტნის ქალაქ დერბენდსა და აზერბაიჯანის გუსარის რაიონში. ყარაბაღის ომმა გაამწვავა ეთნიკური დაძაბულობა აზერბაიჯანში, რამაც ქვეყნის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჯერ ყარაბაღის პრობლემა უნდა მოგვარდეს და შემდგომ უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

1991 წელს დაღ სტანში დაიწყო სადვალის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც დამოუკიდებელი ლეზგეთის შექმნისაკენ მოუწოდებდა. დაღესტნის ოფიციალურ ხელისუფლებას არასოდეს დაუჭერია მხარი ასეთი მოთხოვნისათვის და 1996 წლის აპრილში ეს ლოზუნგი თვით სადვალმა ოფიციალურად უარყო. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ასიმილაციის შიში და გავრცელებულია მოსაზრება, რომ ლეზგების ასეთმა დაყოფამ შესაძლოა ამ ერის თვითმყოფადობის შესუსტება გამოიწვიოს.

აზერბაიჯანის თავშეკავებამ დსთ-ში შესვლაზე, აგრეთვე მისმა უარმა - რუსებს გაეკონტროლებინათ აზერბაიჯან-ირანის საზღვარი და ჩენეთის პირველი საომარი კამპანიის დროს (1994-1996) საზღვრის ჩაკეტვამ აზერბაიჯანის სასაზღვრო რეჟიმის დაძაბვა გამოიწვია. 1996 წელს საზღვარი ისევ გაიხსნა, მაგრამ გამოყოფის საკითხი კვლავ გარკვეულ დაძაბულობას ქმნის; საზღვრის კონტროლი შეიარაღების გაძლიერებას და კონტრაბანდას იწვევს და დღის წესრიგში აყენებს

ორმაგი მოქალაქეობის საკითხს. დადესტანი აღიარებს, რომ არსებობს გაყოფის პრობლემა, ხოლო აზერბაიჯანი - არა, რადგან ეს საკითხი აზერბაიჯანელებსაც ეხებათ, რომლებიც აზერბაიჯანსა და ირანს შორის არიან გაყოფილნი.

ლეზგების უმრავლესობა ორ ან სამ ენაზე ლაპარაკობს. აზერბაიჯანი ხელს უწყობს ლეზგების ენისა და კულტურის განვითარებას. სახელმწიფო აფინანსებს ლეზგიურ გაზეთებსა და რადიოგადაცემებს. 1992 წელს გუსარში გაიხსნა ლეზგიური დრამატული თეატრი. აქვე არის ბაქოს პედაგოგიური ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც ამზადებს ლეზგიური ენის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. იგი იმავდროულად ენის განვითარების ცენტრიცაა, სადაც დადესტნიდან ჩასული სტუდენტები სასწავლო კურსებს გადიან. როგორც ჩანს, უფროსი თაობის ლეზგები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ ლეზგიური ენისა და კულტურის შენარჩუნებას.

აზერბაიჯანში სწავლა ძირითადად აზერბაიჯანულ ან რუსულ ენაზეა, მაგრამ იმ დაწყებით სკოლებში, სადაც მრავალი ლეზგი ბავშვია, კვირაში ორჯერ ლეზგიურ ენაზეა სწავლება. დადესტნის ლეზგიურ ნაწილში დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესი ლეზგიურ ენაზეა, როგორც ეს აზერბაიჯანში იყო საბჭოთა პერიოდში. 2001 წლის პირველი აგვისტოდან აზერბაიჯანული დამწერლობა კირილიციდან ლათინურ ანბანზე გადავიდა, რამაც ლეზგების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ჩივიან, რომ ამით დაზარალებული მათი ურთიერთობა რუსეთში მცხოვრებ ნათესავებთან, რომელთა დამწერლობაც კვლავ კირილიცაზეა დაფუძნებული. ხელისუფლება ამ მხრივ არავითარ ნაბიჯებს არ დგამს.

ქვეყნის ჩრდილოეთით, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში, ცხოვრობენ ხუნძები, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 50 000-ს აღწევს (აზერბაიჯანის მოსახლეობის 0.6%).⁴⁸ ხუნძთა უმრავლესობა დადესტანში ცხოვრობს, სადაც ისინი უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ: მათი რაოდენობა 600 000-ია. ქვეყნის ჩრდილოეთით ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა დაძაბულია, განსაკუთრებით დანაშაულობებისა და ძალოვან სტრუქტურათა ქმედებების ფონზე. 2001 წელს მოხდა შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასა და პოლიციას შორის, რომელთა რიგებშიც ძირითადად აზერბაიჯანული ეროვნების ადამიანები მსახურობენ.

ამბობენ, რომ ჩეჩნებმა (ერთ-ერთი ჩრდილო-კავკასიური ეთნიკური ჯგუფი) ტერორისტული აქტები განახორციელეს საზღვრისპირა რაიონებში. ეს თავდასხმები 2001 წლის ივნისში დაიწყო და მას შემდეგ სულ უფრო ინტენსიური ხდება. აზერბაიჯანში ჩეჩნეთიდან გადმოსული 20 000-მდე ადამიანი ცხოვრობს, რომელიც იქაურ ბრძოლებს გამოექცა. ადგილობრივი ხელისუფლება მათ არსებობას არ აღიარებს; არ ახდენს მათ რეგისტრაციას არც ლტოლვილების და არც არალეგალური მიგრანტების სტატუსით. ადგილობრივ მოსახლეობაში ჩეჩნებს ან კრიმინალების ან ნარკოტიკებით მოვაჭრეთა რეპუტაცია აქვთ. ჩეჩნები აზერბაიჯანელებზე მდარე წარმოდგენისანი არიან, რადგან მათ ომი

წააგეს ყარაბაღში. ქვეყანაში მათი ყოფნა საომარ განწყობას ქმნის, რასაც ჩეჩენთა ყარაბაღისათვის სურვილიც აძლიერებს.⁴⁹

სამხრეთი აზერბაიჯანი

თალიშები შიიტური ისლამის მიმდევარი ირანელები არიან. ისინი აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ძირითადად ლენქორანისა და მასალის რაიონებში ცხოვრობენ. თალიშთა უმრავლესობა (97 პროცენტი) მიწათმოქმედებას ეწევა. საბჭოთა პერიოდში თალიშები შემთხვევით გამორჩათ აღწერიდნენ, მაგრამ 1989 წელს 21 200 თალიში იქნა რეგისტრირებული (მოსახლეობის 0.3%), 1999 წლის აღწერისას კი - 76800 (ანუ 1%). ზოგიერთი აზერბაიჯანელი ექსპერტის მოსაზრებით, ქვეყანაში 200-250 ათასი თალიში ცხოვრობს, მაგრამ ხელისუფლებას არ სურს ამის აღიარება.⁵⁰

1993 წლის ივლისის დიდი არეულობებისას, რაც ხელისუფლებაში აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის მოსვლით დამთავრდა, სურატ ჰუსეინოვმა, ბაქოს პუტჩის ლიდერის თანამებრძოლმა, ლენქორანში "ტალიშ-მუგანის" რესპუბლიკა გამოაცხადა. ეს მოძრაობა შორს იდგა ჭეშმარიტი სახალხო მოძრაობისაგან და ძირითადად ნეგატიური ოპორტუნის გამომხატველი იყო. ამიტომაც იგი ალიევის რეჟიმმა ადვილად გაანადგურა. ლიდერს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. ამჟამად არსებობს მოსაზრება, რომ ლენქორანში მატულობს ირანის გავლენა, რასაც მუსლიმთა და მეჩეთების მომრავლებაც ადასტურებს. აგრეთვე აქ იხსნება მედრესეები, რომლებსაც ირანი აფინანსებს.

საქართველო

საქართველოში სომხები ყველაზე უმცირესობათა დიდ ჯგუფს წარმოადგენენ. 1989 წელს მათი რაოდენობა 437 200 (8.1%) იყო. უმეტესობა თბილისშია კონცენტრირებული (150 000-ზე მეტი, ანუ ქალაქის მოსახლეობის 12%). სომეხთა ყველაზე უფრო მგრძობიარე ნაწილმა უკვე დატოვა საქართველო და ამჟამად მათი რიცხვი დაახლოებით 350 000-ს შეადგენს.⁵¹ დედაქალაქში მათ დაკარგეს თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა.

დედაქალაქს გარდა, სომხები კომპაქტურად ცხოვრობენ საქართველოს სამხრეთით, ჯავახეთში, რომელიც თურქეთსა და სომხეთს ესაზღვრება. აქ სომხები ადგილობრივი მოსახლეობის 95%-ს შეადგენენ.⁵² ჯავახეთი სამცხე-ჯავახეთის ნაწილია, სამცხე ქართველებითა და სომხებით არის დასახლებული. ჯავახეთში ორი რაიონი შედის: ახალქალაქისა და ნინოწმინდის.

ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა უდიდესი ნაწილი ოსმალეთის იმპერიისგან დევნილი სომეხების შთამომავლები არიან.⁵³ აქ კვლავ ძლიერია "თურქული საფრთხის" სინდრომი, აგრეთვე ჯგუფური კავშირები და მთის ხალხისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა. საბჭოთა წყობილების დროს რეგიონი გარეშე პირთათვის დახურული იყო. მას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით და აქ ხელოვნურად ხდებოდა საშუალო სტანდარტებზე უფრო მაღალი სოციალური და ეკონომიკური დონის შენარჩუნება. 1990-იან წლებში ეს ინდუსტრია მოიშალა და ამჟამად აქ ჭირს საარსებო საშუალების მოპოვება.

ისტორიულმა და კულტურულმა ფაქტორებმა განაპირობეს რეგიონის იზოლაცია, ექსკლუზიური ეთნიკური იდენტიფიკაცია და გარეშე პირებისადმი უნდობლობა. მათთვის დამახასიათებელია მტკიცე ჰომოგენური ეთნიკური შემადგენლობა, ქართული ენის არცოდნა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან სუსტი კავშირები.⁵⁴

ჯავახეთის სამცხის დაბლობ ტერიტორიებთან გაერთიანების მცდელობამ უკმაყოფილება გამოიწვია. ეს ნაბიჯი რეგიონის უფრო მეტად "გაქართველების მცდელობად აღიქვეს. ადმინისტრაციულ ცენტრად ახალციხე იქნა არჩეული. ამ ქალაქს ჯავახეთთან სათანადო საკომუნიკაციო საშუალებები არა აქვს. სხვა, ეთნიკურად კიდევ უფრო ჰომოგენურ რეგიონებში,⁵⁵ უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე ადმინისტრაციულმა რეფორმამ, რომლის მიზანიც ტერიტორიული დანაყოფების გამსხვილება იყო. რეგიონის ადმინისტრაციის ძირითადად ქართველებით დაკომპლექტება და აგრეთვე სხვადასხვა პოსტებზე თბილისელების დანიშვნა ჯავახეთის სომეხთა უარყოფით რეაქციას იწვევს.

რეგიონში ორი პოლიტიკური დაჯგუფებაა: ჯავახქი და ვირქი. 1990-იანი წლების დასაწყისში ჯავახქი გაელენიანი პოლიტიკური ძალა იყო და როგორც ამბობენ, მან დამამშვიდებლის როლი ითამაშა გამსახურდიასეული ნაციონალიზმის აღზევების დროს. მას შემდგომ ამ დაჯგუფებამ დაკარგა თავისი ძლიერი ზეგავლენა.⁵⁶ ამჟამად ვირქი უფრო სანდო პოლიტიკურ ძალად მიიჩნევა.⁵⁷ ის მხარს უჭერს სამცხისაგან ადმინისტრაციულ გამოყოფას და საქართველოს ფარგლებში ჯავახეთის ავტონომიის შექმნას.⁵⁸ ავტონომია უსაფრთხოების გარანტიად უფრო მოიაზრება, ვიდრე რაიმე ცვლილებების მექანიზმად. ვირქმა თხოვნით მიმართა სათანადო ორგანოებს რეგისტრაციაში გაეტარებინათ როგორც საქართველოს პოლიტიკური პარტია, მაგრამ უარი უთხრეს. ხელისუფლებამ ვირქს შესთავაზა გაფორმებულიყო როგორც სოციალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მაგრამ ეს წინადადება ვირქმა არ მიიღო.

ჯავახეთში, ახალქალაქში არის რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზა. ქართველთა უმრავლესობა რუსი სამხედროებისა და ჯავახეთის სომხების მჭიდრო ურთიერთობას ქვეყნის უსაფრთხოებისათვის საშიშად მიიჩნევს. თბილისის დაჟინებით მოითხოვს 2004 წლისთვის ბაზის გაყვანას. რუსეთის აზრით, ეს ბაზა უმნიშვნელოვანესია კავკასიის მყიფე უსაფრთხოებისათვის. 1999 წელს თურქეთის საზღვრიდან რუსი ჯარების გაყვანის შემდეგ, ისინი ქართველ მესაზღვრეებს უნდა ჩაენაცვლებინათ, მაგრამ ამ გეგმამ ჯავახეთში ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ სრული ჩანაცვლება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჯავახეთის ეკონომიკისათვის ახალქალაქის ბაზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შრომითი დასაქმება აქ ძირითადად ამ სამხედრო

ბაზის ხარჯზე ხდება. გარდა ამისა, იგი ადგილობრივი პროდუქციის გასაღების და რუსული იმპორტის ბაზარიცაა. საქართველოს მიერ ბაზიდ გაყვანის მცდელობას აქ აღშფოთებით ხედებიან. ადგილობრივი მოსახლეობას ეშინია, რომ რუსების ნაცვლად, ნატოს სტრატეგიის მიხედვით, აქ თურქული ან ქართული ჯარები შემოვლენ. ამ უკანასკნელმა შესაძლოა კონფლიქტის საშიშროება წარმოშვას რეგიონში, რადგან მოსახლეობა შეიარაღებულია და მცირე ინციდენტსაც კი შეიძლება ძალადობა მოჰყვეს.

საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებისას რუსეთმა ამ რეჟიმისაგან გაათავისუფლა აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი. ეს ჯავახეთში გარკვეული შურის წყაროდ იქცა, რადგან ჯავახეთში მცხოვრები მამაკაცების საკმაოდ დიდი რაოდენობა რუსეთში მიდის სამუშაოს საძებნელად. აქ თვლიან, რომ სომხები დაზარალდნენ საქართველოსა და მოსკოვს შორის არსებული პრობლემების გამო. მრავალი ცდილობს სამხედრო ბაზის მეშვეობით აიღოს რუსული ან სომხური პასპორტი, რათა გაუადვილდეთ მოგზაურობა.

საქართველოსა და სომხეთს შორის დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ ორივე ქვეყნის ლიდერები ცდილობენ სტაბილურობის შენარჩუნებას. შევარდნაძე ცდილობს თავიდან აიცილოს ახალი კონფლიქტი, ხოლო ქოჩარიანმა იცის, რომ საქართველო არის ერთადერთი ტრანზიტული გზა რუსეთისა და ევროპისაკენ სახმელეთო კომუნიკაციაჩაკეტილი და იზოლირებული სომხეთისათვის. 2001 წელს შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ერევანში და არწმუნებდა სომეხ ოფიციალურ პირებს, რომ მისი მთავრობა უსათუოდ შეასრულებდა დანაპირებს და იზრუნებდა ჯავახეთის სომეხთა განვითარებისათვის. ამ ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს მეგობრობის, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ახალ ორმხრივ ხელშეკრულებას.

უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტები სასტიკი საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ იმყოფებიან. საქართველოში იზრდება ანტისომხური განწყობილება და ქსენოფობიური დამოკიდებულება. სომხეთში ოპოზიცია ბრალს სდებს პრეზიდენტს, რომ იგი არ ზრუნავს სომხების პრობლემებზე: მისგან მოითხოვენ გავლენა იქონიოს სომხებზე, რათა მათ დასტოვონ ის ტერიტორიები, სადაც ისინი ქართველებთან შერეულად ცხოვრობენ; დედაქალაქში სომხები განდევნეს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამდებობებიდან; ჯავახეთის რეგიონი არაადექვატურად ვითარდება (ელექტროენერჯის ერთადერთ წყარო სომხეთია); არსებობს ტრანზიტის პრობლემა; მწვავედ აღიქვამენ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო თანამშრომლობას.

2001 წლის სექტემბერში სომხეთის საპარლამენტო დელეგაციამ სთხოვა ევროპის საბჭოს გაეგზავნათ ევროპელი ექსპერტები ჯავახეთში სიტუაციის შესასწავლად.⁵⁹ ევროსაბჭოს წინაშე დაყენებული ეს მოთხოვნა უფრო გასაგები იქნება, თუკი გავიხსენებთ, რომ საქართველო თურქი მესხების დაბრუნებას გეგმავს (იხ. გვ.20), რასაც აქტიურად ეწინააღმდეგებიან სომხები, ხოლო თურქი მესხების რეპატრაციის

საკითხი ერთ-ერთი პირობა გახლდათ საქართველოს ევროსაბჭოში მიღებისას.

აჭარლები

აჭარა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, აფხაზეთის მსგავსად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი პრაქტიკულად სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს, თუმცა თბილისის მიმართ ლოიალურად არის განწყობილი. აჭარის დედაქალაქი, ბათუმი, თბილისის ალტერნატიულ პოლიტიკურ ცენტრად მოიაზრება. მისი ლიდერი, ასლან აბაშიძე, რესპუბლიკას ისე მართავს, როგორც თავის საკუთარ ფეოდალურ სამფლობელოს. პოლიტიკური და ეკონომიკური თანამდებობები აქ მთლიანად მისი ოჯახის წევრებს უკავიათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში შედარებით სტაბილური მდგომარეობაა და რეგიონიც ვითარდება.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მწარე გამოცდილებით, შევარდნაძე არ ერევა აჭარის "შიდა პოლიტიკაში". საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებისა და უშიშროების ძალთა ფუნქციონირება აქ ადგილობრივ დონეზე წყდება, სადაც ლიტონ სიტყვებად რჩება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბარი. ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახდევინებს ბათუმს ცენტრალურ ბიუჯეტში პორტის ტრანზიტული მომსახურებიდან მიღებული მნიშვნელოვანი შემოსავლის ნაწილს.

აჭარის ტერიტორიაზე საქართველოს სასაზღვრო ჯარებს ასლან აბაშიძე აკონტროლებს. ამ ჯარების დაკომპლექტება ადგილობრივი წვევამდებლებით ხდება. ბათუმში არის რუსეთის სამხედრო ბაზა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დავის ერთ-ერთი მიზეზია. ამ ბაზაზეც ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობაა დასაქმებული. ქართული მხარე მოითხოვს ბაზის დაუყოვნებლივ გაყვანას, ხოლო რუსები კი ცდილობენ 2015 წლამდე შეინარჩუნონ ბაზის არსებობის უფლება. საეჭვოა, რუსეთის ბაზის გაყვანამ აჭარა თბილისის კონტროლს დაუქვემდებაროს.

ათწლიანმა *დე ფაქტო* დამოუკიდებელმა მმართველობამ კიდევ უფრო განამტკიცა აჭარლების თვითმყოფადი სახე, თბილისის ხელისუფლების პატივისცემა კი სულ უფრო შემცირდა. ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ აქ არ სურთ *სტატუს კვოს* შეცვლა.

არსებობს აზრი, რომ აბაშიძეს აქვს პოლიტიკური ამბიციები მთელი ქვეყნის მასშტაბით. მისი დემოკრატიული აღორძინების კავშირი მონაწილეობს საქართველოს არჩევნებში, რომელიც ცდილობს ამომრჩევლებს გააცნოს აჭარის ლიდერი. ისინი განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებენ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მაგალითად ჯავახეთში, სადაც განსაკუთრებით მწვავეა ცენტრალური ხელისუფლებით უკმაყოფილება.

აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელები საქართველოში ეთნიკური უმცირესობის მეორე დიდ ჯგუფს შეადგენენ. ისინი ძირითადად აზერბაიჯანის საზღვრისპირა აგრარულ ტერიტორიებზე არიან დასახლებულნი (ქვემო ქართლის რეგიონი). 1989 წლისათვის მათი რაოდენობა 307 500 (5.7%) იყო. მათგან 18 000 (1.4%) თბილისში ცხოვრობდა. თავიანთი სტატუსის ამაღლების მიზნით, "პერესტროიკისა" და გამსახურდიას პერიოდში აზერბაიჯანელები მოითხოვდნენ ავტონომიას საქართველოს ფარგლებში. ვინაიდან მათ ვერ მიიღეს მხარდაჭერა აზერბაიჯანის მხრიდან და საქართველოს ხელმძღვანელობამაც მეტად ფრთხილი პოლიტიკა გაატარა, ეს დაძაბულობა მოიხსნა.⁶⁰

ქვემო ქართლის გუბერნატორი ენერგიულად ცდილობს რეგიონში თბილისისადმი ლოიალური განწყობა შექმნას. ადგილობრივი აზერბაიჯანელებს პასიური პოზიცია უკავით, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ალიევის რეჟიმი მათ გამო სიტუაციაში არ ჩაერევა. გარდა ამისა, დაახლოებით 15 000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონში. ამრიგად, ორივე მხარეს აქვს მიზეზი ხელი შეუწყოს ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან განვითარებას.

სასაზღვრო და საბაჟო ფორმალობების გამო აქ ხშირია ძალადობისა და შეურაცხყოფის ფაქტები. ზოგჯერ ქართველი მესაზღვრეები ხოცავენ კონტრაბანდისტებს, რომლებიც საზღვრის გადალახვას ცდილობენ. ასეთი ფაქტები ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს იწვევს. ეთნიკურად შერეულ ტერიტორიებზე ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს პოლიციაც, რადგან მისი შემადგენლობა ძირითადად ქართველებითაა დაკომპლექტებული.

ისევე როგორც ჯავახეთის სომხებისათვის, აზერბაიჯანული უმცირესობისათვისაც დგას ენის (მრავალი ადამიანი მხოლოდ აზერბაიჯანულად ლაპარაკობს), განათლების, მუშახელის მიგრაციის, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის (მოსახლეობა უყურებს გადაცემებს აზერბაიჯანიდან და ზოგჯერ თურქეთიდან) პრობლემები. საქართველოს პარლამენტის 235 წევრიდან 6 აზერბაიჯანელია. 2001 წელს აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიაზე დაიხურა რამოდენიმე აზერბაიჯანული სკოლა. შემუშავებულია გეგმა ზოგიერთი აზერბაიჯანული სოფლის სახელების შესაცვლელად. ამ საკითხთან დაკავშირებით, აზერბაიჯანული მოსახლეობის ინტელიგენციამ მიმართვა გაუგზავნა პრეზიდენტ შევარდნაძეს.⁶¹

ჩრდილო კავკასიელები

აფხაზეთისა და ჩეჩნეთის კონფლიქტების, აგრეთვე ისლამური ტერორიზმის ფონზე, ამ ბოლო პერიოდში დიდი ყურადღების ცენტრში

აღმოჩნდნენ ჩეჩნების და მათთან ეთნიკურად მონათესავე ქისტო მოსახლეობის ჯგუფები.

ქისტები საქართველოში, ახმეტის რაიონის ჩრდილოეთით მდებარე პანკისის ხეობაში ცხოვრობენ. ხეობა ჩეჩნეთს ესაზღვრება. პანკისის ხეობაში სახლობენ ქისტები (8 000 ადამიანი, ხეობის მცხოვრებთა 65%), ქართველები (24%) და ოსები (11%).⁶² საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში თავი იჩინა ტრადიციული ნორმების განმტკიცებამ. თეიფს, ანუ კლანს ხელმძღვანელობს უხუცესი, რომელსაც ემორჩილებიან თეიფის დანარჩენი წევრები. ქალებს აქ ძალზე ცოტა უფლება აქვთ, ისინი მამაკაცებს ემორჩილებიან. ქალებისა და გოგონების პატივისცემას აქ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ და მათ წინააღმდეგ ნებისმიერი ძალადობა სასტიკად ისჯება. სულ უფრო იზრდება ძალით დაქორწინების, პატარძლის მოტაცებისა და "ოჯახის შეურაცხყოფის გამო" ოჯახის წევრების მიერ ქალებისა და გოგონების სიკვდილით დასჯის შემთხვევები. სისხლის აღების წესი აქ ცხოვრებისეული ნორმაა.

პანკისის ხეობის უსაფრთხოების საკითხი მთელი კავკასიის მასშტაბით ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. შობადობის ტრადიციულად მაღალმა დონემ და უმუშევრობამ მრავალი ადამიანი აიძულა რუსეთში წასულიყო, მაგრამ ამჟამად ეს შესაძლებლობაც შეზღუდულია. ჩეჩნეთის პირველი ომიდან მოყოლებული, რომელშიც მრავალი ქიტი ახალგაზრდა მონაწილეობდა, ხეობაში შეიქმნა ჰეროინითა და იარაღით ვაჭრობის ქსელი. ამ გარემოებას ხელს ისიც უწყობს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შედის ხეობის სიღრმეში.

მოსახლეობაში დიდი რაოდენობის იარაღია, რაც ხელს უშლის პოლიციის ეფექტურ მოქმედებას; მოსახლეობის განიარაღებისათვის არ გატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. მიუხედავად იმისა, რომ ქიტი მოსახლეობა მხარს არ უჭერს კრიმინალებს, აქ საკმაოდ რთულია ვინმეს დაპატიმრება; სავარაუდოდ დამნაშავეთა დაჭერას ყველანაირი საშუალებებით ეწინააღმდეგებიან მათი ნათესავები. სისხლის აღების წესიც ართულებს ადგილობრივი მოსახლეობისა და პოლიციის თანამშრომლობას.

1996 წელს, ჩეჩნეთის პირველი ომის დასრულების შემდეგ, მიუხედავად ჩეჩენი მებრძოლების როლისა აფხაზეთის კონფლიქტში⁶³, საგრძნობლად გაუმჯობესდა ურთიერთობა საქართველოს ხელმძღვანელობასა და *დე ფაქტო* დამოუკიდებელი ჩეჩნეთის - ასლან მასხადოვის მთავრობას შორის. ჩეჩენი ლიდერები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ რუსეთის მიერ შექმნილი იზოლაციისათვის და საქართველომ მათ ერთადერთი გასასვლელი გზა შესთავაზა. უფრო მეტიც, ორივე მხარე განაწყენებული იყო მოსკოვზე. ამ თანამშრომლობის სანაცვლოდ მასხადოვი შეჰპირდა შევარდნაძეს პანკისის ხეობაში დაძაბულობის გაფანტვას, მაგრამ მის მცდელობას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია.

რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომმა საქართველოში, კერძოდ პანკისში, ლტოლვილების ახალი ტალღა გამოიწვია. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2000 წლის მაისისათვის აქ

7 148 ლტოლვილი იმყოფებოდა, მაგრამ ოქტომბრის თვის ბოლომდე 1 600 უკან დაბრუნდა. რუსეთის განცხადებებით, ლტოლვილებად შენიღბული ჩეჩენი და "საერთაშორისო" ტერორისტები პანკისის ხეობაში შევიდნენ, სადაც მათ სარეაბილიტაციო ცენტრი და იარაღისა და ტყვია-წამლის საცავები შექმნეს. საქართველო უარყოფს ამ ბრალდებებს, მაგრამ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები ადასტურებენ, რომ რუსეთს აქვს ასეთი განცხადებების საფუძველი.⁶⁴ მოსკოვმა სთხოვა საქართველოს გაეტარებინა რუსეთის ჯარები პანკისის მხარეს საზღვრის გასაკონტროლებლად ან ერთობლივი პატრულირება მოეხდინათ საქართველოს შეირადებულ ძალებთან ერთად. ორივე წინადადებაზე უარის მიღების შემდეგ რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი საქართველოსთან და სავიზო რეჟიმი დააწესა. 2001 წლის შემოდგომაზე პანკისიდან წამოსული ჩეჩენი მებრძოლების შეტევამ აფხაზეთზე დაადასტურა მებრძოლების ხეობაში ყოფნის ფაქტი.⁶⁵ 2002 წლის 11 თებერვალს საქართველოში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში იმყოფებოდა ათობით ავღანელი მებრძოლი; მათ კავშირი აქვთ იორდანიაში დაბადებულ ჩეჩნური წარმოშობის საბრძოლო მეთურთან - ჰათაბისთან, რომელსაც, თავის მხრივ, ურთიერთობები აქვს ბინ ლადენტან. ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ასკვნიდა, რომ პანკისის ხეობა საშიში შექმნილიყო საქართველოს უსაფრთხოებისათვის, და რომ აშშ მზად იყო დახმარებოდა ხელისუფლებას ხეობაში ისლამისტი მებრძოლების დამარცხებაში.

კონფესიათა შორის დაძაბულობამ დამატებითი პრობლემები შექმნა. ქისტები, ტრადიციულად, სუნიტები არიან. რადიკალურმა ისლამმა ჩეჩნეთის პირველი ომის დროს დაიწყო პანკისის ხეობაში გავრცელება, როდესაც მოხალისე ქისტები ისლამისტ მებრძოლებს დაუახლოვდნენ. ეს კავშირები შემდგომი ომის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა. ყოფილი ოსური სოფელი წინუბანი, სადაც ქართული პოლიცია შესვლას ვერ ბედავდა, რადიკალური ისლამის ციხესიმაგრედ იქცა. აფხაზეთზე თავდასხმის დროს დაკავებულმა მებრძოლებმა დაადასტურეს პანკისის ხეობაში საწვრთნელი ბანაკების არსებობა.⁶⁶

პანკისელ ქრისტიანებში რელიგიის ცვლილების გარკვეული ტენდენცია შეინიშნება. პროტესტანტი მისიონერები ქართველ და ოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს მათ ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობას აცვლევენებენ, რისთვისაც ისინი, რელიგიის პროპაგანდასთან ერთად, მლოცველთა მიზიდვის მიზნით, ამ ადამიანებს გარკვეულ დახმარებას უწევენ.⁶⁷ ასეთ ღონისძიებათა ხანგრძლივმა ზეგავლენამ შესაძლოა საეჭვო მდგომარეობა გამოიწვიოს.

1990-იან წლებში პანკისის ხეობაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა გაუარესდა. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის შედეგად მრავალმა ოსმა დატოვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, მათ შორის პანკისის ხეობაც. მოსახლეობის გასვლას უმუშევრობამაც შეუწყო ხელი. ახალგაზრდა და ჯანსაღმა ადამიანებმა დატოვეს პანკისი, დარჩნენ მხოლოდ მოხუცები. ქისტებმა ოსების დაცარიელებული სახლები დაიკავეს. ქისტი მამაკაცები შეურცხყოფას აყენებენ დარჩენილ ოს

მოსახლეობას, ხოლო ძირითადად ქართველებით დაკომპლექტებული პოლიციის ძალები კი უძღვრია მზარდი დამნაშავეობის წინაშე განხეთქილების პირველ მიზეზად რუსეთის ფედერაციაში ოსებისა და ინგუშების 1992 წლის კონფლიქტი იქცა, რადგან ქისტები ეთნიკურად ენათესავებიან ინგუშებს. რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს მრავალმა ქისტმა იშოვა იარაღი. მას შემდეგ ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. ადგილი ჰქონდა ძარცვასა და ყაჩაღობას, ოსების, ფშავებისა და თუშების ცემასა და გატაცებას. ამ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა თავდაპირველად პრეზიდენტ შევარდნაძეს მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო შემდგომ - ლუდვიგ ჩიბიროვს, სამხრეთ ოსეთის "პრეზიდენტსა" და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტსაც (რუსეთის ფედერაცია). ჩიბიროვმა პანკისელ ოსებს სამხრეთ ოსეთში გადასვლა შესთავაზა.

ადგილობრივი ოსები უჩივიან სამართალდამცავებს, რომ ისინი არაფერს აკეთებენ ძარცვა-ყაჩაღობის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ასაღამავად. ზოგიერთი ოსური და ქართული სოფლების მოსახლეობა აცხადებს, რომ ვეღარ უძლებენ ზეწოლას, რითაც მათ აიძულებენ დატოვონ მშობლიური კერა. ქისტებმა აიძულეს ოსები, წასულიყვნენ სოფელ წინუბნიდან, რომელიც ტრადიციული ოსური სოფელი იყო და იქ შარიათის კანონი დააწესეს. ბანდიტების ამომცნობებს სასიკვდილოდ სცემენ. იჩეხება და პანკისს გარეთ იყიდება ძვირფასი ტყე. ასევე ხშირია ყაჩაღობის შემთხვევები მოსავლის გატაცების მიზნით. ოსებს ბავშვების სკოლაში გაშვების ეშინიათ. აქ ძირითადად პენსიონერები არიან დარჩენილები, ხოლო ახალგაზრდები ყველა ღონეს ხმარობენ რეგიონის დასატოვებლად.⁶⁸ კახეთის რეგიონში ქართულ სოფლებთან ურთიერთობა სხვადასხვაგვარია: კახეთის სოფლების მოსახლეობამ თავდაცვის ჯგუფები შექმნა და აცხადებენ, რომ მათ სხვა არჩევანი არა აქვთ, რადგან სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ჩეჩენი ლტოლვილების ტალღამ უსაფრთხოების გაუარესება და ეთნიკურ ჯგუფებს შორის მზარდი დაძაბულობა გამოიწვია.⁶⁹ ხოლო ლტოლვილები აცხადებენ, რომ ადვილია მათი დადანაშაულება. ურთიერთობა ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის სულ უფრო და უფრო იძაბება.⁷⁰ პანკისის მოსახლეობა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ ხეობაში ყველაზე მძიმე ფაქტორი არის ცენტრალური და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების სრული უუნარობა, რამაც პანკისი უმართავი გახადა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და რადიკალური ნაციონალიზმის პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა დამოკიდებულება ყვარლის რაიონში მცხოვრები ხუნძებისადმი. 1989 წლიდან ხუნძებს აიძულებდნენ დაეტოვებინათ რაიონი. 1990 წლის ივნისში ქართულმა შეიარაღებულმა ჯგუფმა ალყა შემოარტყა ხუნძურ სოფელ ტივს. ხუნძებმა დახმარებისათვის დაღესტნის ხელისუფლებას მიმართეს. ირებულ იქნა გადაწყვეტილება ხუნძების სუბოკუმსკში გადასახლების თაობაზე.⁷¹ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის

შემდეგ დაძაბულობა შემცირდა და ავართა უმრავლესობამ დარჩენა არჩია, თუმცა დამოუკიდებელ საქართველოში მათი ცხოვრება ადვილი არ არის.

მესხების რეპატრაცია

მესხეთის მუსულმანები, ანუ თურქი მესხები (მათი უმრავლესობა თვლის, რომ თურქული წარმოშობისაა, ხოლო ზოგიერთს მიაჩნია, რომ ქართული წარმოშობის მუსულმანია) 1944 წელს შუა აზიაში გადაასახლეს სამცხე-ჯავახეთიდან. 1989 წელს უზბეკეთში ისინი დარბევას გადაურჩნენ. რუსეთის სამხედრო ძალებმა ისინი თვითმფრინავებით გადაიყვანეს აზერბაიჯანში (სადაც ზოგმა მათაგანმა აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღო), უკრაინასა და რუსეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც მათ ყოფნას ვერც ადგილობრივი მოსახლეობა და ვერც ხელისუფლება ვერ ეგუება. 1989 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული ბოლო აღწერის შესაბამისად 207 500 მესხი იქნა რეგისტრირებული; დღევანდელი მონაცემებით, მათი რიცხვი 270 000-დან 320 000-მდე აღწევს. 2001 წლისათვის აზერბაიჯანში 90 000-დან 110 000-მდე მესხი ცხოვრობდა. აქ მათ მიმართ როგორც სახელმწიფო პოლიტიკა, ასევე საერთო დამოკიდებულება პოზიტიურია.⁷³ აზერბაიჯანი, რომელიც ცდილობს, კეთილმეზობლური დამოკიდებულება შეინარჩუნოს საქართველოსთან, მხარს უჭერს მესხების სამშობლოში დაბრუნების უფლებას, მაგრამ ამაზე საქართველოს თავისი პირობები გააჩნია.⁷⁴

მესხებმა შექმნეს ორგანიზაცია "ვატანი", რომელიც 1994 წელსაა რეგისტრირებული რუსეთში. მეორე ორგანიზაცია, "ხსნა", 1992 წელს გატარდა რეგისტრაციაში საქართველოში. "ვატანი" მესხების თურქული წარმოშობის მიმდევარია, ხოლო "ხსნის" წევრები თავს ქართული წარმოშობის მესხებად თვლიან და მიაჩნიათ, რომ ეს ხელს შეუწყობს მათ სწრაფ დაბრუნებას. "ხსნის" წევრებმა, რომლებიც გაწბილებულნი დარჩნენ ამ ორგანიზაციის უუნარობით, მოგვიანებით საქართველოში შექმნეს ქართველ რეპატრიანტთა კავშირი და ლატიფშა ბარათაშვილის ფონდი, რომლის მიზანიც მესხების საქართველოში დაბრუნება გახლდათ.⁷⁵

ევროსაბჭოში გაწვევრიანებისას საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ 12 წლის ვადაში დააბრუნებდა გადასახლებულ მესხებს. 2001 წლის მარტში ევროსაბჭოს წარუდგინეს კანონპროექტი რეპატრაციის შესახებ. თუმცა, რეპატრაციამდე ქართველებთან და სომხებთან რეალური თუ სავარაუდო შეტაკებების გამო⁷⁶ არსებობს შიში დაბრუნებისადმი. ადგილობრივი ადმინისტრაცია თვის მოსახლეობას უწევს ანგარიშს და ეროვნული მედიაც ამ განწყობას ეხმაურება.

1990-იან წლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახურმა გარკვეული ძალისხმევა გასწიეს მესხების უკან დასაბრუნებლად.⁷⁷ ღია საზოგადოების ინსტიტუტმა (სოროსის ფონდმა) ფორსირებული მიგრაციის პროექტი შეიმუშავა, რომლითაც სამოქალაქო საზოგადოების რესურსების მობილიზებას ცდილობდა ამ მიზნის განსახორციელებლად. ეს საკითხი საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა დაყენებული ჰააგის (1998 წლის სექტემბერი)

და ვენის (1999 წლის მარტი) საერთაშორისო შეხვედრებზე. მიუხედავად ამისა, მხოლოდ 650-მა ადამიანმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება. უფრო მეტიც, 1994-1997 წლებში მესხები ამაოდ ცდილობდნენ მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმემ მოახერხა ეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრისა და ეუთოს ზეგავლენით.

საქართველოში დაბრუნებული მესხები თავინთ თავს თურქების მიერ გამუსულმანებულ ქართველებად თვლიან, როდესაც ამ უკანასკნელმა 1578 წელს დაიპყრო მესხეთი.⁷⁸ მათ ხელს უწყობენ, რომ მიიღონ ან აღიდგინონ ქართული გვარები.⁷⁹ თბილისს მიაჩნია აგრეთვე, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის მშვიდობის შესანარჩუნებლად უფრო გონივრულია მათი ჩასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და არა მათ ისტორიულ ტერიტორიაზე.

სავარაუდოა, რომ მესხებს არ სურთ ერთად დაბრუნება მათთვის არასტუმართმოყვარე მიწაზე სამხრეთ საქართველოში, სადაც საკმაოდ მკაცრი კლიმატი, მოშლილი ინფრასტრუქტურა და პარალიზებული ეკონომიკაა და საიდანაც თვით ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს ემიგრირებას.⁸⁰ მრავალი მესხისთვის დაბრუნების სურვილი პოლიტიკური მოთხოვნის ფორმას ატარებს, რითაც ისინი დაბრუნებაზე თავიანთ ისტორიულ უფლებას გამოხატავენ.

მესხების ნაწილმა თურქეთში ემიგრაცია ამჯობინა. თურქეთმა 5 000 მესხის ჩასახლება დააფინანსა აღმოსავლეთ ანატოლიაში, მაგრამ შემდგომ ემიგრაციას ხელს აღარ უწყობს.

უმცირესობები ახალშექმნილ სახელმწიფოებში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში რელიგიის საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. რელიგია განიხილება, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის ძირითადი ღერძი. გარდა ამისა, იგი ასრულებს სულიერი წინამძღოლის როლს და ფსიქოლოგიურად დამამშვიდებლად მოქმედებს იმ არეულ და სიძნელეებით აღსავსე პერიოდში, რომელიც დამოუკიდებლობას მოჰყვა. სოციალურად იგი ამკვიდრებს ერთი ჯგუფის წინააღმდეგობას მეორესთან და ხშირად პოლიტიკურ იარაღად გამოიყენება.

სამივე ქვეყანაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. სომხები და ქართველები, ძირითადად, ქრისტიანები არიან, ხოლო აზერბაიჯანელები - შიიტი მუსულმანები. ქვეყნები პატივს სცემენ სხვა ტრადიციული რელიგიების მიმდევრებსაც. აზერბაიჯანში თავისუფლად მოქმედებს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია (1989 წელს მუსულმანები იყვნენ 87%, ქრისტიანები - 12%, ხოლო ებრაელები - 0.5%; 1999 წელს მართლმადიდებლები და ქართველი ქრისტიანები შეადგენდნენ დაახლოებით 2%; აღრიცხულ იქნა 8 900 ებრაელი, ანუ 0.1%). სომხეთში -

იეზიდებს და საქართველოში -მუსულმანურ ჯგუფებს (აზერბაიჯანელებს და ჩეჩნებს) თავისუფლად შეუძლიათ მისდინონ თავიანთ რელიგიას. სამივე ქვეყანაში არის ებრაელთა მცირე ჯგუფები.

კავკასიაში არატრადიციული რელიგიის მიმდევრები, მაგალითად იელოვას მოწმეები, მუდმივ შევიწროებას განიცდიან და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრიობა გამოდის მათ დამცველად. სომხეთში ამ პრობლემას კანონი არეგულირებს, რომლის შესაბამისად, მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ, როგორც რწმენის გამო სამხედრო სამსახურისთვის თავისამრიდებლებს.⁸¹ საქართველოში იელოვას მოწმეებს, ბაპტისტებსა და ორმოცდაათიანელებს მემარჯვენე ორთოდოქსული ჯგუფები დევნიან, რომლებსაც ფარულად მხარს უჭერენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიცია, ხოლო მთავრობა უძღვრია ძალადობის აღსაკვეთად.⁸²

1999 წლის სექტემბერში ევროპარლამენტის დელეგაციამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც გამობნენ თავდასხმებს რელიგიურ უმცირესობებზე, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე და მოუწოდებდნენ რელიგიური შემწენარებლობისაკენ. "ჰუმან რაითს უოჩმა" (უმან ლიგჰტს ჭატცჰ) კრიტიკულად შეაფასა აშშ-ს მთავრობის საქმიანობა, რომელმაც სხვა სტრატეგიული მოსაზრებების გამო არ გამოიჩინა აქტიურობა რელიგიური უმცირესობების საკითხების მიმართ.

სომხეთში იელოველთა დევნა დაკავშირებულია სამხედრო სამსახურში გაწვევის კანონთან და ალტერნატიული სამსახურის შესახებ კანონის არარსებობასთან. ამის გამო მრავალი იელოველი დააპატიმრეს. არატრადიციული რელიგიის მიმდევრებისადმი შემეფუებლობის დონე საკმაოდ დაბალია აზერბაიჯანშიც. 1999 წელს ევანგელისტ ქრისტიანებზე განხორციელებული მოულოდნელი თავდასხმების შემდეგ პრეზიდენტმა ალიევმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ქვეყანას მოუწოდა მეტი რელიგიური თავისუფლებისაკენ. ამ განცხადების შემდეგ, 1999 წლის დეკემბერში, სასწრაფოდ მოხდა იელოველთა რეგისტრაცია. რუსულ ქრისტიანულ უმცირესობებს - დუხობორებსა და მალაკნებს - რომლებიც მეფის რუსეთის დევნას გამოექცნენ და კავკასიის შორეულ რეგიონებში დასახლდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა აიძულებს დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები, თუმცა რაიმე სახელმწიფო პოლიტიკა მათ განსაზღვრავს არ არსებობს. ისინი ჩივიან, რომ ადგილობრივი ჯგუფები იჭრებიან მათ სოფლებში, აწუხებენ ქალებსა და ბავშვებს, ხოლო პოლიცია მათ წინააღმდეგ არავითარ ღონისძიებებს არ ატარებს. შედეგად ჯავახეთში, სადაც 10 წლის წინ 3 500 კაციანი ძლიერი თემი არსებობდა, ახლა მხოლოდ 800 დუხობორია დარჩენილი.

ძირითადად მუსულმანური რელიგიის მიმდევარ აზერბაიჯანში არიან ერთ დროს ფართოდ გავრცელებული პრესლამური რელიგიის- მაზდეანობის (ზოროასტრიზმის) მიმდევართა ჯგუფები. ვარაუდობენ, რომ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩვ. წ-მდე VII საუკუნეში დაიბადა წინასწარმეტყველი ზარატუსტრა, რომელმაც საფუძველი დაუდო სამყაროს ორბუნებოვნებაზე დამყარებულ რელიგიას, რომელიც პირველად

დმერთსა და ბოროტ სულს შორის კოსმოსურ ბრძოლაში გამოიხატებოდა. ისლამური დაპყრობითი ომების შემდეგ მაზდეანობის მიმდევართა დიდმა რაოდენობამ ინდოეთს მიაშურა. საბჭოთა წყობილების დროს პილიგრიმებს უფლება დართეს ჩამოსულიყვნენ აზერბაიჯანში და ელოცათ ავშერონის ნახევარკუნძულის წმინდა ადგილებში. აზერბაიჯანის საზოგადოება შემწყნარებლობას იჩენს ამ რელიგიის მიმდევართა მიმართ. მაზდეანები სომხეთშიც არიან.

ქვეყნის პოლიტიკა

უმცირესობების განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს კავკასიის ქვეყნებს შორის არსებული დაბალი ეკონომიკური ურთიერთკავშირები, პატრონაჟულ ქსელთან ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ხარისხი და თვით უმცირესობათა მდგომარეობა. ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მხრივ პროვინციები, ძირითადად, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დედაქალაქებს. მძიმე მდგომარეობაშია ელექტრო და გაზომარაგება, გზების და სხვა ინფრასტრუქტურა. უმცირესობები, ძირითადად, ცენტრიდან მოშორებულ პროვინციებში ცხოვრობენ და ამის გამო ისინი უფრო უარეს მდგომარეობაში არიან. ფონდებისა და სხვა რესურსების მიღების შესაძლებლობებით ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სხვა ჯგუფებს, რომლებსაც უფრო ძლიერი ლობი ჰყავთ, უკეთ არიან წარმოდგენილნი დედაქალაქში და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში დგანან. ეს დე ფაქტო სისტემა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე კანონი, მით უმეტეს, რომ თვით კანონსაც არ სცემენ სათანადო პატივს.

სომხეთში უმცირესობათა ჯგუფები მოსახლეობის საერთო რაოდენობის იმდენად უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს, რომ ეკონომიკური პრობლემებით და ყარაბაღის საკითხით დაკავებული ხელისუფლება მათ არსებობას ვერც ამჩნევს. უმცირესობათაგან ყველაზე დიდია იეზიდთა ჯგუფი, რომელიც პრაქტიკულად მოწყვეტილია სახელმწიფოს მართვის სისტემას და არა აქვს თავისი თვითმყოფადობის განვითარების საშუალება. უმცირესობებისათვის მართვისა და განათლების სისტემაში არსებული კვოტების საბჭოთა პრაქტიკა აღარ არსებობს და მის ნაცვლად რაიმე ალტერნატიული მიდგომაც არ ჩამოყალიბებულა. ეს იეზიდებს გარკვეულ პრობლემებს უქმნის. მაგალითად, სომხეთის ახალ პასპორტში ეროვნების გრაფის არარსებობა მათ თანდათანობით ასიმილაციით ემუქრება. ხელისუფლებამ თავი აარიდა ქურთების/იეზიდების დიქტომიის საკითხის გადაწყვეტას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გაერკვიათ, არსებობდა თუ არა ორი განსხვავებული თვითმყოფადი თემი. იმედია, ბოლო აღწერის (2001 წ) შედეგების გამოქვეყნების შემდეგ საკითხი გაირკვევა.

სახელმწიფოს მხრიდან რაიმე განსაკუთრებული მხარდაჭერით არც რუსული დიასპორა სარგებლობს; რუსული ენა თანდათან კვდება და რუსული სკოლებიც იხურება. რუსეთის მთავრობა სამხრეთ კავკასიაში

რუსული ენისა და კულტურის განვითარებას უმნიშვნელო პრაქტიკულ დახმარებას უწევს.

რთულია საქართველოში უმცირესობათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. საქართველოს იურისდიქცია ვერ ხორციელდება მის მთელ ტერიტორიაზე. ცუდად კონტროლირებადი ტერიტორიების დიდი ნაწილი უმცირესობებით არის დასახლებული. ეს, ძირითადად, ქვეყნის პერიფერიული ნაწილია, განუვითარებელი ინფრასტრუქტურითა და არასახარბიელო ეკონომიკით; ასე რომ, ხელისუფლება არ არის დაინტერესებული ამ რეგიონების ინვესტირებით ან რაიმე სახელმწიფო ღონისძიებების გატარებით. აზერბაიჯანში ძალაუფლება სახელმწიფოს ხელშია, რომელსაც უფრო თანმიმდევრული, საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი მიდგომა აქვს.

კონსტიტუციური მოწყობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია უნიტარულ სახელმწიფო სტრუქტურას აღიარებს, რომელიც არ ითვალისწინებს უმცირესობებისათვის რაიმე სახის ავტონომიას და არც რაიმე დებულებას შეიცავს ყარაბაღთან დაკავშირებით, თითქოს ის კვლავ აზერბაიჯანს იყოს მიერთებული. 1990-იან წლებში ლეზგების მოთხოვნას პოლიტიკურ და კულტურულ ავტონომიაზე არ მოჰყოლია რაიმე გამოხმაურება კანონის დონეზე. ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ცენტრიდან ინიშნებიან, ხოლო პრეზიდენტი ალიევი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს კადრების დანიშვნას უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ როგორც პრეზიდენტის აპარატში, ისე პარლამენტში შექმნილია უწყებები და დანაყოფები, რომლებიც უმცირესობების საკითხებზე მუშაობენ, ამ ფუნქციას ძირითადად, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ახორციელებს.

საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის შესაძლო ფედერალური მოწყობის საკითხი აფხაზეთისა და ოსეთის სტატუსის გადაწყვეტამდე ღიად არის დატოვებული. ასეთი მიდგომა გარკვეულად არადამაჯერებლად ჟღერს. ფედერალიზაციის იდეა პოპულარული არ არის, რადგან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის ავტონომიურმა სტატუსმა ქვეყნის ამ რეგიონების *დე ფაქტო* გამოყოფა გამოიწვია. ამიტომაც მხარს არ უჭერენ ჯავახეთის სომეხთა ავტონომიის მოთხოვნას. ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები თბილისიდან ინიშნებიან, მაგრამ ადგილობრივი ძალები დედაქალაქში გავლენის მოსაპოვებლად იბრძვიან. 2001 წელს ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. თითქოსდა საბიუჯეტო პრობლემების გამო, ეს არჩევნები გადაიდო, მაგრამ, როგორც ჩანს, არჩევნების გადადებაზე 2001 წლის შემოდგომაზე მმართველ ისტებლიშმენტში არსებულმა არეულობამაც იმოქმედა.

ენა და სამოქალაქო ინტეგრაცია

ეროვნულ უმცირესობათა განათლების სფეროში საქართველოს შენარჩუნებული აქვს საბჭოური სისტემა. აქ დაწყებითი და საშუალო სკოლები უმცირესობათა ენებზე ფუნქციონირებენ. ადგილებზე შექმნილია აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლები, ძირითადად პედაგოგიური ინსტიტუტები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ენის მნიშვნელობას სამოქალაქო ინტეგრაციის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არ არსებობს ქართული ენის შემსწავლელი სახელმწიფო კურსები. ქართული ენის შესწავლის მსურველებს კი უნდა ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა.⁸⁴ უმცირესობებს ხელი არ მიუწვდებათ საქართველოს კანონებზე, რადგან მათ მხოლოდ ქართულად ან ზოგჯერ ინგლისურადაც აქვეყნებენ. დასავლეთის ფინანსური დახმარებით, უმცირესობების არასამთავრობო ორგანიზაციებმა ითავეს ქართული კანონების ინგლისურიდან რუსულად თარგმნა. თარგმანის უზუსტობა ხშირად გაუგებრობებს იწვევს. საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი აპირებს საქართველოს უმნიშვნელოვანესი კანონების პაკეტის თარგმნას უმცირესობათა ძირითადი ჯგუფების ენებზე.⁸⁵ შექმნილია კანონპროექტი ქართული ენის შესახებ. 2001 წელს, პრეზიდენტ შვეარდნაძის ხელშეწყობით, ამოქმედდა ქართული ენის შესწავლის პროგრამა. მანამდე არსებული მსგავსი პროგრამა, ძირითადად, დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა.

უმცირესობათა მიერ ქართული ენის უცოდინრობა მთელ რიგ სირთულეებს იწვევს სამოქალაქო ადმინისტრირების საქმეში. სახელმწიფო მოხელეთათვის გამოცდები ქართულ ენაზე ტარდება, თუმცა უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში გარკვეული შეღავათები მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ადმინისტრაციის მუშაკები ალბათ ვერ დაემორჩილებიან ასეთ წესებს. დამატებით სირთულეებს ქმნის უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ისეთი მოსამართლეების დანიშვნა, რომლებმაც მხოლოდ ქართული იციან. სასამართლო პროცესები თარჯიმნების საშუალებით მიმდინარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა საყვედურს გამოთქვამს, რომ ასეთი პროცესები ხელს უწყობს უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებას.

იმის გამო, რომ რუსული ენის შესწავლას აქ არავითარი მხარდაჭერა არა აქვს, ახალგაზრდა თაობა მხოლოდ თავის საკუთარ ენაზე მეტყველებს. თუკი ეს სიტუაცია კვლავ გაგრძელდება, უმცირესობებს არ ექნებათ საშუალება ურთიერთობა იქონიონ მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან.

საქართველოში შეზღუდულია კულტურისა და განათლების სფეროსთან ხელმისაწვდომობაც, რაც გამოწვეულია უმრავლესობის მიერ ენის არცოდნით. რუსულენოვანი გამოცემები კულტურათაშორის ინფორმაციის გაცვლის გარკვეულ საშუალებას იძლეოდა, მაგრამ მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა და ასეთ გამოცემებს მხოლოდ რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია უწყობს ხელს, მაგალითად,

როგორცაა კავკასიის სახლი, სადაც სხვა კავკასიურ ენებსაც ასწავლიან. უმაღლესი განათლება ქართულ ენაზეა და, ამდენად, დედაქალაქს გარეთ მცხოვრები უმცირესობებისათვის იგი ხელმიუწვდომელია. ახალგაზრდებს ურჩევნიათ განათლება მიიღონ თავიანთ მონათესავე ქვეყნებში ან რუსეთში მიდიან. უმცირესობებს ინფორმაციის მიღების მეტად მწირი საშუალებები აქვთ გაიგონ თუ რა ხდება ქვეყნის დანარჩენ ნაწილში. ქართული ენის არცოდნის გამო ადამიანები ვერ უყურებენ ქართულ ტელეგადაცემებს და ვერ უსმენენ ქართულ რადიოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტელევიზიას აქვს რუსულენოვანი გადაცემები, პერიფერიებზე მცხოვრები უმცირესობები იშვიათად ახერხებენ ამ საშუალებით ინფორმაციის მიღებას ელექტრონერგის მუდმივი გათიშვისა და მიღების ცუდი ხარისხის გამო. ქართული რადიოც ძლივს აღწევს რეგიონამდე, რაც ხელს უწყობს იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომ უმცირესობათა მოხვედრა საქართველოს საზღვრებში ისტორიის შემთხვევითობითაა გამოწვეული.

განათლება კვლავ მეტად მტკივნეულ საკითხად რჩება აფხაზეთში, გალის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენად აფხაზურია გამოცხადებული, რაიონის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველია და მხოლოდ ქართულად საუბრობს, ასე რომ, განათლებაც მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარმოებდეს. ეს გარკვეულწილად ასეც არის, რადგან შენარჩუნებულია საბჭოთა დროინდელი მიდგომა. თუმცა აფხაზეთში ფიქრობენ, რომ ძირითად ენად აფხაზური უნდა იქცეს. სხვები კამათობენ, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ უმცირესობას აქვს უფლება განათლება საკუთარ ენაზე მიიღოს.

აზერბაიჯანში, საქართველოსგან განსხვავებით, საბჭოთა დროიდან მოყოლებული, უმცირესობებმა კარგად იცოდნენ აზერბაიჯანული ენა. ბაქოში აგრეთვე ფართოდ არის გავრცელებული რუსული და მის სწავლებას სახელმწიფო სათანადო ყურადღებას აქცევს. პროვინციებში კი სიტუაცია იცვლება. დღის წესრიგში დგება საკითხი თუ როგორ დაიცვან უმცირესობათა ენები და კულტურა. 2001 წლის 1 სექტემბერს, პრეზიდენტის განკარგულებით, აზერბაიჯანული დამწერლობა, თურქულის მსგავსად, ლათინურ ასოებზე გადავიდა, რამაც უმცირესობების შემოფოთება გამოიწვია. ლათინურ ასოებზე გადასვლამ მრავალი აზერბაიჯანელის უკმაყოფილების მიზეზიც გახდა.

უკმაყოფილება და საზოგადოების დამოკიდებულება

საქართველოში არ არსებობს რაიმე ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც უმცირესობათა უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად გატარდებოდა. ბოლნისის რაიონში პოლიციის მიერ აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანთა ცემის ფაქტებს აღნიშნავდა "ამნესტი ინტერნეიშენალი".⁸⁶ თუმცა ასეთივე ფაქტები აღირიცხა ეთნიკური ქართველების მიმართაც, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ზოგადი მაჩვენებელი უფროა, ვიდრე ის, რომ ეს ფაქტები გამიზნულად არის მიმართული უმცირესობების წინააღმდეგ.

საყურადღებოა უმცირესობების წარმომადგენლობა პარლამენტში: სომხებს ოთხი, ხოლო აზერბაიჯანელებს ექვსი დეპუტატი ჰყავთ 235 კაციან ქართულ პარლამენტში. აღსანიშნავია, რომ ამ დეპუტატთაგან ყველას არ ესმის ქართული ენა. ასე რომ, გაუგებარია, როგორ მონაწილეობენ ისინი პარლამენტის მუშაობაში.⁸⁷

საზოგადოების დამოკიდებულება უმცირესობებისადმი კიდევ უფრო შემაშფოთებელია. საქართველოში ცხარე კამათი მიმდინარეობს, ჩაიწეროს თუ არა ეროვნება საიდენტიფიკაციო დოკუმენტში. ოფიციალური პირები თვლიან, რომ ასეთი ჩანაწერი გამოიწვევს შუღლს და ანგარიშსწორებას. მხარდამჭერ ქართველებს კი მიაჩნიათ, რომ ასეთი ჩანაწერის არარსებობით ისინი მალე დაკარგავენ თვითმყოფადობას და მათ რიცხოვნობით გადააჭარბებენ სხვა ჯგუფები, რომელთა შორის შობადობის დონე უფრო მაღალია.

რაც შეეხება უმცირესობათა პოზიციას, ისინი დიდ სურვილს არ იჩენენ შეცვალონ თავიანთი ავტონომიურობის *სტატუს კვო* რაიმე უკანონო გზით. ამასთანავე, მათ არ სურთ თბილისის პოლიტიკამ რაიმე მავნე ზეგავლენა იქონიოს მათ ცხოვრებაზე, იქნება ეს რუსეთის ჯარების გაყვანა ბაზებიდან, რუსეთის სავიზო რეჟიმი თუ რაიმე სხვა ატრიბუტი, რომელიც გააძლიერებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას. ცენტრალური ხელისუფლება შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არა აქვთ სურვილი შეისწავლონ ქართული ენა, მოიხმარონ ქართული ფული ან ინტეგრირება მოახდინონ საზოგადოებაში, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა. უმცირესობები კი საყვედურობენ, რომ სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევს რეგიონს, არ უხდის ხელფასებსა და პენსიებს, არ უზრუნველყოფს მათ განათლებით, ჯანდაცვით და არ ქმნის პირობებს ქართული ენის შესასწავლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არცერთი მხარე არ არის მოწადინებული თავისი როლი შეასრულოს საზოგადოების ურთიერთობებში.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, აქ სახელმწიფო აპატიმრებს და სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს ნამდვილ თუ სავარაუდო სეპარატისტებზე, როგორებიც არიან თალიშები და ლეზგები. მათ ხანგრძლივ პატიმრობას უსჯიან "ტერორისტული ქმედებებისათვის". მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1994 წლის აფეთქება ბაქოს მეტროში, რომელიც ლეზგებს დაბრალდა და აგრეთვე 1993 წელს განხორციელებული თავდასხმა რუს მესაზღვრეებზე, რომელიც "ლეზგების იმამის" და მისი მხარდამჭერების მეშვეობით განხორციელდა. მათ ორიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობა მიესაჯათ. სასამართლო პროცესზე, რომელიც 1996-97 წლებში მიმდინარეობდა, ბრალდებულებმა აღიარეს, რომ ჩავიდნენ აზერბაიჯანში, რათა მოეპოვებინათ ხუნძების, აზერბაიჯანელების, ლეზგებისა და სხვა ჯგუფთა მხარდაჭერა აზერბაიჯან-დაღესტნის საზღვარზე რუს მესაზღვრეებზე თავდასხმის განსახორციელებლად, რაც გამიზნული იყო დაღესტნის რუსეთის ფედერაციიდან გამოსაყოფად. ეს ბრალდება ხელისუფლებამ წაუყენა

სადვალს, რომელიც იატაკქვეშა მუშაობას ეწეოდა, თუმცა მტკიცებულებები საკმარისად ბუნდოვნად გამოიყურებოდა.⁸⁸

ვინაიდან სადვალმა ვერ შეძლო საქმე გაეხმაურებინა აზერბაიჯანში, მას ბრალად ედებოდა სომხეთის სადაზვერვო სამსახურებთან კავშირი და აგრეთვე იმანაც, რომ ძალზე მწირი იყო ინფორმაცია 1994 წლის აფეთქებასთან დაკავშირებით, სადვალს უარყოფითი იმიჯი შეუქმნა საზოგადოებაში. ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, სახელმწიფო სწორად მოიქცა, როდესაც სისხლის სამართლებრივი დევნა განახორციელა სადვალის სავარაუდო აქტივისტებზე.⁸⁹ სახელმწიფო ახშობს საზოგადოებრივ არეულობებს, მაგალითად როგორც ადგილი ჰქონდა შესმი 2000 წლის ნოემბერში. აქ პოლიციის სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ როგორც უმცირესობების, ასევე უმრავლესობების წარმომადგენლები. მეორე, უნდა აღინიშნოს, რომ ლეზბების საკმარის დიდი რაოდენობა ცხოვრობს ბაქოში და მათ წამყვანი პოსტები უკავიათ სამოქალაქო სამსახურში, ჯარსა და პარლამენტში. ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ალიევის რეჟიმი ცდილობს დაიცვას უმცირესობებისა და ქალების წარმომადგენლობა სახელმწიფო სამსახურებში. სახელმწიფო ესმარება აგრეთვე ოფიციალურად რეგისტრირებულ უმცირესობათა ორგანიზაციებს, როგორცაა "სამურ ლეზბების ეროვნული ცენტრი". აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, საქართველოში ყველა წამყვან პოსტზე ეთნიკური ქართველები არიან და საკადრო პოლიტიკაში აშკარა ეთნიკური დისკრიმინაცია იგრძნობა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სამართალდამცავ ორგანოებში.

საერთაშორისო და ადგილობრივი ინიციატივები

სამხრეთი კავკასია საერთაშორისო ორგანიზაციების, დასავლეთის სახელმწიფოებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედების არენად იქცა. მათ სურთ სამხრეთ კავკასიის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანა და რეგიონში ლიბერალური და მთლიანად თავისუფალი დემოკრატიის ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა აქ საკმარის მაღალია, უშუალოდ უმცირესობებისკენ მიმართული ინიციატივები აქ თითზე ჩამოსათვლელია. გაერო და მისი ორგანიზაციები, ძირითადად, დაკავებულნი არიან არსებულ კონფლიქტთა რეზოლუციებით და განვითარების პრობლემებით. თუმცა მათ გაეროს მოხალისეთა საშუალებით ჯავახეთის რეგიონში გარკვეული ღონისძიებები განახორციელეს. საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაცია და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი ძირითადად თურქი მესხების რეპატრაციით არიან დაკავებულნი, თუმცა რაიმე წარმატებას ამ საკითხში მათ ვერ მიაღწიეს.

ეუთო და ევროპის საბჭო ის ორი ძირითადი ორგანიზაციაა, რომელიც ცდილობს, უზრუნველყოს უმცირესობების მიმართ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება.

უმცირესობების დასაცავად ევროსაბჭოს ორი ძირითადი დოკუმენტი აქვს, ესენია: რეგიონალური და უმცირესობების ენების დაცვის ქარტია და ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია. ორივე დოკუმენტი 1998 წელს შევიდა ძალაში. ეუთო უმცირესობების საკითხს ჰუმანურ სფეროში აღებული პოლიტიკური ვალდებულებებით უდგება, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის სამსახური გარკვეულ პრობლემებზე მუშაობს, რომელიც უმცირესობებს ეხება ეუთოს სივრცეში და განსაკუთრებულ ყურადღებას კონფლიქტების თავიდან აცილების საკითხებს უთმობს.

ევროპის საბჭო

საქართველო ევროსაბჭოში 1999 წელს გაწევრიანდა, როდესაც მან ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. თუმცა ამას რაიმე საგრძნობი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. "ჰუმან რაიტს უორლდ უოჩის" (უმან ლიგჰტს ჭორლდ ჭატცკ) 2001 წლის მოხსენებაში წერია: "საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში ისედაც არადმაკმაყოფილებელი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა"⁹⁰ ადამიანის უფლებათა ადგილობრივი დამცველები აღნიშნავენ, რომ ევროსაბჭოში გაწევრიანებამდე მთავრობა ცდილობდა ყურად ელო საერთაშორისო აზრი, და მდგომარეობის გაუარესებაც სწორედ ამან გამოიწვია. გაწევრიანდა თუ არა ევროსაბჭოში, ცვლილებებით დაინტერესებამ საქართველოში საგრძნობლად იკლო. ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციებიც არ მიმართავენ ქმედით ღონისძიებებს რათა სათანადოდ გამოიყენონ ევროსაბჭოს მექანიზმები. მათ პრაქტიკულად არ მიაჩნიათ ეს ორგანიზაცია რაიმე ცვლილებების მამოძრავებელ ძალად.

თურქი მესხების დაბრუნების საკითხთან ერთად, საქართველოს ევროსაბჭოში მიღების ერთ-ერთი პირობა გახლდათ ამ ორგანიზაციის დაქინებული მოთხოვნა, ქვეყანას მიეღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ. პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აზრით, ამ კანონის მიღების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან შეუძლებელია განისაზღვრა, თუ ვინ არის უმცირესობა, რომელსაც დაცვა ესაჭიროება.⁹¹ მათ მიაჩნიათ, რომ უმცირესობების კანონმა შესაძლოა დაიცვას მხოლოდ კომპაქტურად დასახლებული თემები და არა ისინი, რომლებიც შერეულ რაიონებში ცხოვრობენ. მათ აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ადამიანის უფლებათა სფეროში უკვე არსებული კანონების დაცვა.

სომხეთი და აზერბაიჯანი ევროსაბჭოში ერთდროულად გაწევრიანდნენ 2001 წლის იანვარში. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ ქვეყანაში არ არის ადამიანის უფლებათა სფეროში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი, სომხეთის მთავრობამ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია, ვიდრე აზერბაიჯანისამ. ეს სიტუაცია ასახულია ევროპის

საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გრძელ ნუსხაში, სადაც ჩამოთვლილია ის პირობები, რომელთა შესრულებაც ევალებათ ქვეყნებს ევროსაბჭოში მიღების შემდეგ.⁹²

სომხეთის სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები უფრო უკეთ არიან მომზადებულნი ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად გამოიყენონ ევროსაბჭოს წევრობა საერთაშორისო მხარეების მეშვეობით.⁹³

ეუთო

საქართველოში ეუთოს მისია 1992 წლის ნოემბერში გაიხსნა. კავკასიის რეგიონში ეს ეუთოს პრაქტიკულად ყველაზე უფრო დიდი მისიაა, სადაც 62 უცხოელი თანამშრომელი მუშაობს. მისი საქმიანობა სამი ძირითადი სფეროთი შემოიფარგლება:⁹⁴

- სამხრეთ ოსეთში შეირადებული კონფლიქტის განახლების თავიდან აცილება, რომლის მიზნითაც მისია ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციების მონიტორინგს ასორციელებს, პოლიტიკური მოლაპარაკებებისათვის ხელშეწყობა და კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა.
- საქართველოში ჰუმანური სფეროს განვითარება. ეს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა დაცვის მონიტორინგს: მაგალითად, წინასწარი გამაფრთხილებელი პროექტი სამცხე-ჯავახეთში.
- საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეხნეთისა და ინგუშეთის მონაკვეთების მონიტორინგი.

საქართველოს, როგორც ეუთოს წევრი ქვეყნის სტატუსი, მისიას აძლევს ხელისუფლების პოლიტიკას მისდიოს. ვინაიდან გრძელვადიანი მისიის არსებობა მასპინძელ ქვეყანასთან პოლიტიკური შეთანხმების საკითხია, იგი ცდილობს დაიცვას უფრო თანამშრომლობის, ვიდრე კამპანიურობის სტილი. ხშირ შემთხვევაში ასეთი მიდგომა ზღუდავს მისიის საშუალებებს, მხარი დაუჭიროს საზოგადოებას გარკვეულ საკითხებში. უმცირესობებში გავრცელებულია შეხედულება, რომ ეუთო საქართველოს მთავრობის რუპორის როლს ასრულებს. მიანიშნებენ, რომ ეუთომ ვერ მოახერხა საჯაროდ დაეგმო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ფართომასშტაბიანი გაყალბება, და რომ კვლავაც გრძელდება მათი მხრიდან სახელმწიფოსათვის ასეთი დახმარება.⁹⁵ მთლიანობაში ეს არ არის ეუთოს სამართლიანი შეფასება. მის მოხსენებაში არჩევნებთან დაკავშირებით ხაზგასმული იყო მთელი რიგი პრობლემები და, ამასთანავე, მათ გარკვეული ზეწოლაც მოახდინეს ხელისუფლებაზე. თუმცა ეს ზეწოლა საზოგადოების დასანახად არ ხდებოდა და იგი ძირითადად კულუარულ ხასიათს ატარებდა. ეუთოს უუნარობამ, გადაედგა უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები საზოგადოების მხარდასაჭერად, საკმაოდ შეურყია მას იმიჯი.

ეუთოს მისიებს ბაქოსა და ერევანში მოქმედების უფრო ვიწრო არეალი აქვთ. მათი ძირითადი ფუნქციაა, ხელი შეუწყონ ამ ქვეყნებში ეუთოს პრინციპების განვითარებას. მათ ევალებათ საარჩევნო კანონმდებლობის გადასინჯვა, თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა, საზოგადოების გათვითცნობიერება დამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში და ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისადმი შემწენარებლობის ხელშეწყობა. ყარაბაღის კონფლიქტის საკითხი ეუთოს მინსკის ჯგუფის კომპეტენციაში შედის. ნეიტრალიტეტის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, მინსკის ჯგუფს ოფიციალური შტაბ-ბინა თბილისში აქვს. გარდა ამისა, ოფისები გახსნილია ერევანში, ბაქოსა და სტეფანაკერტში. ამ ქვეყნებში მრავალი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომლებიც ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებთან თანამშრომლობენ. მათი დაფინანსება ხდება დასავლელი დონორების მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

დასკვნა

საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამაღლებაზე უფრო მეტად სომხეთში და გარკვეულწილად, აზერბაიჯანშიც იგრძნობა, სადაც ქვეყნის ხელისუფლება საერთაშორისო აზრს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე საქართველოში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რეგიონმა, ძირითადად, არ გაამართლა მოსალოდნელი შედეგები და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს ფიქრი, თუ რამდენად გონივრულია მათეული შეფასებები კავკასიის საზოგადოებებისა. ამ სიტუაციის ნათელი დადასტურებაა საქართველოდან წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოების (I ღჩ) გასვლა, ეს პირველი შემთხვევაა ქვეყნის ასეთი დატოვებისა⁹⁶. ამას დაემატა ევროკომისიის თანამშრომლის გიუნტერ ბეიჩელის მხეცური მკვლევლობა 2001 წლის დეკემბერში, რამაც შეძრა საქართველოში მოღვაწე უცხოური ორგანიზაციები.

ნათობი და დახმარება

აქ მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, დასავლეთს კავკასიისადმი ინტერესი ორმა ფაქტორმა გაუღვივა: უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ძლიერი სომხური დიასპორა უცხოეთში, ხოლო მეორე - რეგიონის მიმართ რუსეთის ნეოიმპერიალისტური ამბიციები. სომხეთისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (შ I) ყველაზე დიდი დონორი აღმოჩნდა, რომელმაც სომხეთს 1992-2000 წლებში 1.3 მილიარდი დოლარის დაეხმარება გაუწია. დიასპორაც თავისი რესურსებით მნიშვნელოვნად

დახმარა ქვეყანას, განსაკუთრებით 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ. მათი ეკონომიკური დახმარების შედეგად განხორციელდა მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტები, მათ შორის - სომხეთიდან ყარაბაღამდე გზის მშენებლობის პროექტი. დიასპორამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომხეთის კულტურის აღორძინებაშიც. სომხეთისაგან განსხვავებით, აშშ-მ დახმარება შეუზღუდა აზერბაიჯანს შეზღუდულ იქნა კონგრესის თავისუფლების მხარდამჭერი აქტის 907(ა) პუნქტის შესაბამისად, რომელიც კრძალავს იმ რეჟიმების დახმარებას, რომლებიც ბლოკადაში აქცევენ სხვა სახელმწიფოებს. 2002 წელს აშშ-ს კონგრესმა აზერბაიჯანს მადლიერების ნიშნად მოუხსნა ეს შეზღუდვა "ტერორიზმის წინააღმდეგ ომში" გამოცხადებული მხარდაჭერისათვის.

დასავლეთის ანტიიმპერიული სენტიმენტები მოხერხებულად გამოიყენეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიდერებმა. კასპიის ზღვის ენერგორესურსები მათთვის ხელსაყრელი კოზირი გამოდგა. საქართველომ თავისი სტრატეგია დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაზე ააგო, სადაც თავისი თავი წარმოაჩინა დასავლეთის მეკავშირედ, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს რუსეთის კონტროლს. ეს მას კარგად დაუფასდა: 1992-2001 წლებში აშშ-მ საქართველოს 986 მილიონი დოლარის დახმარება გაუწია, რაც მეოთხე მაჩვენებელია აშშ-ს მხრიდან ევრაზიის 12 ქვეყნისთვის გაწეულ დახმარებებს შორის. გარდა ამისა, ამავე პერიოდში აშშ-მ საქართველოს 334 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება გამოუგზავნა.⁹⁷ ევროკავშირი ყოველწლიურად დაახლოებით 30 მილიონ ევროს ხარჯავს საბიუჯეტო დახმარების, ვალების შემსუბუქებისა და აგრეთვე ტექნიკური დახმარებისათვის. ევროკავშირის ამ დახმარების პროგრამაში სხვა დონორი ორგანიზაციებიც მონაწილეობენ.⁹⁸ მიღწევები საკმაოდ მოკრძალებულია. განვითარების ნაცვლად, ამ დახმარებებმა ქვეყანა სხვის რესურსებზე დამოკიდებული გახადა. უფრო მეტიც, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლნების შემდეგ რუსეთი დასავლეთის მოკავშირე გახდა, რამაც სიტუაცია შეცვალა. რუსეთის განცხადებები საქართველოში "საერთაშორისო ტერორისტების" მოქმედების შესახებ აშშ-სთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა და უფრო სერიოზულად მიუდგა პანკისის ხეობის, როგორც ბოევიკებისა და იარაღის თავშესაფრის საკითხს.

დასავლეთის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა კასპიის ზღვის ენერგორესურსებიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კასპიის ზღვის აუზის ხუთმა ქვეყანამ - აზერბაიჯანმა, ირანმა, ყაზახეთმა, რუსეთმა და თურქმენეთმა - მრავალი ახალი პროექტი წამოიწყო ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მიზიდვის მიზნით. მათ შორის გაჩაღდა კონკურენცია ოფშორული რესურსების მოსაპოვებლად. კასპიის აუზის ენერგორესურსები მნიშვნელოვანია რეგიონის ახალშექმნილი ქვეყნებისათვის, მაგრამ გლობალური მასშტაბით, ეს რესურსები დიდი არ არის. კასპიის ენერგორესურსებმა შესაძლოა, დააკმაყოფილონ მსოფლიო მიწოდების 3 პროცენტი (ექსპერტთა შეფასებით, მთლიანი რეზერვები 17 მილიარდ ბარელს უდრის,

რაც, დაახლოებით, ჩრდილოეთის ზღვის რეზერვების ტოლია). რეალურად მოსალოდნელია 20 მილიარდი ბარელის მოპოვება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კასპიის ნავთობს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირისათვის, უფრო სამხრეთ ევროპის ქვეყნებისათვის და არა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.⁹⁰

დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, კასპიის ენერგორესურსები დაძაბულობისა და უთანხმოების მიზეზად იქცა, რამაც დააყოვნა რეზერვების ექსპლუატაცია. აქ სამი მთავარი საკითხი გამოიკვეთა: ახალი ნავთობსადენების მარშრუტები, კასპიის ზღვის კანონიერი გადანაწილება და ბიზნესგარემოს შექმნა.

სამხრეთ კასპიის ნავთობსადენების ძირითადი პროექტებია:

- ბაქო (აზერბაიჯანი) - ნოვოროსიისკი (რუსეთი). ნავთობსადენს იყენებს აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო ოპერატიული კომპანია (I ჩ) აზერბაიჯანის ნავთობის გადსატანად. 1990-იანი წლების შუა პერიოდში ჩეჩნეთში არსებულმა დესტაბილიზაციამ და ნავთობის გადაკეტვამ რუსეთი აიძულა სასწრაფოდ აეშენებინა შემოვლითი მარშრუტი დაღესტნის გავლით.
- ბაქო-სუფსა (საქართველო), ეს არის ადრეული ნავთობის სადენი, რომელსაც იყენებს აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კომპანია და რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1999 წელს. ეს გახლდათ კასპიის ნავთობის პირველი არარუსული სადენი.
- ატირაუ (ყაზახეთი) - ნოვოროსიისკის კასპიის ნავთობსადენის კონსორციუმის ხაზი, რომელიც, ძირითადად, რუსეთზე გადის. იგი 2001 წელს შევიდა ექსპლუატაციაში.
- ბაქო - ჯეიჰანის (თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო) ნავთობსადენი, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთისა და აშშ-ს მთავრობების მიერ განისაზღვრა როგორც ძირითადი საექსპორტო ხაზი. ამ პროექტს, რომელსაც წინ მრავალი დებატები უძღოდა, 1999 წლის სექტემბერში მოაწერეს ხელი სტამბოლში. 1 730 კილომეტრიანი ხაზი გადის საქართველოს ტერიტორიაზე. ამ მარშრუტს მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები. 1990-იან წლებში რუსეთი ეწინააღმდეგებოდა ამ პროექტს, მაგრამ 2001 წელს მან შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მეორე საკითხი, რომელიც მწვავედ დგას დღის წესრიგში, კასპიის ზღვის კანონიერი გაყოფა გახლავთ. ეს დავა დიდი ხანია გრძელდება, მაგრამ ხუთმა ქვეყანამ ვერ მიაღწია ყველა მხარისათვის მისაღებ შეთანხმებას.

მესამე გახლავთ ბიზნესის გარემო. მიუხედავად იმისა, რომ იგი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მოულოდნელი რისკის ფაქტორები კვლავაც არსებობს. უფრო მეტიც, კასპიის ინფრასტრუქტურას სერიოზული ხარვეზები აქვს, რომელთა გამოსასწორებლადაც დიდი რაოდენობის ნაღდი ფულის ინვესტიციებია საჭირო. დღემდე პრობლემის გადაჭრას ცდილობდნენ ჩვეულებრივი წყაროებიდან, ანუ კერძო ბანკებიდან ფინანსების მოზიდვით. მსოფლიო ბანკიდან

მიღებულმა ფინანსურმა მხარდაჭერამ შეიძლება შეამციროს გარკვეული პოლიტიკური რისკი.

სამხრეთ კავკასიაში მოქმედი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ძირითადად, კონფლიქტების მოგვარების საკითხებით არიან დაკავებული, ხოლო რამდენიმე მათგანი უმცირესობათა პრობლემებზე მუშაობს. მათ შორის არის იძულებითი მიგრაციის პროექტიც, რომელიც ღია საზოგადოების ინსტიტუტთან ერთად თურქი მესხების რეპატრიაციის საკითხზე მუშაობს. "ინტერნეიშენალ ელერტმა" აზერბაიჯანში ლეზგების მდგომარეობის შესაფასებლად შექმნა ფაქტების მოძველები მისია, აგრეთვე ახორციელებს პროექტს "საქართველოს რეგიონები", რომელიც სხვა რეგიონებთან ერთად, სამცხე-ჯავახეთზეც არის ფოკუსირებული. ადრეული გაფრთხილებისა და ადრეული რეაგირების ფორუმმა (ჭ დ) რეგიონის მოსალოდნელ პრობლემებზე წარმოადგინა მოხსენება. უმცირესობათა პრობლემებით ადგილობრივი ორგანიზაციებიც არიან დაკავებული, როგორცაა, მრავალეროვანი საქართველო, თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელსაც ფილიალები აქვს საქართველოს მრავალ კუთხეში. ისინი ცდილობენ ხელი შეუწყონ კანონის უზენაესობის დამკვიდრებასა და მოქალაქეთა აქტიურობის ამაღლებას. კავკასიის სახლი (თბილისი) მრავალენოვანი განათლების ხელშეწყობის პროექტებზე მუშაობს და უმცირესობათა ენებზე გამოცემებს უზრუნველყოფს ინტენსიური ბეჭდვითი პროგრამების საშუალებით.

მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები წინ აღუდგნენ ნაციონალიზმის გამოვლენას, რომელიც მოჰყვა 1999 წელს ახალ ქართულ პასპორტებში ეროვნების გრაფის საკითხს. სამოქალაქო აქტის კანონპროექტი ითვალისწინებდა ეთნიკური კუთვნილების (ასეთი აღნიშვნა საბჭოთა პასპორტში იყო) გრაფის ამოღებას და მხოლოდ მოქალაქეობის აღნიშვნის დატოვებას (ანუ იქნებოდა ჩანაწერი - ქართველი - საქართველოს ყველა მოქალაქისათვის). ამ წინადადებამ პროტესტი გამოიწვია. ოპონენტები მიუთითებდნენ, რომ ასეთი დებულება გამოიწვევდა ქართველთა ასიმილაციას, რომელთა შორისაც შობადობის დონე მეტად დაბალია და დაჟინებით მოითხოვდნენ ეთნიკური კუთვნილების ჩანაწერის დატოვებას. არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს კოალიცია, რათა საზოგადოებასთან ერთად შებრძოლებოდნენ კანონპროექტის ოპონენტებს და სერიოზული კამპანია გააჩაღეს. დისკუსიებმა ისეთი მწვავე ხასიითი მიიღო, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე იძულებული გახდა ჩარეულიყო მოვლენათა მსვლელობაში. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეჩერდა და კანონპროექტი ძალაში არ შესულა: ეთნიკური კუთვნილების აღნიშვნა დაბადების მოწმობაში ხდება, მაგრამ ეს ჩანაწერი არ არის პირადობის დამადასტურებელ არცერთ სხვა დოკუმენტში.

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი მონიტორინგს ახორციელებს ლეზბეების მდგომარეობაზე და ლეზბიური ახალი ამბების ელექტრონულ ვერსიას უშვებს. მშვიდობისა და დემოკრატიის ბაქოს ინსტიტუტი იკვლევს უმცირესობათა საკითხებს.¹⁰⁰

დასკვნა

საბჭოთა ცენტრალური მთავრობის მფარველობის დაკარგვის შემდეგ, უმცირესობები უმრავლესობის პირისპირ აღმოჩნდნენ და დამოუკიდებლობის ცვლილებებით აღსავსე პერიოდში საკმაოდ დაზარალდნენ. ამასთანავე, ისინი, გარკვეულწილად, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც მოექცნენ, რადგან საქართველო და აზერბაიჯანი უხალისოდ ხვდებოდნენ გარეშე მხარეთა ჩარევას უმცირესობათა მოთხოვნების მხარდაჭერის მიზნით. წინა პერიოდის არეულობების შემდეგ რეგიონის მთავრობები დაბალანსებულ ნაბიჯებს დგამდნენ, რის შედეგადაც ეთნოსებს შორის დაძაბულობა კონფრონტაციაში აღარ გადაზრდილა. საქართველომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ჩამოეყალიბებინა მრავალფეროვნების მხარდამჭერი პოლიტიკა. აგრეთვე იგი სუსტი აღმოჩნდა თანმიმდევრული ასიმილაციის ან ცენტრალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაში, რის შედეგადაც ზოგიერთმა უმცირესობამ მოახერხა მიეღწია *დე ფაქტო* თვითმმართველობისათვის.

რაც შეეხება მოუგვარებელ კონფლიქტებს, აფხაზეთის, ოსეთისა და ყარაბაღის მხრიდან არ შეინიშნება, რომ მათ საქართველოსთან ან აზერბაიჯანთან ერთიან სახელმწიფოში შესვლის სურვილი ჰქონდეთ. საქართველოში არსებული არეულობებისა და აზერბაიჯანის რეგიონების სიღარიბის ფონზე ძალზე ძნელია მათი ლიდერებისა თუ მოსახლეობის დარწმუნება, რომ ამით მათ რაიმე წინსვლა ექნებათ. გავრცელებულია აზრი, რომ ამ სახელმწიფოებში უკან დაბრუნებით სეპარატისტები დაკარგავენ როგორც თავიანთ უსაფრთხოებას, ისე პოლიტიკურ ძალაუფლებას. უფრო მეტიც, ახლო მომავალში არც აზერბაიჯანისა და არც საქართველოს ჯარს არ ძალუძს რაიმე სერიოზული საფრთხე შეუქმნას მათ.

საქართველო და აზერბაიჯანი ვერ ეგუება ტერიტორიების დაკარგვას, მაგრამ ვერც მათ დაბრუნებას ახერხებენ მშვიდობიანი თუ სამხედრო ჩარევის გზით. მოსალოდნელია, რომ სიტუაცია - *სტატუს კვო*, კვლავ გაგრძელდება, მაგრამ ასეთი ვითარებაც გარკვეული საფრთხის მომასწავებელია. უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა, რომ საზღვრისპირა რაიონებში ამჟამად მიმდინარე ძალადობის ფაქტები ფართომასშტაბიან კონფრონტაციაში გადაიზარდოს. ამასთანავე, საქართველოსა და აზერბაიჯანში პოლიტიკური მემკვიდრეობისათვის მომავალმა ბრძოლებმა შესაძლოა ისევ ყურადღების ცენტრში მოაქციოს მოუგვარებელი კონფლიქტები და ეს ფაქტორი პოლიტიკური ამბიციებისათვის იქნას გამოყენებული.

მომავალ ძვრებზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. ერთის მხრივ, სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის განვითარება სოციალურ აპათიაში გადადის, რაც ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუარესებამ გამოიწვია, ხოლო ახალი დონისძიებები სიტუაციას შეზღუდული ქაოსის ფორმას აძლევს. საკანონმდებლო და წესრიგის ვაკუუმმა მოსახლეობაში პირადი დაუცველობის განცდა შექმნა, რამაც მეორე პლანზე გადასწია პოლიტიკური პრობლემები. აქ პრაქტიკულად, საზოგადოების პასიური განვითარება ჩამოყალიბდა.

მეორეს მხრივ, სულ უფრო ძლიერდება სოციალური დაძაბულობა და იზრდება საპროტესტო გამოსვლები. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მომხდარი ძალადობა და 2001 წლის მაისში საქართველოს ჯარის აჯანყება სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირის წინააღმდეგ, ალბათ იმის გამაფრთხილებელი ნიშანია, რომ მომავალი კონფლიქტები შეიძლება წარმოშვას არა ეთნიკურმა, არამედ სოციალურმა საკითხებმა.

რეკომენდაციები

1. სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ უმცირესობათა უფლებების დაცვა და მათი მონაწილეობა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სახელმწიფო და ადმინისტრაციული სისტემა უმცირესობებსა და ქალებს საშუალებას უნდა აძლევდეს მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ განხორციელებაში. კანონი უმცირესობებსა და მათ ორგანიზაციებს საკანონმდებლო ინიციატივის, წინასწარი კონსულტაციებისა და კენჭისყრის განსკუთრებულ როლს უნდა ანიჭებდეს იმ კანონპროექტებთან მიმართებაში, რომელიც უმცირესობათა საკითხებს ეხება.
2. მიზანშეწონილია მოხდეს დასავლეთის მიერ სამხრეთ კავკასიისადმი გაწეული დახმარების ეფექტურობის შეფასება და წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგროვილი გამოცდილების გაზიარება. ასეთი ინიციატივა მისასაღებელი იქნება ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისათვის. სამთავრობო სტრუქტურებმა, დონორებმა და არასამთავრობო სექტორმა, დონისძიებათა დაფინანსებისას უნდა უზრუნველყონ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვა პროექტის მენეჯმენტში, მათ შორის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მდგრადი მონაწილეობა. მათ სრული მხარდაჭერა უნდა გაუწიონ ყველა ჯგუფს, განსაკუთრებით კი ქალებს, მოხუცებს, ინვალიდებსა და ბავშვებს ამ ჯგუფებში.
3. ადგილობრივმა და საერთაშორისო მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობის

ჩამოყალიბებას. სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ულტრანაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და უზრუნველყოს პროზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გააფართოონ თავიანთი საქმიანობა უმცირესობების საკითხებზე. მთავრობებმა უნდა განავითარონ ყოვლისმომცველი კულტურათაშორისი განათლების დებულებები და საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მისაღები იქნება კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ყველა ჯგუფის ჩართვას მრავალკულტუროვან საზოგადოებაში, სადაც ყველას ერთნაირად მიუწვდება ხელი საერთო ღირებულებებზე, რომელიც დემოკრატიული კონსულტაციების მეშვეობით ვითარდება.

4. სოციალური და კულტურული განსხვავებები აღქმულ უნდა იქნას როგორც სიმდიდრე და არა როგორც ნაკლი. ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომლებიც განავითარებენ უმცირესობათა ჯგუფების კულტურულ მემკვიდრეობას. დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უარყოფითი ზეგავლენა არ უნდა მოახდინონ კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებაზე. სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებები ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მთავრობებს დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნაში, მაგალითად - უმცირესობების ომბუდსმენის სამსახური, რომელსაც ექნება უნარი გადაჭრას სპეციფიური საკითხები, შექმნას დიალოგისა და კონსულტაციებისათვის საჭირო მექანიზმები.
5. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა საგრძნობლად უარსდება. საჭიროა მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები დაძაბულობის შესასუსტებლად და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.
6. კავკასიაში რადიკალური ისლამის შეფასებები სანდო არ არის, ხოლო ამ საკითხით სპეკულირებას ფართო მასშტაბი აქვს მიღებული. უფრო ზუსტი სურათის მიღების მიზნით ხელი უნდა შეეწყოს კვლევებს, რომელიც განდევნის საზიანო სტერეოტიპებს. ისლამოფობიის პრობლემას ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებსა და მედიაში.
7. საქართველოში მესხების რეპატრაციის უერსპექტიობის გამო მიზანშეწონილი იქნება თუკი საერთაშორისო საზოგადოება თავის ძალისხმევას მიმართავს ამ ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ.
8. ყურადღება უნდა მიექცეს აზერბაიჯანელ და სომეხ პოლიტიკოსთა შორის ნდობის აღდგენას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალი პოლიტიკური ღონისძიებების კონკრეტული

საკითხების შერჩევას. საკითხების განხილვა უნდა მოხდეს ფართო საზოგადოებისათვის ღიად და საჯაროდ.

9. უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფი (უუსჯ) მიესალმება სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერთებას მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებთან ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ სფეროში, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტების ასახვას მათ კონსტიტუციებში. უუსჯ ამ ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებს განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებები ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების დაცვისაკენ. ამ სტანდარტების დარღვევაზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამთავრობო და ძალოვან სტრუქტურებს და არასამთავრობო სექტორს. მთავრობებმა აგრეთვე უნდა უზრუნველყონ გაეროს 1992 წლის დეკლარაცია უმცირესობათა საკითხებზე. საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა განახორციელოს თანაბარი მონიტორინგი ყველა ქვეყანაში აღნიშნული სტანდარტების შესრულებაზე და უზრუნველყოს მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.